ISSN 0132 — 5973

140
980
35

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯიმღაჯარი

7
1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზორენა ეგრალიძე სასწავლო წლის დამთავრებას ულოცავს საყვარელ მასწავლებელს.

ნაცვალის, ნორლავ!

ყოველ წელს მეორდება ერთი და იგივე: არდადეგების სიხარულთან ერთად მოსული გულდაწყვეტა, ხვალინდელი, ზაფხულის დღის მღელვარე მოლოდინი...

რა თქმა უნდა, იმ ბედნიერ სამ თვეში პიონერული კოცონებით განათებულ ლაშქრულ ღამეებსაც და ტყეებსა და ველებთან შეხვედრის სიხარულსაც, საბანაკო ცხოვრების რომანტიკასაც და ბებოსთან და პაპასთან სოფელში სტუმრობასაც ხშირად გააფერმკრთალებს საკუთარი სკოლის, მერხის, თანაკლასელი მეგობრებისა და საყვარელი მასწავლებლის მონატრება...

ᲒᲐᲛᲝᲦᲘᲡ 1926 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲨᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ

7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 1980

ᲡᲐᲥ. ᲙᲙ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

16.917

დიახ, ეს ასეა. მაგრამ მაინც ბევრს, ყველაფრისგან განსხვავებულსა და განსაკუთრებულს ნიშნავს სასწავლო წლის ბოლო დღე მოსწავლის ცხოვრებაში.

ჟამიდან ჟამზე რეკს სკოლის წკრიალა ზარი. დერეფნები პირთამდე ივსება ჟრიამულით, და მერე ერთხანს ისევ მყუდროებაში ინთქმება მომდევნო ზარამდე.

სკოლასთან დღევანდელი გამომშვიდობება ყველა მოსწავლისათვის როდი ნიშნავს არდადეგებს. ზოგისათვის იგი ცხოვრების გზის დალოცვაა, მომავალზე იმედიანი ფიქრია, მოწოდების პოვნაზე ზრუნვაა. და არც არავის აკვირვებს, მეათეკლასელები დღეს ასე გამორჩეულად რომ სევდიანობენ, მხიარულობენ, ღელავენ...

თუმცა, არა მარტო მათთვის, უმცროსკლასელებისათვისაც, პიონერთა რიგებში ახლახანს მიღებული მესამეკლასელებისთვისაც მტკივნეულია წლევანდელი განშორება მშობლიურ სკოლასთან.

— რა ცუდია, მეოთხე კლასში ნანა მასწავლებელი რომ აღარ გვასწავლისო, — ყური მოვკარი წელან, როგორ შესჩიოდა ფანჯარასთან მიმდგარი ერთი გოგონა მეორეს.

არც გაემტყუნებათ ამ უნებლიე წუხილის გამო თბილისის 161-ე სკოლის III³ კლასის მოსწავლე გოგო-ბიჭებს. ნანა გულუა მათთვის პირველი მასწავლებელი იყო, ის ადამიანი, რომლის დახმარებითაც მათ პირველი ასოები გამოიყვანეს, პირველი ბგერები აღიქვეს და სიტყვებად აკინძულნი ამოიკითხეს დედა ენიდან.

სწორედ ნანა მასწავლებელი იყო მათი ბავშვური, გულუბრყვილო, ღრმა ტკივილისა თუ სიხარულის მოზიარე და დამცველი ამ ოთხი წლის მანძილზე. ოთხი წელი კი ცოტა როდია. ეს მთელი საუკუნეა ამ მესამეკლასელი ბავშვების ცხოვრებაში, საუკუნე, რომელიც მათ სკოლამ, მოსწავლეობამ, ახალმა წარმატებებმა გაუმრავალფეროვნა და დაუსურათა.

ᲣᲙᲕᲔ ᲩᲐᲛᲝᲠᲔᲙᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲛᲐ ᲖᲐᲠᲛᲐ; ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲕᲘᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲘᲬᲕᲔᲕᲔᲜ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲙᲚᲐᲡᲔᲚᲔᲑᲡ.

თითოეულს ბევრი რამ აინტერესებს. გატაცებით კითხულობენ წიგნებს, ხატავენ თუ ძერწავენ შორენა ებრალიძე და ლალი რუხაძე, დიმიტრი მუშტარაული, ხათუნა ხიზანიშვილი და თამარ ჯანჯღავა, თეა ჟვანია და ზაზა ტაბატაძე, III³ კლასის თითქმის ყველა მოსწავლე...

ეს უკვე ინტერესია, რომელსაც გაღვიძებაც სჭირდებოდა და გაღვივებაც, ინტერესი, რომელიც შემდეგ თავის მოწოდებას აპოვნინებს ხოლმე ადამიანს.

ხვალიდან იწყება ზაფხულის არდადეგები. ხვალიდან მოსწავლეები ისევ მოედებიან საქართველოს სოფლებსა და მთა-გორებს, პიონერთა ბანაკებსა და პანსიონატებს. შარშანდელივით მოირბენენ მთასა და ბარს, წყალსა და მწვანეს, ღელესა და მინდორს...

როგორ გამოიყენებენ ისინი ზაფხულის თავისუფალ დღეებს, რამდენ წიგნს წაიკითხავენ? როგორი თვალით შეხედავენ ბუნებასა და ადამიანებს? რას განიცდიან და დაიმახსოვრებენ? — ეს ყველაფერი, ალბათ, მათ დღიურებსა და ჩანაწერებში, მათ ნახატებსა და ჰერბარიუმებში, სექტემბერში, ახალი სასწავლო წლის პირველ გაკვეთილზე დაწერილ ზაფხულის შთაბეჭდილებებში აისახება.

ახლა კი თავიანთ საკლასო ოთახში სხედან. უკანასკნელ ზარს ელიან, საუბრობენ...

გაბმულად რეკს სკოლის ზარი. ღია ფანჯრიდან აყვავებული იასამანი იხედება. და გეგონება, ამ თითისტოლა გოგო-ბიჭებთან ერთად სკოლის ეზოში ეს-ესაა ასკინკილით გაირბენსო — მზეც ისე მხიარულად კაშკაშებს და ფანჯრის მინაზე სხივებით ცეკვავს.

ᲜᲘᲜᲝ ᲮᲐᲠᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ვეფხვისა მგზავსადგილზე

ანა იმედიძე

მხატვარი ჯემალ ლოლუა

მოთხრობა

1. კახამ და მანანამ შვეულმფრენით გადაიარეს კავკასიონი. თუში გოგო-ბიჭებისა და ჯაგოხანეს დახვედრა. ცხენზე არ ვმჯდარვარო, გამოტყდა კახა.

შვეულმფრენი სოფლის მახლობლად ფიჭვის ტყეებს შუა ჩამჯდარ პატარა მინდორზე ეშვებოდა. სოფლიდან ბავშვები და ბავშვებს ადევნებული ძაღლები მორბოდნენ. მოპირდაპირე მინდორზე ხალხი სათვალთვალოდ შესეოდა. ზვინები ისე ჩამწკრივებულიყვნენ, თითქოს ფიქრებში გარინდულიყვნენ ნაბადმოსხმული რაინდები.

იმ მხრიდანაც რამდენიმე ბავშვი გამოიქცა.

სოფელში მხოლოდ სპეციალური რეისები მოდიოდა და ამ შემთხვევას არც ერთი არ გამოტოვებდა. ყველაზე ადრე ისინი იგებდნენ, თუ ვინ და რატომ ამოდიოდა შენაქოში. ამჟამად არც გეოლოგები ამოსულან და არც აგიტმხატვრული ბრიგადის წევრები. ვეტექიმების ჯგუფი მოდიოდა მეცხოველეობის ფერმის და ცხვრის ფარების მორიგ სამედიცინო შემოწმებაზე. ამ რეისს გამოაყოლეს კახა და მანანა, რადგან ისინიც შენაქოში მოდიოდნენ საზაფხულო არდადეგებზე.

შვეულმფრენი ყვავილებით მოფენილ მიწაზე დაეშვა. როგორც იქნა, ჩაქრა ძრავა, მიწყდა გუგუნი, ჩადგა ქარი და მფრინავმა კარი გახსნა.

პირველი ის გოგონა გადმოხტა, აეროპორტში კახას რომ გაეცნო, მანანა აზიკური ვარო. კახამ თავის ზურგჩანთასა და მანანას ბარგს დაავლო ხელი, მაგრამ ვინ აცალა, ყველაფერი ხელიდან გამოსტაცეს, ჩვენ მოგეხმარებით, თქვენ ნამგზავრები ხართო.

ვიდრე ბავშვები უფროსებს ბარგის გადმოზიდვაში ეხმარებოდნენ, კახამ ზურგჩანთის ჯიბიდან ბლოკნოტი და კალამი ამოიღო. „ჩემო საყვარელო დედა, კავკასიონი კიდევ უფრო ლამაზია, როცა ზემოდან დასცქერი. ვამაყობ და ვეთაყვანები შენს მშობელ მიწა-წყალს“. უნდოდა მიეწერა, როგორც სხვა დროს იცოდა, გკოცნი უთვალავჯერო, მაგრამ თავი შეიკავა. „აბა, ვაუკაცურად!“ მიაწერა.

კახა მფრინავთან მივიდა.

— ძია, დარწმუნებული ვარ, ვიდრე თქვენ არ დაბრუნდებით, დედაჩემი აეროპორტიდან ფეხს არ მოიცვლის. გთხოვთ, ეს ბარათი გადასცეთ, — იქვე მინდვრის რამდენიმე ყვავილი მოწყვიტა და ისინიც გაუწოდა.

მფრინავმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მხოლოდ გაიღიმა, ბეჭზე ხელი მოუთათუნა კახას და ჯიბეში ხელი ჩაიყარა.

შვეულმფრენმა ზევით-ზევით აიწია, ბავშვების თავზე წრე შემოხაზა და ომალოს მიმართულებით გაემართა.

— გამარჯობა, კახა! მე ირაკლი ვარ... — უთხრა ტანმორჩილმა ბიჭმა, როცა შვეულმფრენის ხმა მიწყდა და ბავშვები ისევ აჟივჟივდნენ. — ბერდედა გელოდება, პაპა ლაზარე კი ცხვარშია. კვირის ბოლოს ჩამოვა.

და ირაკლიმ მაგრად ჩამოართვა ხელი კახას, შემდეგ კი მობალახე ცხენი ახსნა და კახას შესთავაზა, შეჯექიო.

ირაკლიმ მთაში ამოსული ქალაქელი ბიჭებისაგან იცოდა, რომ ყველა ოცნებობდა ცხენზე შეჯდომას. კახას სანუკვარი სურვილიც ეს იყო, მაგრამ... ცხენს რომ პირველად ხედავს ასე ახლოს, როგორ გამოუტყდეს ამ მთიელ ბავშვებს, ვაითუ სასაცილოდაც არ ეყოთ ეს ამბავი.

— ბიჭო, არ შეარცხვინო ეგ ქალაქელი სტუმარი, ყორანამ ჩირგვებისაკენ არ მოისროლოს! — გაიცინა აწოწილმა მწითურმა ბიჭმა, რომელიც მანანას ბარგს მიათრევდა.

— ვერაფერი მასპინძლობა გამოგივიდა, გიგი, — შენიშნა ირაკლიმ.

უცბად მანანა გამოეყო გოგონებს და ირაკლის წინ დაუდგა.

— აბა, ერთი ვნახოთ, რა მერანი გყავს! — თითქოს უჭირსო ქართული ლაპარაკი, უცხო კილოთი თქვა მან. გამოსტაცა ხელიდან თოკი, აღვირად ჩაუდო ცხენს და თვალის დახამხამებაში ზედ მოექცა შეუკაზმავ ყორანას, გადაუჭირა თოკის ბოლო და სოფლის გზას მტვერი აადინა.

არავის ხმა არ ამოუღია. თავშეკავებული ბავშვები ყოფილანო, გაიფიქრა კახამ. თელავის აეროპორტში მანანა უყვებოდა მას, დელისში ვცხოვრობო. და აი, თურმე რას ნიშნავს ჰიპოდრომთან ახლოს ცხოვრება.

ძაღლმა წამოიყეფა.

— ოჰ, ჯაბო, ჯაბოხანე, მაპატიე, ყურადღება ვეღარ მოგგქციე. ეს ჩვენი ძმაა — კახა! — ჯაბო ადგილიდან არ იძროდა. — ჩვენი ძმა — კახა! — გაუმეორა ირაკლიმ.

ჯაბო ზანტად გამოემართა, თითქოს არაფრად ეპიტნავებოდა ახალი ნაცნობობა და თათი გაუწოდა კახას.

ბავშვები და ვეტექიმები სოფლისაკენ მიმავალ საცალფეხო ბილიკზე გამწკრივდნენ. ქალაქელი სტუმრები აღმართში ხშირად ისვენებდნენ და გოგო-ბიჭებმა გაასწრეს.

სოფლის პირას სათიბებიდან გამოქცეული ბავშვები იდგნენ. ახლა ისინი მიეხმარნენ ბარგის წამოღებაში თავიანთ თანატოლებს.

ერთი გრძელნაწნავებიანი გოგონა ირაკლის ამოუდგა მხარში და კახას მიესალმა. კახამ მოკრძალებით უპასუხა სალამზე.

— ჩემი დაა — მარიხი, — თქვა ირაკლიმ.

უკვე სოფლის ვიწრო შუკებზე მიდიოდნენ.

კახა გულისყურით ათვალიერებდა სიპებით აშენებულ და ფიქალით გადახურულ სახლებს. ეს მისი დედულეთი გახლდათ. აქ დაიბადა დედა, ყოველ ზაფხულს აქ ამოჰყავდათ ბარიდან ბავშვობის წლებში. როცა დედა ტელევიზორში თუშეთზე გადაცემას უყურებს, ყოველთვის თვალს არიდებს შვილს. იცის კახამ, დედა გულის ტკივილს რომ უჩივის, მთაში ვეღარ ამოდის, სიმაღლე მოქმედებს ავადმყოფ გულზე. ნეტა რას ეტყვიან ექიმები, ნუთუ ოპერაცია დასჭირდება? ღმერთო, კარგად ამყოფე!



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ირაკლი, უნდა გამოგიტყდე, ცხენზე არ ვმჯდარვარ... — რაკი ამოთქვა, გულზე მოეშვა კახას.

— ეგ არაფერი. — შორს გაიხედა ირაკლიმ. — ცოტას დაისვენებ და ვარჯიშს დავიწყებთ... დღესვე.

II. ვარჯიშის დროს ყორანამ კახა ბექობზე გადაისროლა, რაც არავის გაჰკვირვებია. წისქვილიდან მომავალი მარგალიტი ბერდედა ერეკლე მეფეს იხსენებს.

ამ ადგილს წისქვილთა ხევს ეძახიან. ხევში ოცამდე წისქვილი დგას, მაგრამ უმეტესობა დანგრეულია. სულ რამდენიმე წისქვილი ვარგა სამუშაოდ. სოფლიდან მიმავალი გზა შუაზე სჭრის წისქვილების ხევს. მარგალიტი ბერდედის წისქვილი გზიდან მესამე აღმოჩნდა. იქვე გამობმული ფიქრო იცნეს ბიჭებმა, რომლებიც მოპირდაპირე გორიდან იყურებოდნენ.

კოწახურის ბუჩქის ქვეშ წამოწოლილი ირაკლი თვალს ადევნებდა კახას ცხენოსნობას. კახა უკვე თავისუფლად დააქროლებდა ყორანას. სოფელს გამორიდეული ბიჭები აქ მოდიოდნენ სავარჯიშოდ.

კახამ გაოფლილი ყორანა ირაკლის ფეხებთან შეაჩერა. ბუჩქებიდან ფხუკუნი მოისმა. ცხენი ყალყზე შედგა, კახამ თავი ვეღარ შეიკავა, გადმოვარდა და ბექობზე ჩაკოტრიალდა.

ბუჩქებიდან ხითხითით მანანა და მარიხი გამოვიდნენ. მათ გიგი გამოჰყვა. გიგიმ ყორანას ხელი აღვირში უტაცა და ფიჭვის ტოტზე მიაბა.

— ჰა, ამოდიხარ თუ ჩამოგეშველო? — ჩასძახა გიგიმ კახას. — ცხენოსანმა ჩამოგდებაც უნდა იწვნიოს!

კახა ცოტა დარცხვენილი ჩანდა, მაგრამ ბავშვების გულითადობაზე შეკრთომამ მალე გაუარა.

— ირაკლიმ ისეთი ადგილი შეგირჩია, აქ ისე ძალიან არაფერს იტკენ. — უთხრა გიგიმ. — ნახე ჩემი თავი! — თმები გადაიწია და ნაიარევი გამოაჩინა. — დოლში, ბაირაღიდან სულ რაღაც ხუთიოდე მეტრზე, მაყურებლის თვალწინ დამემართა ეს ამბავი.

კახამ ტანსაცმელი გაისწორა და ჩამოჯდა. გოგონებმა ჟოლო შესთავაზეს, წინ დაუდგეს ხის ჯამით.

— გიგი, გააგრძელე, რა საინტერესო ამბავს გვიყვებოდი! — სთხოვა მანანამ.

— აგეურთის დარბევაზე ვსაუბრობდით, — გადაულაპარაკა გიგიმ ირაკლის.

— ნუთუ მთელი სოფელი გაწყდა? — არ სჯეროდა მანანას.

— როცა ერთზე ათი და ოცი მოდის, ძალა აღმართს ხნავს. არ დანებდნენ და დიდ-პატარიანად შეაკლეს თავი. — თქვა ირაკლიმ და კოწახურის შეფერილი ნაყოფი პირში ჩაიდო. სახე დაეჭღანა, მაგრამ მაინც გადაულაპა.

— წავიდეთ რა, დავათვალიეროთ აგეურთის ნანგრე-

ვები.— სთხოვა ბავშვებს მანანამ.— აქედან რომ ციხეები მოჩანს, ეგაა აგეურთა? არც ისე დანგრეულია!

— ნასოფლარი მოფარებულშია, არ ჩანს, — თქვა მარიხმა. — წაგიყვანთ აუცილებლად.

მანანამ ახლა წისქვილების მიმართულებით გაიხედა.

— ეს ბილიკი სად მიგვიყვანს?

— დაღესტანში. — უპასუხა ირაკლიმ.

— აკლდამების მხარეს რა ესაზღვრება თუშეთს? — ხმადაბლა იკითხა კახამ.

— ქისტეთი. შენ რა, მართლა ფიქრობ?.. იმ მხარესაცაა აგეურთასავით ამოწყვეტილი და აოხრებული სოფელი — ჰეღო.

მანანამ ყური მოჰკრა მათ საუბარს, მაგრამ არ შეიმჩნია. ისე კი გაუკვირდა, რატომ ასე ფარულად ლაპარაკობენო.

— მამაჩემი თუ ამოვა, ვთხოვ, ერთი-ორი მოსაზღვრე სოფელი დაგვათვალიერებინოს. რა ჰქვია დაღესტნის პირველ აულს?

— ხუშეთი. მე ვყოფილვარ, ბანიანი სახლები დგას!

— წამოიძახა მარიხმა.

მანანა ერთ-ერთ წისქვილს დააცქერდა.

— ეს ის მმმოხუცი არაა, ჩვენ რომ ეზო-ყურე და სახლ-კარი დავულაგეთ? აუ, პაპა გიოს არ უნდა მივეხმაროთ?!

ბავშვები წამოცვივდნენ, წამოავლეს ხელი ჟოლოთი სავსე ჭურჭლებს და დალმართზე დაეშვნენ.

კახამ ყორანა ახსნა. კვიცი, იაბო, ფაშატი... — გადაფურცლა უხილავი ლექსიკონი. ისე „ცხენის“ რამდენი ლამაზი შესატყვისი ჩააწერინა პაპა ლაზარემ — რაში, ძერანი, ჰუნე, ტაიჭი, ულაყი, იორღა, თეთრონი, ლურჯა, საფერხე... „ზეზვასა გაფრინდაულსა გაუორგულდა საფერხე...“

სოფლის გზაზე ჯაბო გამოჩნდა. ჯაბო და ბავშვები წისქვილებთან შეხვდნენ ერთმანეთს.

ჯაბომ რაღაც წაიწკავწკავა, ალბათ საყვედურობდა, რატომ გამომეპარეთო.

ირაკლიმ დასამშვიდებლად თავზე ხელი გადაუსვა.

წისქვილის სარკმელში მარგალიტი ბერდედა გამოჩნდა.

— კარგ დროს მოხვედით, საფქვავი ჩამოთავდა, — თქვა მოხუცმა და გარეთ გამოვიდა. ფქვილისაგან გადათეთრებული მანდილი მოიხადა და გადაფერთხა.

ბიჭებმა წყალი ღარიდან გადაუგდეს, ქვები გაჩერდა და ხმაურიც მიწყდა.

ირაკლიმ ქოჭები დაადგა ფიქროს. გიგიმ გიო პაპას ტომარა მოიტანა წელში მოხრილმა.

— არ დაიძალო, შვილო! — შეიცხადა მარგალიტი ბერდედამ.

ტომრები ვირს აჰკიდეს.

— ფიქრო, შე საცოდავო! — შეიბრალა ვირი მანანამ. — რამოდენა ტვირთი დაგაწვა!..

ამ თანაგრძნობაზე ფიქრომ ისე დაიყროყინა, რომ ჯაბოც კი გაჯავრდა, რა მოგვიდაო.

ჩოკინა, ჩოჩორი, ვირი, სახედარი, დიდყურა, ყროყინა, — ჩაინიშნა კახამ გონებაში.

ყორანა გიო პაპას დაუთმეს, ჩვენ აგერ მარგალიტი ბერდედასთან საუბრით წამოვალთო.

წისქვილების ხევი რომ ამოათავეს, წყაროსთან მიახლოებისას მარგალიტი ბერდედა შედგა.

— ძალიან ცივი და გემრიელი წყალია. ამ ადგილს ნივრეს ეძახიან, კახა რომ ცხენს დააჯირითებდა, იმ გორას — კურეხს. ნათქვამია, ერეკლე მეფემ ნივრეს წყალი ინატრა, კურეხის ხორბლის პური და დეკის ცეცხლზე შეცვარული შვლის მწვადებიო.

— კაი პირის გემო ჰქონია, ჩემმა მზემ! — წამოიძახა გიგიმ და ხელები მოიფშვნიტა.

მანანამ კუშტად გადახედა.

— ეგ რომელმა ერეკლემ? — დაინტერესდა კახა.

— მაგდენი აღარ ვიცი, შვილო, ეგ თქვენ გაარკვიეთ. მთავარი ისაა, რომ სტუმრად კახეთის მეფეებიც გამოდიოდნენ ჩვენს უბატონო თუშეთში.

III. სოფელი გზის მშენებლებთან მოსაკითხით აგზავნის ბიჭებს. მანანა საგაზეთო წერილის დაწერას აირჩევს. ბავშვები ეხმარებიან დაშავებულ ტუისმჭრელს.

მოსახვევში ჯაბო, რამდენიმე ცხვარი და ბარგაკიდებული ფიქრო გამოჩნდნენ, უკან ბიჭები მოჰყვებოდნენ.

მანანა ხუნწის ბუჩქს მოსცილდა, გაოცებულ ბიჭებს წინ გადაუდგა. ხელში ხუნწის კუნწულა ეჭირა. სიმწიფეში შესული მარცვლები ყუნწისკენ თანდათან მუქდებოდა.

— ნახეთ, რა ფერებია! ეს ჯერ მკვახეა — მომწვანო, ეს ვარდისფერი, წითელი... — შეჩერდა, თითქოს იხსენებსო, — „ბურდო“... თითქმის შავი. დამეხმარეთ, „ბურდოს“ რა ჰქვია?..

ხმა არავინ გასცა, მხოლოდ ჯაბომ წამოიყეფა.

— მეც თქვენთან ერთად მოვდივარ. ვერა ხედავთ, როგორ ვარ გამოწყობილი?..

— ჩვენ გზის მშენებლებთან საჭმელი მიგვაქვს, საკლავი მიგვყავს, სასეირნოდ კი არ მივდივართ! — უთხრა ირაკლიმ. — შენ ამხელა გზაზე ფეხით სიარულს შესძლებ?

— შეურაცხყოფას ნუ მაყენებ! კავკასიონის მწვერვალებში შეყუჟულ თუშეთს რკინის ბედაურები ესიზმრება... მმმე უკვე საგაზეთო წერილზე ვფიქრობ: „პირველი მანქანა ზეზვა გაფრინდაულის მიწა-წყალზე“...ჰა, როგორია?

მხოლოდ გიგის გაეღიმა, გაწითლდა რატომღაც. მალე მოგვწევითო, თქვა და სოფლისაკენ იბრუნა პირი.

ირაკლიმ გაფანტულ ცხვრებს შემოუძახა, ერთად მოუყარა თავი და მხარზე კომბალგადებული წინ გაუძღვა.

დალმართი ჩაათავეს, ჭალაში ვეძასთან შეჩერდნენ.

მანანამ პირში ჭიმის გრძელი ღერო ჩაიდო, ჩაიმუხლა და ვეძა რამდენჯერმე მოწრუპა, გემო გაუსინჯა.

— დასალევად უგემურია, მაგრამ ხალხური მედიცინა ამაყობს ბუნების ასეთი საჩუქრებით. დარწმუნებული ვარ, აქ სადღაც ჟენშენიც ხარობს, ოღონდ სხვა, უფრო პოეტური სახელი ერქმევა...

ცხენის ფრუტუნზე ყველამ ბილიკისაკენ აიხედა. გიგი მოუძღოდა ჟღალ ცხენს. მანანას თვალში მოხვდა უნაგირზე გადაფარებული ჭრელი, ჯეჯიმიანი ჩული, რომელსაც ფერადი ქოცოცოები ეკიდა.

გიგიმ აღვირი მანანას გადასცა.

ირაკლი თურსაის ხეს უკლიდა გარშემო, ჯაბოც თან დასდევდა.

— რას ათვალიერებ? — შეეკითხა მანანა.

— მძივები გიყვარს?

— სამკაულები რომელ ქალს არ უყვარს?

— ჰოდა, სამძივე ტოტებს ვარჩევ, უკან რომ მოვბრუნდებით, ავაჭრი.

— შენი პატარა დის აკვანზე რომ ჰკიდია, ნუთუ ისეთ მძივებს გააკეთებ? — გაუკვირდა მანანას.

ირაკლიმ თავი დაუქნია.

აღმართში მანანა ცხენზე შეჯდა. თავზე ცისფერი გვირილების გვირგვინი ედგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქამდე გვირილა მხოლოდ თეთრი მეგონა, აქ რა საოცარი ყვავილებია! — უთხრა კახამ.

აათავეს მიხვეულ-მოხვეული გზა და ომალოს ვაკეს დაადგნენ. აქ, საწყობთან, ლუხუმი ელოდებოდა ბავშვებს. ფქვილის ტომრებაკიდებული ცხენი ჩააბარა გიგის, მე ბარში მგზავნიან, ვეღარ გამოგყვებით, აბა, თქვენ იცით, ქუმელაურთის გასწვრივ ან ხისოს გადასახედში ნახავთ შენაქოელ გზის მშენებლებსაო.

— გზაში ხომ არ დაგვიღამდება? — იკითხა მანანამ.

— ცხენები გყავთ, ასე რომ, დღეს შენს ბერდედას ძროხების მოწველაშიც მიეხმარები, — ანუგეშა ლუხუმმა.

— ნეტა იცოდეთ, როგორ მიჭირს მმოწველა... — ჩაილაპარაკა მანანამ.

მინდორში განმარტოებით მდგარ ციხეს ჩაუარეს.

— ამბობენ, ეს ციხე უნდა აიღონ, საფრენ ბილიკს ხელს უშლისო, — თქვა სინანულით გიგიმ. — პატარა რომ ვიყავი, უფროსების ლაპარაკს ყურს მოვკრავდი, — ყველ-მატყლი ველისციხეში წავიღეთო და მეგონა ამ ველზე, ამ ციხეზე ჰქონდათ საუბარი.. ჩვენი საცხენე სერიდან სულ ამ ციხეს გადმოვცქეროდი.

— ეს ველია?! — გაუკვირდა მანანას.

— აბა რა! სხვაგან თუშეთში ამოდენა მოსწორებულ ადგილს ვერსად ნახავ. როცა ბარში ჩამიყვანეს, მაშინღა გავიგე, რომ ველისციხე კახეთის სოფელს ერქვა.

როგორც კი დაღმართში ჩაეკიდნენ, გაღმა ტყეს მიკრული სოფელი გამოჩნდა.

— ეგ არის ქუმელაურთა, — უთხრა ირაკლიმ მანანას.

მიხვეულ-მოხვეული გზიდან სოფელი ხან თვალს მიეფარებოდა, ხან ისევ ამოიმართებოდა ზღაპრული სილამაზით.

ხიდზე გავიდნენ. მალე სოფელი სულ მიეფარა თვალს.

დროდადრო აფეთქების ხმა შესძრავდა ხოლმე მიდამოს. ფიქრომ ერთი-ორჯერ ტლინკები ჰყარა, თასმები აიწყვიტა და ჩანთები, რომლებშიც ხაჭო, კარაქი და ყველი იდო, კინაღამ უფსკრულში გადაუძახა.

მთა რომ გადაიარეს, სულ სხვა ხეობა გადაიშალა ბავშვების თვალწინ.

მანანა და კახა უკვე მიეჩვივნენ, რომ ყოველ გადასახედში ბუნების ახალი, განსხვავებული სურათი ელოდათ —ხან ჩანჩქერებით დასერილი ფერდობი, ხან კლდოვან კორწოხზე შეფენილი სოფელი, ხან ალპური საძოვრები, ხანაც ფიჭვის კორომები და მაინც გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

— ეს რა ხრიგინებს? — იკითხა მანანამ და ხმენა დაძაბა.

— ხერხია. გზის გასაფართოებლად ხეებს ჭრიან, — უპასუხა გიგიმ. — ამას წინათ რომ ვიყავი, მაშინ ვნახე — რაღაც თოკის ნაწყვეტს გამოჰკრავენ ხელს და ძრავა ათუხთუხდება. ხერხიც მუშაობს, მაგრამ რას მუშაობს!

ხერხის ხრიალი რომ მიწყდებოდა, წაქცეული ხის ლაწანი ისმოდა.

მერე ერთბაშად ყველაფერი მიწყნარდა.

— ამფეთქებლებიც გაჩუმდნენ, ალბათ ისვენებენ, — თქვა მანანამ და ცხენი ააჩქარა.

გზის რამდენიმე ზიგზაგი რომ გაიარეს, ჯაბო შედგა, ყურები ცქვიტა და დაიყეფა.

— ჩუმად, ვიღაც იძახის! — შეკრთა მანანა.

აქ გზის გაყოლებით ახალმოჭრილი ხეები ეყარა. ახლომახლო არავინ ჩანდა. ქვევით ჩაიხედეს. გადაჩეხილი ხის ქვეშ კაცი იწვა და შველას ითხოვდა. ბორცვს შემოუარეს, მხოლოდ იქიდან შეიძლებოდა ჩასვლა. მაგრამ გადაჩეხილი ხე ადგილიდან ვერ დასძრეს. კაცმა იქვე მიგდებულ ხერხზე ანიშნა გიგის. კიდევ კარგი, ხერხი არ დაზიანებულიყო. ტოტი, რომელიც კაცს ზედ დასწოლოდა, როგორც იქნა, ჩამოხერხეს. კაცმა ახლა მარცხენა ფეხზე მიუთითა ბავშვებს. წვივი სულ გასისხლიანებული ჰქონდა. ტყისმჭრელმა ძალა მოიკრიბა.

— მარილი თუ გაქვთ, დამაყარეთ ჭრილობაზე, შვილებო, სისხლი შედედდეს... როგორმე შემიხვიეთ...

გიგი ამოვიდა, ფიქროსკენ გაიქცა. დედა რომ უფროს შვილთან გასაგზავნ ამანათს ამზადებდა, გიგიმ დაინახა, როგორ ჩაასხეს დებმა დედის მითითებით რეზინის სათბურაში არაყი. ეს გაახსენდა. დედის ჩანთა გახსნა, მიაგნო, რასაც ეძებდა. თეთრ ჩვარში გამოკრული მარილიც ამოიღო.

მანანა ზემოდან უყურებდა ბიჭების საქმიანობას.

ტყისმჭრელი უფრო მოხერხებულად მიაწვინეს. მოწმინდეს სისხლი, არყით მობანეს ჭრილობა. ირაკლიმ გასუფთავებულ ჭრილობაზე მარილი მოაყარა. ტყისმჭრელმა ამოიგმინა.

კახამ თავისი მაისური ნაფლეთებად აქცია. ამ ნაფლეთებით ირაკლიმ ჭრილობა შეუხვია და მერეღა ერთი ღრმად ამოიხვნეშა, დანამული შუბლი მოიწმინდა, იქვე ჩამოჯდა.

— ახლა როგორმე ზევით ავიყვანოთ.

ტყისმჭრელმა ცოტა სული მოითქვა, გიგი და კახა აქეთ-იქიდან მხარში ამოუდგნენ და სვენებ-სვენებით ამოიყვანეს გზამდე. ირაკლის ხერხი მოჰქონდა.

მანანას ფიქრო და ცხენები ხეებზე მიება და ცხვრებს დარაჯობდა.

ტყისმჭრელი შემაღლებულ ადგილზე შეაყენა გიგიმ, ბიჭებმა ახლოს მიუყვანეს ცხენი და ზედ ფრთხილად შესვეს.

აღვირი გიგიმ დაიჭირა ხელში, აფეთქების ხმაზე ცხენი არ დაფრთხეს და კაცი არსად გადაჩეხოსო.

გზის მშენებლებამდე დარჩენილი სამიოდე კილომეტრი მანანამ სხვებთან ერთად ფეხით გაიარა.

IV. გიო პაპას რამდენიმე თოფი აქვს დამარხული. მოხუცის წაკვეთილი ცერის ამბავი. ფიცვერცხლი.

საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილი გოგო-ბიჭები საზეიმო იერით ჩადიოდნენ ქვის საფეხურებზე. შრიალა ცირცელთან შედგნენ.

— უკრაინაშიც ზუსტად ასეთივეა. — ჩაილაპარაკა მანანამ. ნაყოფით დახუნძლულ ხეს ათვალიერებდა. მხარზე ჩანთა ეკიდა, რომელზედაც წითელი ჯვარი იყო გამოსახული.

— გიო პაპაზე საოცარი ამბავი მითხრა ბერდედამ, — წამოიწყო კახამ, — რამდენიმე თოფი აქვს დამარხულიო.

— რა გასაკვირია, ბეჭედში აძვრენდა თურმე ტყვიას და ნადირი რას გადაურჩებოდა, — თქვა გიგიმ.

ამ საუბრით შევიდნენ გიო პაპასთან. მანანა მისალმებისთანავე შეეკითხა:

— გიო პაპა, დამარხული თოფები რად გინდათ?

მოხუცმა ჩაიღიმა, თეთრ წვერზე ხელი ჩამოისვა და რატომღაც ბოხოხა ქუდი მოიხადა ჭაღარა თავიდან.

— ეგ წესი ოდითგან მოდის ჩვენში, მე კი არ მომიგონია. როცა თოფი ას სულ ნადირს შეიწირავს, ის იარაღი ვალმოხდილად ითვლება და აღარ უნდა შეაწუხო.

— სამუდამოდ მიწაში ჩასადებად მაინც როგორ იმეტებთ თოფს? — ახლა კახამ მიმართა მოხუცს.

— მანდ ღმერთმა მაპატიოს, ცოტა შესწორება შემჭონდა. მიწას კი ამოვთხრიდი, თანაც ისეთ ადგილზე, სადაც ადამიანის თვალი და ფეხი ადვილად ხვდებოდა, მაგრამ კარგად შეფუთულ თოფს ისე მივაყრიდი მიწას, რომ კონდახი ან ლულა გამოსჩენოდა, თანაც დავაყოლებდი, ალალად მოხმარდეს შენს მპოვნელსაო. მე კი აღარ დავიტოვებდი, წესი წესია. კიდევ ვიმეორებ, ღმერთმა შემინდოს, თუკი მონადირე კაცს იარაღის ასეთი სიყვარული ცოდვად ჩამეთვლება. ნადირობის ქალღმერთი არასოდეს შემომწყრომია, ვიდრე თვალი მიჭრიდა. ახლა აღარც მუხლი მემორჩილება კლდე-ღრეში სახეტიალოდ.

— გიო პაპა, — ისევ მანანა ალაპარაკდა, თან მარცხენა ხელში ჩააფრინდა მოხუცს. ბოხოხი დაახურა, მერე ცერზე დააცქერდა, — ასე რატომ გაქვთ, თითქოს წაუთლიათო?

მთიელ ბავშვებს ეს შეკითხვა ყოველთვის ებადებოდათ, როცა გიო პაპას ახლოს ნახავდნენ, რადგან სოფელში ათასნაირად ყვებოდნენ ამ თითის ამბავს, მაგრამ ვერ ბედავდნენ მოხუცთან ამის შესახებ სიტყვის დაძვრას.

სიჩუმე ჩამოვარდა. გიო პაპამ ბავშვებს თვალი გადაავლო. გიგი და ირაკლი ფარდაგზე ჩამოკიდებულ იარაღს მიუტრიალდნენ, თუმცა ათასჯერ ჰქონდათ ნანახი.

მარიხმა ნაწნავის წეწვას თავი ანება და ცოცხს სტაცა ხელი. მანანა და კახა კი გულუბრყვილო, ცნობისმოყვარე ბავშვური თვალებით მისჩერებოდნენ ამ გოროზ მოხუცს.

— ეს ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი ამბავია, — წამოიწყო პაპა გიომ. — იყო ერთი ვაჟკაცი, ობოლა ნაჭაური, ცხონდა მისი სული! ამ გვარის მამაკაცებიდან აღარავინ დარჩა ცოცხალი, ჩაკვდა გვარი!... — ჩაილაპარაკა სინანულით. — ჰოდა, ამ ობოლა ნაჭაურმა დაჯაბნა მომინდომა საჯარეში, — ქალების თვალწინ. ფიცხი ხასიათი ჰქონდა, ამიტომ ხლაფოთს ადვილად გადაეყრებოდა ხოლმე და სხვასაც ჩაითრევდა. გადამეკიდა, მიზანში ვისროლოთო. მე არიდება ვამჯობინე, მაგრამ ვინ მოგეშვა! როცა მითხრა, ჩემს ცხენს ჩამოვდივარ თავისი მოკაზმულობით შენი კუდგაფხეკილი ყროყინა ვირის საპირისპიროდაო, რაღას ვიზამდი... მეტისმეტად იყო თავდაჯერებული. ასე არ ვარგა, ძმაო! მჯობის მჯობი არ დაილევაო, უთქვამს ბრძენ ხალხს... სველ-ხმელა ვაგდეთ...

— სველ-ხმელა რა არის? — მუჯლუგუნი წაჰკრა მანანამ გიგის.

— ეს წილისყრას ნიშნავს, — განაგრძო გიო პაპამ. — პირველი სროლა ობოლას შეხვდა. საერთოდ ქუდბედიანს ეძახდნენ, იმდენი დაკიდარაბიდან დაუძვრენია თავი. განსაზღვრულ ნაბიჯზე დავდექი და პაპიროსიანი ხელი ავწიე, ისროლა. პაპიროსთან ერთად ცერიც გააყოლა ტყვიამ. მეთვალყურეებს გაჩუმება ვანიშნე თვალით, თუმცა ობოლა უკვე წაგებულად ითვლებოდა. ახლა მე შევმართე თოფი. ჩემმა ნასროლმა პაპიროსი ნახევარზე

გადაწყვიტა, როგორც დათქმული გვქონდა... გიო პაპა გაჩუმდა, ცერს დახედა. შემდეგ წამოდგა, კიდობნიდან მოვერცხლილი უნაგირი ამოიღო. — ეს მაშინდელია... კაცო, თქვენ ჩემს დასაკითხავად მოხვედით თუ ფიცვერცხლის საჭმელად? — იკითხა და დაფაცურდა.

კედლის განჯინიდან რძიანი ჯამი გადმოდგა მაგიდაზე, ფარდაგიდან ვერცხლის ქარქაშიანი ხმალი ჩამოხსნა, ხმალი ამოაძრო, ფხა მოუსინჯა, ქარქაში ჯამთან დაიჭირა და მოჩუქურთმებულ ადგილზე რამდენჯერმე ვერცხლი ჩაფხიკა. ანაფხეკი რძიან ჯამში ცვიოდა.

— აბა, ჯეელებო, მზადა ხართ?

კახა და ირაკლი ოთახის შუაგულში გაიჯგიმნენ, დანარჩენები ისევ მოხუცს შემოეხვივნენ.

— დავიწყოთ.

ბიჭები ხმას არ იღებდნენ.

— ნუთუ არაფერს იტყვით? — შეუძახა მოხუცმა.

ირაკლიმ კახას გადახედა, მხარში უჯიკავა.

— მე, ირაკლი ბელადიძე, ვაცხადებ საჯაროდ, რომ დღეიდან კიდევ ერთი ძმა შემემატა. ვინც მას რაიმეს დაუშავებს, ჩემთან ექნება საქმე... — გულზე ხელი დაიტყაპუნა. — იცნობდეთ ჩემს ძმას — კახა... კახა... ბიჭოს, რა სირცხვილია, გვარი რომ არ ვიცი? — გაწითლდა ირაკლი.

— ეგ არაფერი! ეგ არაფერი! — ანუგეშა გიო პაპამ. — მეომრებს ზოგჯერ ერთმანეთი ბრძოლის ველზე მოეწონებოდათ და იქვე, ვიდრე გვარ-სახელს გაიგებდნენ, მაჯებს გაიკაწრავდნენ და სისხლს შეურევდნენ, მერეღა იკითხავდნენ ვინაობას... ეგ არაფერი...

— მე, კახა ბარათაშვილი...

— ოჰო! — აღმოხდა გიგის.

— დღეიდან ძმად ვაცხადებ ირაკლი ბელადიძეს, — განაგრძო კახამ. — გავიზიარებ მის ჭირსა თუ ლხინს მთელი სიცოცხლის მანძილზე!

ბიჭებმა მოხუცის მოწოდებული ჯამიდან რძე მოსვეს, შემდეგ კი მაჯები გაიშიშვლეს. პაპა გიო ხმალს მისწვდა. მანანამ თვალი დახუჭა და ათამდე დათვალა. როცა გაახილა, კახა და ირაკლი მაჯებს ერთმანეთს უხახუნებდნენ. მანანამ ყველას დაასწრო და პირველმა მიულოცა ორივეს. მერე წითელჯვრიანი ჩანთა გახსნა, გაკაწრული მაჯები სპირტიანი ბამბით მოსწმინდა, ინფექცია არ შეიჭრასო და შეუხვია.

თეთრწვერა მოხუცი გაღიმებული უყურებდა მთელ მის საქმიანობას.

— გიო პაპა, ამ საღამოს კოტრებზე გეპატიჟებით, მე გამოვაცხობ... — გახარებულ მარიხს ყელში რაღაც ებჯინებოდა.—ყველანი ვიქნებით. დაგელოდებით!

გიგი ის იყო წამოდგა, უნდოდა ძმადნაფიცებისათვის ლექსი წაეკითხა, რომ ოთახში ვიღაცის ხმა შემოიჭრა. ბავშვებმა ყურები ცქვიტეს.

— რაშია საქმე? — წამოიძახა მანანამ.

— თედოს ხმაა. სოფელს მოუწოდებს, მოხდებოდა რამე, — ჩაილაპარაკა გიო პაპამ და ჯოხს მისწვდა.

ბავშვები გარეთ გამოცვივდნენ და საჯარეს მიმართულებით შეეკიდნენ აღმართს.

V. სოფლის მესაყვირე თედია ქუდზე კაცს უხმობს ტყეში გაჩენილი ცეცხლის ჩასაქრობად. ბავშვები ეხმარებიან უფროსებს; ათვალიერებენ აგეურთის ნანგრევებს.

შუა სოფელში აღმართულ გორაზე, რომელსაც ბეხვნეს ეძახდნენ, ქუდმოხდილი თედია გადმომდგარიყო და მთელი ხმით გაჰყვიროდა:

— ჰეჰეი, შენაქოელებო! სმენა იყოს და გაგონება! აგეურთის მხრიდან ტყეს ცეცხლი უკიდია, ქუდზე კაცს მოვუხმობთ! ბალღებო, ცხენები მოიყვანეთ სასწრაფოდ. ყველა ცხენის მოყვანის უფლებას გაძლევთ. ჰეჰეი, შენაქოელებო! ქუდზე კაცი!

ტყე იწვისო! — მთელი სოფელი ფეხზე დადგა დიდიან-პატარიანად. ბავშვები ცხენების მოსაყვანად სხვადასხვა მხარეს გაიქცნენ. მამაკაცები ვიდრე ცხენს მოუყვანდნენ, ფეხით დაადგნენ აგეურთის გზას.

ირაკლის ხელში უმცროსი და ეჭირა. სახლთან რომ გაირბინა, დედამ მაშინ შეაჩერა და ბავშვი მიაჩეჩა ხელში.

— დედა და მარიხი ბოსელში წავიდნენ. წასნის პირას აბია ყორანა, წადი და აგეურთისაკენ მიმავალ კაცებს მიუყვანე, — სთხოვა კახას.

კახა წასნისკენ გაეშურა. ყორანას მალე მიაგნო. ახსნა და ზედ მოევლო.

თითქოს დოღიაო, ბიჭები ერთმანეთს უსწრებდნენ ცხენდაცხენ. ყოველ მოახლოებულ ცხენზე მამაკაცი ჯდებოდა. ხელში ზოგს ბარი, ზოგს ხერხი, ზოგს ცული ეკავა, ხელცარიელი არავინ იყო. ბოლოს ყველა ამხედრებული მიჰქროდა. დარჩენილ ცხენებზე ბიჭები ერთმანეთს შემოუსხდნენ და წინ წასულ მამებსა და ძმებს მიჰყვნენ. კახამ გიგი შემოისვა ყორანაზე.

ცოტა კი გაუკვირდა კახას, ასე დაფეთებულები რას გარბიანო, მაგრამ რიჟა ახლოდან დაინახა, როგორ იწვოდა პირმზით ადგილზე უზარმაზარი ფიჭვების კორომი, თვალები დააჭყიტა.

მამაკაცები მიწას თხრიდნენ, ხეებს ჭრიდნენ, რომ ხანძრისთვის გასაქანი მოესპოთ. მიუვალ ადგილებში თოკებით ეშვებოდნენ.

საათი საათს მისდევდა, ებრძოდნენ სტიქიას ეს ჯმუხი მთიელები, ხვითქი გადასდიოდათ სახეზე და ტანზე. ბავშვები მიიწევდნენ საშველად, მაგრამ ახლოს არ იკარებდნენ. ეს დანაობის თამაში ხომ არ გგონიათო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი მამაკაცებს დაუგვიანდათ, ქალებმა საჭმელი სოფელში დარჩენილ ბავშვებს გამოატანეს. მანანა, მარიხი და ირაკლიც გამოჩნდნენ. ირაკლის მხარზე ხურჯინი ეკიდა, მანანას ხელადით არაყი მოჰქონდა, მარიხს კი ლუდის დოქი. ჭამისთვის კი ჯერ არავის ეცალა. ბავშვებს მობეზრდათ უსაქმოდ ყოფნა და აგეურთის ციხე-კოშკებს მოედვნენ.

— აქ ჯვარია, წმინდა ადგილი, ქალების შესვლა არ შეიძლება, — შეაჩერა გიგიმ. მანანამ უკან დაიხია.

— თქვენ შეგიძლიათ, — ანუგეშა ირაკლიმ, — ეგ მარტო დიდ ქალებს ეხება. ან კი ვინ იცავს ახლა ძველ ადათ-წესებს?

ქვის ყორეში შეიჭყიტეს. როცა სიბნელეს თვალი მიეჩვია, შეამჩნიეს ჯიხვის რქები, რაღაც ჭურჭელი, დროშები, რომლებსაც ზანზალაკები ეკიდა.

— ამ ყორეს დღეობის დროს გამოაღღვევენ და ყველაფერს გარეთ გამოიტანენ მოხუცი კაცები. დღეობის შემდეგ ისევ ამოქოლავენ, — თქვა გიგიმ. — გაიხედეთ, ჩააქრეს ცეცხლი, ალი აღარ ადის.

— აბა, ეს ბოლი საიდანღაა? — გაუკვირდა მანანას.

— რაც დაიწვა, ის ბოლავს, შეიძლება, ხვალამდეც იბოლოს. მთავარია, ცეცხლი ჩაქრა. ისე, საყარაულოდ დატოვებენ ვინმეს, რომ კიდევ არ გაღვივდეს. სოფ-რთხილეს თავი არ სტკივა.

კარგა ხნის შემდეგ, განაპირა შეთხელებულ ხეებთან მამაკაცები გამოჩნდნენ. ბავშვები გაიქცნენ და საჭმლის ამოლაგება დაიწყეს.

დაღლილი, გამურული შენაქოელები მადიანად შეექცეოდნენ სასმელ-საჭმელს. მადას არც ბავშვები ემდუროდნენ.

კაცებმა ქამრები მოუშვეს, მწვანეზე წამოგორდნენ, პაპიროსები გააბოლეს, ზოგმა ხვრინვა ამოუშვა.

ბავშვებმა მოკრიფეს ჯამ-ჭურჭელი და სოფლის გზას დაადგნენ.

VI. მანანა ხალიჩას ქსოვს. სოფლის წყალსაცავს ასუფთავებენ. სამკილოგრამიანი კალმახი სულს ღაფავს. გიგი ჯიხვისა და ვაცის რქებით ასაჩუქრებს ქალაქელ მეგობრებს.

მანანა და მარიხი საჩეხში შევიდნენ.

— რატომ აქამდე არ მაჩვენე? — ეკითხებოდა მარიხი.

— პირველად ძალიან გამიჭირდა, ბეჭს ძლივს ვიჭერდი ხელში. ახლა მივეჩვიე, თბილისში რომ დავბრუნდები, მხატვრული ქსოვის სექციაში უნდა ჩავეწერო. წასვლამდე ჩემს ხალიჩასაც დავამთავრებ, — და მანანამ ქსელს დაფარებული ფლასი გადააძრო.

— რამდენი მოგიქსოვია უკვე! — გაუკვირდა მარიხს. — ძალიან ლამაზია. ასეთი ხალიჩა ჩვენცა გვაქვს. მოდი, მოგეხმარები.

მანანამ ფერადი ბაწრებით სავსე ხოკერი მოათრია და გვერდზე მოიდგა. ბეჭი აიღო და ქსელი გულდაგულ ჩაბეჭა მთელ სიგანეზე.

გოგონები ქსოვაში გაერთნენ, საჩეხიდან ბეჭის ბაგა-ბუგის ხმა გამოდიოდა.

ბიჭები დილიდანვე ტყეში წავიდნენ, თან ფიქრო გაიყოლეს. ჯერ გიო პაპას მოუტანეს შეშა, შემდეგ კი მარგალიტი ბერდედას. ტყეში ველური ფუტკრის სადგომს მიაგნეს. თაფლი ბლომად მიირთვეს, ოღონდ კახა ლოყაგასიებული დაბრუნდა. გოგონებს არც დანახვებიან, ფიქრო წაიყვანეს საბალახოდ.

გიგი მესამე დღე იყო, ცხვრის ბინაში გაგზავნეს ნათესავებმა ყველ-მატყლის ჩამოსატანად. ამ საღამოს ელოდნენ.

გოგონებს მკლაკები დაეღალათ მუშაობით. მიალაგ-მოალაგეს იქაურობა, დაავლეს სპილენძის თუნგებს ხელი და წყლის მოსატანად დაეშვნენ თავქვე.

წყაროსთან ხალხი ირეოდა. ქალებს აჩქარებდნენ, წყალი დროზე ამოიღეთ, მერე აიმღვრევაო. მამაკაცები წყაროს გაწმენდას აპირებდნენ.

გოგონებმა თუნგები აავსეს და გვერდზე გადგნენ.

სამიოდე მეტრის სიღრმეზე სოფელს ამოშენებული ჰქონდა წყალსაცავი, რომელსაც რატომღაც გუბეს ეძახდნენ, დროდადრო ამ გუბეს ასუფთავებდნენ. შიგ ორი ან სამი კალმახი ყოველთვის დაცურავდა, ჭიაღუას და თავკომბალებს მუსრს ავლებენო. ერთი კალმახი მეტისმეტად გაიზარდა, გათავხედდა, თავის თანამოძმეებს ჩაგრავდა. გადაწყვიტეს ამ კალმახის მოცილება.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული რვალის ჭეშმარიტი

1980 წლის 17 მაისი.

უშურველად დაჰნათის მზე ქართველ მეფოლადეთა ქალაქს.

რუსთავის ცენტრალურ მოედანზე უჩვეულო ხალხმრავლობაა. აქ მოუყრიათ თავი ოპერაცია „შავ საბადოში“ გამარჯვებული რაიონებისა და ქალაქების საშუალო სკოლების მოწინავე რაზმებს, იმათ, ვინც თავი გამოიჩინა პიონერულ შრომით ლაშქრობაში — „ბამს—პიონერული მატარებლები“! დღეს აქ, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში შედგება ქართული რვალის კურთხევა, ახლოვდება ამაღელვებელი წუთები, როცა ნორჩების მთელი წლის საქმიანობა და დაუზარელი ჯაფა კონკრეტულ სახეს მიიღებს.

დიდი ბელადის ძეგლთან ამაყად გაისმის ოპერაცია „შავ საბადოში“ გამარჯვებული ნაკრები რაზმეულის თავმჯდომარის, თბილისის საქალაქო პიონერული შტაბის წარმომადგენლის მამუკა ჯიბუტის საზეიმო მიმართვა პიონერული ნადნობის ხელმძღვანელებისადმი: „რესპუბლიკური პიონერული ზეიმის მონაწილეებს, რომლებიც დღეს ქართველ მეტალურგთა ქალაქში შეეიკრიბენით, წილად გვხვდა „პიონერული ნადნობი — 80“-ის ჩამოსხმაში მონაწილეობის ბედნიერება.

ჩვენი რესპუბლიკის პიონერიამ დიდი ბელადის საიუბილეო წელს შეაგროვა 8558 ტონა ჯართი. გვიხარია, რომ სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და აყვავების კეთილშობილურ საქმეში ჩვენი წვლილიც შევიტანეთ. გპირდებით, ხუთწლედის დამამთავრებელ წელს საქართველოს პიონერები ახალი ძალით შევუდგებით ლითონის ნამსხვრევების შეგროვებას და წარმატებით დავამთავრებთ ოპერაციას — „ბამს — პიონერული მატარებლები!“

წითელყელსახვევიანთა ლაშქარი ქარხნისაკენ დაიძრა... საზეიმოდ მორთულა ქარხნის ეზო-კარი, საამქრო... უკრავს ბუკი და ნაღარა, პიონერული საყვირი ქვეყნიერებას ამცნობს ქართული პიონერული რვალის დაბადებას. მალე ნანატრი წუთებიც დგება, ღუმელიდან ოქროსფერ ლავად მოედინება პიონერული ნადნობი.

8558 ტონა ლითონი! ეს ხომ დაახლოებით ოთხი მატარებლის სრული შემადგენლობაა, გაზისა და ნავთობსადენის ათასობით მეტრი ფართო გაბარიტიანი მილებია, ასობით კილომეტრი პიონერული რელსებია, რაც მთავარია, ეს არის უტყუარი დასტური ნორჩი თაობის მაღალი მოქალაქეობრიობისა და შეგნებულობის, დაუზარლობისა და მოწადინებულობისა, საქვეყნო საქმისათვის უფროსთა მხარდამხარ ბრძოლისა და თავდადებისა...

დიახ, ეს გახლავთ თვალნათელი დადასტურება საკავშირო პიონერული მარშის — „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები“! — ცხოველმყოფელობისა.

მ. სეტიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკვადური

როდიონ ქორქია



ბავშვების საყვარელი მწერალი როდიონ ქორქია თავისი ყრმობის მოგონებებში გვიამბობს:

„მამა ყანის კაცი იყო.

დედა — დიასახლისი.

ანბანი დედის გავლენით ვისწავლე. დედაჩემი მწიგნობარი იყო, ბევრს კითხულობდა, შემაყვარა წიგნი.

წიგნი კი ბევრი გვქონდა...

... ძალიან მომეწონა ვარდისფერი „დედაენა“, რომელიც მაჩუქა დედამ.

ოთხი წლისამ „დედაენის“ პირველი ნაწილის კითხვა ვიცოდი იქამდე, სადაც მოთავსებულია მოთხრობა „ვანო და ჩიტი“.

კითხვის სურვილი გამოიწვია ჩემში წიგნში დახატულმა სურათებმა.

დედამაც პირველად ამ სურათებზე მიმითითა:

— აბა, თუ იცნობო?

რასაკვირველია, ვიცანი: ია, თოხი, ხე, მერცხალი, აკვანი, ურემი. ყველა ამათ მე ხშირად ვხედავდი ჩვენს ეზოში.

წიგნში ეს საგნები და ცოცხალი არსებანი ისე იყვნენ დახატულნი, როგორც სინამდვილეში.

ამიტომ „დედაენის“ გაგება ჩემთვის იოლი იყო...“

გულწასულად იხსენებს პატივცემული მწერალი თავის ბავშვობას, და, საგულისხმოა, რომ მთელი ეს ავტობიოგრაფია იწყება დაბადების ადგილით, სადაც პირველივე ფრაზად უწერია:

„ჩემი სოფელი — ჭალადიდი, თურქებთან ომის ფორპოსტი“.

დაუკვირდი, მკითხველო, ისტორიული მნიშვნელობის მქონე სიმაგრე, — დასაყრდენი, მომხდურთაგან თავდასაცავად!

ფორპოსტებს ოდითგან საკუთარი მკვიდრნი ჰყავდა მომვლელ-მცველებად, ე. ი. სოფლის ძთელი მოსახლეობა!

წარსულიდანვე მედგარი სიმტკიცე ესახელება მწერალს მშობელი კუთხისა.

ამად თუ მოსდევს მებრძოლის წიგნი „ყანის მუშაკის“ ვაჟიშვილს!

საგმირო წიგნებით და ყრმობისას მოსმენილი გადმოცემებით იმსჭვალება მოზარდის გრძნობა და გონება. წინაპართა ვაჟკაცური შემართება, რაც ლეგენდებად ქცეულა, ჰკვებავს მომავალი მწერლის ოცნებას, განსაკუთრებით კი — უკვდავი დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“.

„მე მაშინ რვა წლისა ვიყავი, წაკითხული მქონდა „სურამის ციხე“ და ბავშვებს ზეპირად ვუყვებოდი. მისმენდნენ აცრემლებულნი. ენანებოდათ ზურაბი“.

რვა-ათი წლის მოსწავლეს უკვე ჰყავს თავისი წრფელი აუდიტორია, ვისაც ზურაბის თავდადებას უკითხავს:

— შვილო ზურაბ, სადამდის?

— ვაიმე, დედავ, მუხლამდის!..

გულმშვიდად ძნელია „სურამის ციხის“ წიგნის წაკითხვა ან მოსმენა; თანასოფლელნიც აღელვებით უსმენდნენ.

ამასვე ბრძანებს პატივცემული მწერალი დღეს: იგი ხშირად შემოიკრებდა წერა-კითხვის უცოდინართ და უკითხავდა თავის საყვარელ წიგნებს.

„სხვისი ტანჯვის გაზიარებას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, — წერს როდიონ ქორქია, — ის აკეთილშობილებს ხასიათს და მომავალ მოქალაქეს; ბევრი სიცილი და ბევრი მხიარულება იწვევს ფუქსავატობას და ზერელობას. ცხოვრებაში შემსვლელმა ბავშვმა სევდაც უნდა იცოდეს და ცრემლის ფასიც... სინანულიც და სხვისი თანაგრძნობაც.

ამას გვასწავლიდა ზურაბის მწარე ბედით გამოწვეული ცრემლი და სევდა“.

იქნებ, სწორედ ყმაწვილი სურამელი ზურაბივით, იმიტომ გვაღელვებს ჩაკირული ბიჭუნას შავი ბედი მოთხრობიდან „მარილის აკვანში“, რაც რ. ქორქიას მიერ ერთი ამოსუნთქვით დაწერილიაო, თითქოს! მოთხრობა უკვდავების ჰიმნივით ეღერს პატარა ბიჭუნას გმირობაზე. ბიჭუნასი, ვინც თავი გასწირა და რევოლუციის მტრის, ვრანგელის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა.

მერედა რამდენი ამგვარი მცირეწლოვანი გულადი იმსხვერპლა ბრძოლებმა.

ეპოქაც ქარიშხლიანი დაემთხვა მომავალი მწერლის მოწოდებას და მიდრეკილებას; მან ჭაბუკობიდანვე უშუალოდ განიცადა პირველი მსოფლიო ომის ბობოქარი ხანა: სამხედრო სამსახურით გატაცებულმა სამართლიანი საქმისათვის თავგანწირვის მაგალითები იხილა საკუთარი თვალით.

ამიტომაა, რომ ქართულ საბავშვო მწერლობაში სამოქალაქო ომის ეპიზოდები ისე შთამაგონებლად არავის აუსახავს, როგორც პატივცემულ როდიონ ქორქიას.

წითელი არმიის გმირული ბრძოლების მონაწილე არის იგი. ოქტომბრის რევოლუციას ჯარშივე ხვდება. მას პირად მაგალითად ხშირად ჰყოლია თვალწინ წითელი არმიის ისეთი ლეგენდარული მხედართმთავრები, როგორიც კ. ვოროშილოვი და ს. ბუდიონი იყვნენ.

აქტიური აღქმა სინამდვილისა ანუ მასთან გულითადი დამოკიდებულება მწერლის თანდაყოლილ ნიჭთან ერთად ის მყარი ნიადაგი შეიქნა, ადრიდანვე საკუთარი ხმის პოვნა, რომ შეაძლებინა მწერალს.

სხვას ვის უნდა შეებედა ისე სათუთად ხელშესავლები თემისათვის, როგორიც ჩვენთა მამა-პაპათა გმირული ეპოპეა არის, თუ არა ფრონტის შთაბეჭდილებებით სავსეს, შინდაბრუნებულ წიგნის თაყვანისმცემელს როდიონ ქორქიას!

სერიოზული დამოკიდებულება ძირითადი თემის მიმართ,—საწინდარი გახდა როდიონ ქორქიას მრავალი ნაწარმოების წარმატებისა. ესენია: „სამი ბიჭის ამბავი“

(1934 წ.), „მარილის აკვანში“ (1940 წ.), „ოთხი ზღაპარი“ (1941 წ.), „სამშობლომ გამომგზავნა“, „შვილი“, „ნატო“, „სხარტულა“, „მწვანე კარავი“, „თეთრი ხატა“ (ხალხთა მეგობრობის თემაზე, უკრაინა-საქართველოს მეგობრობაზე) და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოთხრობათა კრებული სახელწოდებით „კარგი ამხანაგი“ (1967, 1970 წ.), რომელშიც შედის რევოლუციის დიდ ბელადზე დაწერილი მოთხრობები.

ეს წიგნი მოსწავლეებს აცნობს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრების პატარ-პატარა ეპიზოდებს: თუ რა მზრუნველი, თავაზიანი, თავმდაბალი და კარგი ამხანაგი იყო ვლადიმერ ლენინი. რომ ლენინს ბევრი მეგობარი ჰყავდა, გაჭირვებულ ამხანაგებს ეხმარებოდა, უყვარდა ბავშვები.

მწერლის მთელი რიგი ნაწარმოები სკოლების სასწავლო პროგრამაშია შეტანილი. უმეტესობა თვით ნორჩი მკითხველების გულშია, იქ ცოცხლობს.

პატარებს რომელი ერთის შინაარსი გაუძნელდებათ მოგვითხრონ!

მაგალითისთვის გავიხსენოთ ორმოცი თავდადებული კომკავშირელი ახალგაზრდა; ისინი სხვადასხვა ეროვნების მოზარდები იყვნენ, ერთი იდეით რწმენა-შედუღაბებულნი; და ყველა მათგანი, მტრის ხელში ჩაცვენილი, შეუდრეკელი რჩება ბოლომდე.

არც ერთი არ იღებს ხმას, როცა შეუჩნდნენ ჯალათები: მოინანიეთ და სიცოცხლეს გაჩუქებთო. მათ არ იკადრეს მტარვალთაგან ნაჩუქარი სიცოცხლე. რწმენას, მრწამსს არ უღალატეს.

მწერლის კალამი ბევრ შესანიშნავ წიგნს გვაცნობს აგრეთვე, რაც მოწინავე რუსული მწერლობიდან აქვს გადმოთარგმნილი წლების განმავლობაში.

თარგმანები წმინდა ლიტერატურული ქართულით არის შესრულებული.

მათგან აღსანიშნავია: ნიკოლოზ ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, არკადი გაიდარის „სკოლა“, ალ. ტოლსტოის „პური“, ო. გოლუბევას „ურჟუმელი ყმაწვილი“.

რა იდეა ამოძრავებს ჩვენს სახელოვან საბავშვო მწერალს? მოქალაქეობრივი შეგნება, მიზანსწრაფვა, რათა ყოველდღიურობის ფონზე გამოავლინოს გმირული სული, გმირული საქციელი ბრძოლასა თუ შრომაში.

როდესაც კოლხეთის ჭაობების ამოსაშრობად უდიდესი გეგმის განხორციელებას შეუდგა ჩვენი ხალხი, მაშინ მთელი წლობით ფოთში გადასახლდა მწერალი, რომ იქაური უშუალო შთაბეჭდილებით შეექმნა ცოცხალი სურათები ახალი მშენებლობისა.

მაშინ დაიწერა როდიონ ქორქიას წიგნი „კოლხეთის გულში“, — სინამდვილის მართლად აღქმული ამბებით.

ახალგაზრდობის ერთგული გუშაგი და ქომაგი, ჩვენი უფროსი თაობის წარმომადგენელი ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში ტრიალებს მუდამ.

სამაგალითოა პატივცემული როდიონის მრავალმხრივი ღვაწლი, კეთილმოსურნეობა განურჩევლად ყველას მიმართ. და მაინც მუდამ და განსაკუთრებით ახალგაზრდობაა მისი საზრუნავი.

მოგონებებში ხშირად განიხილავს საბავშვო თეატრის თუ პროზის საჭირბოროტო საკითხებს, ლიტერატურული ენის სიწმინდეს, დაუზარელი, ხალისიანი, ნებისყოფაშემოკრებილი.

მშვიდობიან დროს, და ადრევეც, დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში, პატივცემული როდიონი ყოველთვის მოწესრიგებული და რაინდულად მოკრძალებული იყო და ასეთივე ბრძანდება ახლაც. თქმულა: ადამიანს მგზავრობაში შეისწავლიო; სკოლაში ან ბანაკში, პიონერებთან სტუმრობისას, არტისტულად მოხდენილი, თავაზიანი სიდინჯით და თავდაჭერით გვხიბლავს მის ირგვლივ მყოფთ. კვლავაც მრავალგზის მოინადირებს შემხედვარეს, თუ თავისებური მსუბუქი იუმორიც გამოურია ენაკვიმატობით.

და მაინც რაინდული თავაზიანობით გვაჯადოებს.

თქმულის დასადასტურებლად პატივცემული როდიონისავე ერთ საგულისხმო მოგონებას მოვიყვანთ:

„ხუთი წლისა ვიყავი, დედას მივყვებოდი ქუჩაში. გზა ნაწვიმარი იყო და ტალახიანი.

ერთგან ათიოდე ცხენოსანი მოდიოდა თოხარიკით.

ჩვენ რომ მოგვიახლოვდნენ, შეჩერდნენ, დედას თავი დაუკრეს და როცა გავშორდით, მაშინ განაგრძეს გზა.

რატომ შეჩერდნენ-მეთქი, ვკითხე დედას.

— გზა ტალახიანი იყო და შეიძლებოდა ცხენებს ტალახის შხეფით დაესვარათ ჩემი კაბა, — მითხრა დედამ.—ესაა ქალის პატივისცემა, შვილო. ჩვენი ხალხი ქალს რომ გზაზე შეხვდება, ნაბიჯს შეანელებს, წინაც არ გაუსწრებს, საუბარში სიტყვას არ გააწყვეტინებს. ქალი თუ დგას, თვითონ არ დაჯდება, დაიმახსოვრეს.

მე დავიმახსოვრე.

მართლაც, რომ გავიზარდე და ცხოვრებას დავუკვირდი, მე ვხედავდი, რომ ჩვენს ხალხში არსებობს ქალის პატივისცემა მტკიცე და გარდაუვალი. ბავშვობაში ნახულმა დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე და ეს გავლენა — ხალხის მორალი — მთელი სიცოცხლის მანძილზე გამყვა“.

„ქალს ტალახი არ მოეცხოს“ — ნათელი, უბადლო მაგალითია ბავშვისათვის და უფროსისათვისაც რაინდობის პირველ სიბრძნედ დარჩება.

მშობლისაგან ჩანერგილი სიკეთე შვილებში არასოდეს იკარგება, ადრე თუ გვიან სიყვარულად გამოვლინდება, იქნება ეს დედა ენა, ბუნების სიყვარული თუ კაცთმოყვარეობა.

ქალის პატივისცემას გამოხატავს აგრეთვე მოთხრობა „ზარნიში“ სამამულო ომის ეპიზოდებიდან.

დედა და **წიგნი** — ამ ორი წმიდა სათავით იწყებს თავის მოგონებებს პატივცემული როდიონი და ჩვენც გულითადი სიყვარულით ვუსურვებთ ბედნიერ დღეგრძელობას, კვლავ კეთილი მოგონებებით სავსე ახალ-ახალი წიგნების წერას.

ერთ დროს მისმა მიძღვნილმა ლექსმა, რაც სტუმრად მყოფ მგოსანს აკაკის წაუკითხა, მოხიბლა ფოთის სტუმარი. მაშინ იყო, აკაკი წერეთელმა რომ დაუბარა ფოთის ამაგდარ-მესვეურებს, — ნიკო ნიკოლაძეს, იონა მეუნარგიას: „ამ ბავშვს ნუ დაკარგავთო“!

არ დაკარგა სამშობლომ გამბედავი, ყოჩაღი პატარა შემოქმედი, ჯერ — პატარა ფოთელი ბიჭუნა, შემდეგ — მოწადინებული სკოლის მოსწავლე; მას შემდეგ — ხმალშემართული მამაცი ცხენოსანი, ვრცელი ტრამალებიდან მტრის, თეთრგვარდიელთა განდევნის მონაწილე.

შემდეგ — ზღვისპირა მლაშობში პატარა გმირის, სამოქალაქო ომის მსხვერპლის მნახველი და სულით-ხორცამდე შეძრწუნებული.

კიდევ — ბურჯი ქართული საბავშვო მწერლობისა.

მერე — ჭარმაგი, ხანდაზმული მოღვაწე, თვალმახვილი.

ამჟამად — ხელზე კაუჭა ჯოხგადაკიდებული, ბრძენი ამაგდარი და ყოველთვის საოცრად ყურადღებიანი, მშობლიური.

დღეგრძელობდეს მარად ჩვენი უფროსი მეგობარი.

მაყვალა მრევლიშვილი



*

მეშვიდეკლასელ მაყვალა ლიქოკელის ნახელავი არაფრით ჩამოუვარდება გამოცდილი ოსტატების ნამუშევარს. აბა დახედეთ, რა ცინცხალი ფერებია, რა სილამაზეა!

...ბი სეფილი ოჯახ

ნუგზარ აფხაზავა

უღრუბლო ზეცა დაჭკამკამებს ხასხასა სიმწვანეში ჩაფლულ კოპწია ქალაქს — დუშეთს. მზის ოქრო ჩაქსოვია ნაძვისა და ფიჭვის, ცაცხვისა და წაბლის ზურმუხტს, მისი ათინათი ხან ერთი ფანჯრის მინიდან შემოგანათებს, ხან მეორიდან შემოგცინებს კეთილი ნაცნობივით. ალერსიან ნიავს ველურ ყვავილთა მძაფრი სურნელი მოაქვს მდელოებიდან და საძოვრებიდან. ქალაქის ქუჩებში და პირმისაანთკარისაკენ მიმავალ გზაზე (ჩქარი მოსიარულე, დიდი-დიდი, ორმოც წუთს მოანდომებს ამ გზის გავლას) სტუმართმოყვარული ღიმილი და ქართული „გამარჯობა" მიგაცილებს. ხოლო როცა უკანასკნელ აღმართიან მოსახვევს გაივლი და სკოლა-ინტერნატის მხიარული ყრიამულით სავსე ეზოში შეხვალ, მთლად მელანქოლიურ განწყობილებაზეც რომ იყო, გუნება მყისვე გამოგიკეთდება და ქვეყანას ერთიორად მოემატება სითბო და სინათლე.

*

მეოთხეკლასელმა მზია ჭეთელაურმა კარგად იცის, რომ ნაქსოვის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული ქაფის ხარისხზე.

*

უდიდესია რესპუბლიკაში, ამ რაიონში სამასამდე სოფელია. და, თქვენ წარმოიდგინეთ, 1961 წლიდან (როცა პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატი გაიხსნა) დღემდე (როცა ეს ინტერნატი არსებობის მესამე ათეულს მიუახლოვდა) ამ შესანიშნავი დაწესებულების კედლებში იმ სამასი სოფლიდან (და არა მარტო იმ სოფლებიდან, და არა მარტო დუშეთის რაიონიდან) ჩამოსული ასობით ახალგაზრდა აღიზარდა, რომლებიც ახლა რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში ქმნიან და ზრდიან სახალხო დოვლათს, წარმატებით იღვწიან ფაბრიკებსა და ქარხნებში, ბაღებსა და ვენახებში, სათიბებში და იალაღებზე...

ამუამად სკოლა-ინტერნატში 347 ბავშვია, მათ შორის — 207 პიონე-

...ასწლეულები

ვინ არ ჩაიცვამს ამ ლამაზ წინდებს!

რი. და იმისათვის, რომ ამ 347 მოზარდიდან თითოეული პატიოსანი მშრომელი დადგეს, ძალ-ღონეს არ იშურებენ ინტერნატის დირექტორი ალექსანდრე ახობაძე, დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში ირაკლი გოგოლაური, სკოლის ორგანიზატორი ნანული ნაცვლიშვილი, პიონერხელმძღვანელი მანანა მამსირაშვილი, მთელი პედაგოგიური კოლექტივი და მომსახურე პერსონალი.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანია ინტერნატის აღსაზრდელთა ცხოვრება და საქმიანობა, ყოველი რაიონული თუ რესპუბლიკური პიონერული ღონისძიება გულთან ახლოს მიაქვთ აქაურ წითელყელსახვევიან გოგო-ბიჭებს და მუდამ ცდილობენ, რაღაც განსაკუთრებული, თუნდაც სულ მცირე, მაგრამ მაინც თავისი წვლილი შეიტანონ ამ ღონისძიებებში.

ის კი არა, უფრო შორსაც მიდიან.

ბევრ პიონერს ემახსოვრება ორიოდე წლის წინათ დარხეული ცნობა, რომელიც საკავშირო პრესამაც აიტაცა: 1978 წლის დეკემბერში ინდოეთის დედაქალაქ დელში გაიმართა ანთროპოლოგიურ და ეთნოლოგიურ მეცნიერებათა X მსოფლიო კონგრესი; მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ნორჩი ქართველი ეთნოგრაფები, რომელთა ნამუშევრებმა უდიდესი მოწონება დაიმსახურეს. გამარჯვებულთა შორის იყვნენ დუშეელი პიონერებიც, კერძოდ — პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატის ნორჩი ხელმარჯვე ოსტატები.

„მამითადი" — ეს ძირძველი ქართული სიტყვა ჰქვია სახელად ქართული ხალხური გამოყენებითი ხელოვნების წრეს (სხვანაირად — სახელოსნოს), რომლის მთავარი კონსულტანტია მკვლევარი-ეთნოგრაფი, პოეტი და პადოგოგი ირაკლი გოგოლაური. ამ ენერგიული კაცის თაოსნობით და ცნობილი მოღვაწეების — პროფესორების უშანგი ობოლაძისა და დავით ციციშვილის, აგრეთვე კომკავშირის დუშეთის რაიკომისა და რესპუბლიკური პიონერთა სასახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტის აქტიური, საქმიანი მხარდაჭერით შედარებით მოკლე ხანში გაკეთდა უზარმაზარი საქმე—აღდგა და აღორძინდა თითქმის მივიწყებული და დაკარგული ქართული ხალხური ხელოვნების დარგები: ფშაური ქსოვა, ხის მხატვრული დამუშავება, ხევსურული ქარგვა...

— სახელოსნოს შექმნისას, — გვიამბობს ირ. გოგოლაური, — დიდად დაგვეხმარნენ მოსწავლეთა მშობლები. მათ ინტერნატს აჩუქეს საგრეხლები, თითისტარები, ჯარა, საქსოვი დაზგა, მშობელმა შალვა წოწკოლაურმა, მაგალითად, უსასყიდლოდ დაგვიმზადა სხვადასხვა იარაღი... თავდაპირველად „მასწავლებლებად" გამოვიყენეთ ის ფშაველი თუ ხევსური გოგონები, რომელთაც შინვე ისწავლეს მატყლის დამუშავების ხალხური წესები: ჩეჩვა, რთვა, ძახვა, წინდების და ფარდაგების ქსოვა...

— თქვენ შეიძლება გაგიჭირდეთ იმ დიდი სიხარულის წარმოდგენა, — ამბობს ალ. ახობაძე — რომელსაც ბავშვები განიცდიან ამ საოცრად სახალისო, თუმცა საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმიანობისას. პიონერები საკუთარი ხელით ქსოვენ წინდებს, საფუხრებს (ხელთათმანებს), საპერანგე და საჩოხე შალებს, ფარდაგებს, ჯეჯიმებს, ორხაოებს (ხალიჩებს), ხურჯინებს, აბგებს, ყარჯრებს, (უნაგირზე გადასაფენს)... საინტერესოა, რომ ჩვენი მაგალითი სხვებმაც გადაიღეს და ახლა მსგავსი სახელოსნოები ნაყოფიერად მუშაობენ მაღაროსკარში (დუშეთის რაიონი), თიანეთის, ახმეტის, გომბორის საშუალო სკოლებში...

მართლაც, ვიდრე თვითონ არ ნახავთ, შეიძლება ვერც წარმოიდგინოთ გოგონების გაცისკროვნებული სახეები, როცა დაბალ ტახტებზე ჩამომსხდარნი დიდი ქალებივით ხელსაქმობენ, ან ბიჭების შეკავებული ღიმილი და მეტი სერიოზულობისათვის შეკრული შუბლი, როცა ისინი სახინკლე ქაფქირს, საჩეჩელს თუ ფანდურს თლიან და ალამაზებენ. უნდა ნახოთ, რა გულისყურით უსმენენ პატარა ოსტატები გამოცდილი ხელმძღვანელების — ეთერ ბაიაშვილის, ნინო ლიქოკელის, შალვა წოწკოლაურის თითოეულ რჩევას, დარიგებას, მითითებას.

სახელოსნოში საქმიანი ატმოსფერო სუფევს. ერთდროულად რამდენიმე გოგონა მუშაობს: მეხუთეკლასელები შორენა წიკლაური და მზია ჭინჭარაული, მეექვსეკლასელი ცაბო ნარიმანიძე, მერვეკლასელი სანათა ხუცურაული წინდებს ქსოვენ, მეათეკლასელი ლია ციგროშვილი — ჯეჯიმის ქსოვას ამთავრებს, მეცხრეკლასელი მედეა მარტიაშვილი მატყლს ჩეჩავს, მისი თანაკლასელი თამარ ალუდაური ხალიჩის საქსოვ დაზგას მიჯდომია, გვერდით კი მეოთხეკლასელი თინიკო წიკლაური წამოსკუპებულა.

ბიჭების სახელოსნოშიც (ხის მხატვრული დამუშავების სექცია) გახურებული მუშაობაა. აქ ძირითადად მეშვიდეკლასელები დაგვხვდნენ. გელა გოგოჭური ქაფქირს თლიდა, ვაჟა ელიზბარაშვილი ორნამენტს კვეთდა, შალვა მარტიაშვილი ფანდურის მოლამაზებას ამთავრებდა, ხოლო რეზო აფციაური საჩეჩელს უკირკიტებდა. მათი ხელმძღვანელი, „ოქროს ხელებიანი" (აქ დიდ-პატარა ასე ეძახის მას) შალვა წოწკოლაური ყველაფერს ასწრებდა: ხან ერთთან მიდიოდა, ხან მეორესთან, ერთს საჭრეთელს დააჭერინებდა სწორად, მეორეს ორნამენტის ხვეულში არკვევდა, მესამეს ზომებს უმოწმებდა... ბიჭები ყურადღებით ისმენდნენ ოსტატის ყოველ შენიშვნას.

„მამითადმა" საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ჯილდოები და ქების სიგელები დაიმსახურა, მისმა ბევრმა ნახელავმა წარმატება მოიპოვა რაიონულ, რესპუბლიკურ, საკავშირო გამოფენებზე. დელის კონგრესზე ხომ ზემოთ მოგახსენეთ...

მამითადელები მიღწეულს არ სჯერდებიან. ირაკლი მასწავლებელმა მათ ახალი მიზანი დაუსახა: მოსახლეობაში უნდა მოძებნონ ხალხური ღებვის წესები და საშუალებანი. ძველი საღებავები პრაქტიკულად გაუხუნარია და ამიტომ არის, რომ საუკუნის წინათ მოქსოვილი

ფარდაგი თუ ხალიჩა ახლაც ხასხასა ფერებით გვხიბლავს. ბავშვებს გადაწყვეტილი აქვთ, რომ მას შემდეგ, რაც რამდენიმე ჯიშის სასაღებავე მცენარეს აღმოაჩენენ, სკოლა-ინტერნატის საცდელ ნაკვეთზე მოაშენონ ეს მცენარეები.

ხალხური გამოყენებითი ხელოვნების გაცოცხლება-აღორძინება პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატის მუშაობის მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი მხარეა.

მრავალფეროვანი ექსპონატებით არის მდიდარი სასკოლო მუზეუმი — სკოლა-ინტერნატის მუშაობის სარკე. რამდენიმე პიონერი სისტემატურად მონაწილეობს ყინვალის ნაქალაქარის გათხრებში, მალე არ-

საჭირო და გამოსადეგი პროფესიაა მემანქანეობა.

ქეოლოგ რ. რამიშვილის ხელმძღვანელობით ისინი შეუდგებიან არქეოლოგიურ გათხრებს ბაზალეთში და მოპოვებული მასალებით გაამდიდრებენ მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებას, სადაც უკვე ახლა გამოფენილია ძველისძველი საჭურველი — ფარები, სატევარი და ჩაჩქანი, აგრეთვე კრამიტის, ქვევრების, ქოთნების, მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები, სანაყი ქვები, ფერადი ორნამენტების ნაშთები, მონეტები... აქვეა ქალის მანდილის, ვაჟის პერანგის, ქალამნის ნიმუშები.

აქაურები სამართლიანად ამაყობენ საბჭოთა კავშირის გმირების (ამჟამად გადამდგარი პოლკოვნიკების) — მფრინავ ზაქარია ხიტალიშვილისა და არტილერისტ ალექსანდრე პირმისაშვილის სახელებით. პიონერთა მიერ დიდი სიყვარულითა და რუდუნებით გაკეთებული სტენდები დაწვრილებით მოგვითხრობენ მათი გმირობისა და მამაცობის ამბებს.

ინტერნატის პიონერულ ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ინტერნაციონალური მეგობრობის გაშლა-გაფართოებას. ბავშვები კარგა ხანია მეგობრობენ არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის რაიონების, არამედ მოძმე რესპუბლიკების — უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის სხვადასხვა სკოლების მოსწავლეებთან.

ძალზე უყვართ ინტერნატელ პიონერებს შრომის გაკვეთილები. დირექციამ, რომელიც ცდილობს, რაც შეიძლება მეტი და სასარგებლო პრაქტიკული ცოდნა მისცეს აღსაზრდელებს, არც აქ უღალატა არჩეულ გზას: გაკვეთილებზე გოგონები მანქანაზე ბეჭდვის ხელოვნებას ეუფლებიან, ვაჟები კი — ავტომანქანის მექანიზმს და ტარებას. სკოლას მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული სხვადასხვა პროფესასწავლებელთან.

— ძალზე შრომისმოყვარე პიონერები გვყვანან, — გვიამბობს პიონერხელმძღვანელი მანანა მამსირაშვილი. — ოღონდ საქმე უხსენე და არაფერზე დაგზარდებიან. თითქმის ყოველი მეორე თემურელია. ისინი ხალისით ეხმარებიან მარტოხელა მოხუცებს და შინმოუსვლელთა ოჯახებს; საგანგებო ყურადღებით ეპყრობიან უმცროსებს — ოქტომბრელებს; მაღალ დონეზე დგას საშეფო მუშაობა; განსაკუთრებით ისახელა თავი მეექვსეკლასელმა თამილა ნანობაშვილმა, მესამეკლასელ ოქტომბრელთა ხელმძღვანელმა...

საუბარში სკოლის ორგანიზატორი ნანული ნაცვლიშვილი ჩაერია.

— მანანამ შეფობა ახსენა, — თქვა მან. — ჩვენს აღსაზრდელებს ქარხანა „ელექტროძრავას“ დუშეთის ფილიალი შეფობს. რამდენიმე იქაური მუშა ინტერნატის პიონერული რაზმების ხელმძღვანელად მუშაობს. ჩვენთან რაზმის ხელმძღვანელებად მუშაობენ, აგრეთვე, მოწინავე კოლმეურნეები — მწველავები, მთიბავები, მექანიზატორები...

მეხუთე, შრომითი მეოთხედის ნაცვლად პიონერულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შემოიღეს მნიშვნელოვანი სიახლე — ინდივიდუალური საგზურები. საგზური ეძლევა IV-IX კლასების ყოველ მოსწავლეს, რომელიც სურვილს გამოთქვამს ზაფხულის არდადაგებზე იმუშაოს თავისი მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში თუ საბჭოთა მეურნეობაში. საგზურის დევიზია ა. ჩეხოვის სიტყვები: „უშრომლად შეუძლებელია პატიოსანი და მხიარული ცხოვრება“. ძალზე ხშირია შემთხვევა, როცა მოსწავლეები არ სჯერდებიან ნავალდებულევს და გაცილებით უფრო მეტს აკეთებენ. აი, მაგალითად, 1978 წელს მერვეკლასელმა გურამ ჭინჭარაულმა არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობაში გამოიმუშავა 8 შრომადღე და დაამზადა 1000 კგ. სრულფასოვანი უხეში საკვები 80 კგ-ის ნაცვლად. ან კიდევ: მეშვიდეკლასელმა გიორგი ოთარაშვილმა, რომელიც 1978 წლის ზაფხულში სოფელ მაღაროსკარის კოლმეურნეობაში მწყემსად მუშაობდა, ნაკისრი 8 შრომადღის ნაცვლად 85 შრომადღე გამოიმუშავა. ასევე გამოიჩინეს თავი დარეჯან ლაგაზაშვილმა, თამაზ ხუციშვილმა და სხვებმა.

ერთი სიტყვით, პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატში ყველაფერი კეთდება, რათა აღსაზრდელს უხაროდეს და ეხალისებოდეს აქ ყოფნა, სწავლა და შრომა, რათა შემდეგ, სკოლის დამთავრების მოწმობით დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე რომ გავა, არ გუჭირდეს და თავის-

ერთი შეხედეთ, რა დიდი ინტერესით უსმენს მეექვსეკლასელი ელდარ ჩარიგოგდიშვილი მეცხრეკლასელი გურამ ჭინჭარაულის განმარტებას! ვინ იცის, იქნებ ელდარმა სწორედ შოფრობა გაიხადოს ხელობად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზობლობა ლამაზია

დავით ასკურავა

მხატვარი **ზურაბ ფოფრჩხიძე**

მოთხრობა

თავადი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული ადამიანის ნაბიჯით იაროს.

აბა, მოვუსმინოთ ზოგიერთ მათგანს:

ელდარ ჩარიგოგდიშვილი, VI კლასის მოსწავლე: ჩემი უფროსი ძმაც აქ სწავლობს, IX კლასში. მე პირველი კლასიდან აქა ვარ. ბებიამ მომიყვანა. პირველად არ მინდოდა, ვტიროდი, სოფლისა და თანატოლების მიტოვება მენანებოდა. ახლა კი... ახლა არამცთუ სხვა სკოლაში, მშობლიურ ოძისშიც კი არ გადავიდოდი სასწავლებლად... კარგია აქ, თავის დროზეა სწავლაც, დასვენებაც, ძილიც, ჭამაც, გართობაც, დროდადრო ბებია ამოდის ხოლმე, დაგვხედავს... მიყვარს სპორტი. სკოლის ფეხბურთელთა გუნდში ვარ, მეათე ნომრად ვთამაშობ, დათო ყიფიანია ჩემი კერპი... რომ დავამთავრებ, იურიდიულზე შევალ... ძალიან მიტაცებს დეტექტიური ლიტერატურა.

იამზე მერაბიშვილი, VII კლასის მოსწავლე: მე ქსანელი გახლავართ, მცხეთის რაონიდან. ინტერნატში მეორე კლასიდან ვარ, აქ კიდევ ჩემი სამი და ცხოვრობს და სწავლობს. ძალზე შევეჩვიე აქაურობას, რეჟიმსაც, მასწავლებლებსაც, პიონერულ საქმიანობასაც. სადმე რომ წავალ, უკან ისე მოვიჩქარი, თითქოს საკუთარ სახლში მოვდიოდე. ის კი არა, ქსანში, დედასთან რომ ჩავდივარ, მალე ისევ აქეთ გამომიწევს გული... ექიმი უნდა გავხდე, სოფელს უნდა გამოვადგე...

— ჩვენი საერთო, ჩვენი მთავარი ოჯახი! — ასე უწოდებენ ეს თვალმერცხალა ყმაწვილები მათზე ზრუნვით ძილგამფრთხალ, მათ მომავალზე მეოცნებე, მართლაც მშობლიურ დაწესებულებას — პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატს.

ფოტო ვ. ბორისენკოსი

რაკი აღმზრდელებს დაეთხოვა, ბიჭმა აღარ მოუსვენა მამას, გინდა, არ გინდა, ახლავე დავადგეთ გზასო. მამას გაუკვირდა შვილის სითამამე. ექვსი შვილიდან ყველაზე მორჩილი და დამჯერე ეს შუათანა იყო და ოჯახიდან ასე მცირე ხნით გასვლამ ეგრე როგორ გამოცვალაო.

ბიჭი თითქოს მიხვდა მამის ფიქრს, გაჩუმდა და სარკმელთან დადგა თავდახრილი. და ამ უთქმელობით მეტი აგრძნობინა მამას. გრიგოლი სიამით შესცქეროდა მოსიყვარულე შვილს.

— მოგენატრა განა და-ძმანი და დედა, ა, ილიკო?— სიყვარულით ჩაეკითხა.

ლოყები შეუფაკალდა ბიჭს, ქურთუკის საკინძეს ჩაეჭიდა და წვალება დაუწყო.

— წავსულიყავით ბარემ, ბატონო გრიგოლ, ჰა?— კარებში ვანუა იდგა, მეჯინიბე. ბიჭის შემხედვარემ ველარ შეიკავა თავი, რომ არ გამოქომაგებოდა. ბატონის შვილებში გამორჩევით უყვარდა ვანუა მეჯინიბეს ეს დიდრონთვალება, ბუთხუზა ბიჭი.

— საქმეები რომ მაქვს, ვანუავ, მისახედი? — თქვა გრიგოლმა. — თანაც, კაცო, როგორი ხვატია, ა?!

— აკი ორ-სამ დღეში უკან უნდა ჩამოვიყვანოთ. მაშინ მიხედეთ,ბატონო, საქმეებსა, — ქეზი მოიდო ვანუამ — ხვატსაც ეშველება, საღამოს პირზე აგრილდება, მთვარიან ღამეში კი უკეთესი სამგზავროა.

— აგრერიგად ვინ მოგენატრა,ილიკო, ერთი დღეც რომ მოთმენა აღარ შეგიძლია? — კვლავ სიყვარულით ჰკითხა მამამ.

— ყველანი... და დედა, — თქვა ბიჭმა და ერთბაშად გაწითლდა.

მოენატრა?.. განა მარტო მონატრება ჰქვია იმას, რაც ილიას გულში გრძნობებია აფოფინებული. ქალაქში მუდამდღე იმათზე ფიქრობს, ეალერსება შინაურებს, დარბის მეზობლის გოგო-ბიჭებში. ჩამოსხდებიან სადმე გზისპირას, ჩეროში, ყვება ილია ზოსიმე მთავარდიაკონისაგან გაგონილ ამბებს, თავისებურად ალამაზებს და აფაქიზებს სიტყვებს. მერე გადაწმენდავენ მიწატკეპნილ შარაგზას, მოარბენინებს ვინმე ნახშირს და გამოჰყავს ილიას საყვარელი ასოები — მოგრძო, ოდნავ დაქანებული მძივებივით ასოები. ბაძავენ ბავშვები, თვითონაც ცდილობენ. ილია შველის და უხარია, რომ ბავშვებსაც ლამაზად გამოჰყავთ ასოები.

დღისით, მართალია, არ სცალია მოგონებებისათვის — ბეჯითობს ილია და აღმზრდელების ქებაც დაიმსახურა. მაგრამ ღამე? დაწვება თუ არა, დახუჭავს თვალებს და გიყვარდეს ტკბილ-ტკბილი ფიქრები, მოგონებები: დიდ სასტუმრო ოთახში სხედან, დედას გაშლილი წიგნები უდევს წინ და დაბალი, მთრთოლვარე ხმით კითხულობს: „ახმობინა გამძვინვარებულმა შაჰმა საკაძის უმრწემესი ვაჟი. ეახლა გიორგის ნებიერა შვილი შაჰს, წესისამებრ პატივით დაუკრა თავი, გულზე ხელები გადაიჭდო და მისთვის მიჩნეულ ადგილას გაირინდა. პაატამ იცოდა, რომ რაღაც ახალი ვერაგობა ჰქონდა შაჰს გულში. როცა იღიმებოდა, მაშინ იყო დაუნდობელი. ჰოდა, ახლაც ამრიგად ღიმილიანი შეჰყურებდა პაატას. ეტყობოდა, ჩუმ სიანჩხლეს ჰგვრიდა ბავშვის პირდაპირი, ამაყი მზერა. არც ის მოსწონდა ირანის მფლობელს, ეს პირტიტველა ბიჭი ასე მშვიდად, აუთრთოლებლად რომ იდგა მის წინაშე. წამოდგა შაჰი. შემპარავი, გამოზომილი ნაბიჯებით მიუახლოვდა პაატას, შუბლი და ყვრიმალები მოუსინჯა ხელის ცეცებით, მერე თვალებზე ააფარა ბანჯგვლიანი თათი, თითქოს ეშინოდა იმ თვალების შუქისა, მოირიდა და შემდეგ იელვა მახვილმა.

— თავი მიართვით გიორგი საკაძეს! — წაისისინა და დააგდო სისხლიანი მახვილი...“

დედა კითხვას წყვეტს. ექვსი წყვილი თვალი შესცქერის მას, ექვსი მწუხარებით მოცული გულის ბაგუნი ესმის დედას.

— რომ გავიზრდები....—ამას კონსტანტინე ამბობს, მაგრამ სიტყვას არ ამთავრებს. ისედაც გასაგებია — შურისძიება და მტერთან სასტიკი შებრძოლებაა ამ სიტყვის ბოლო. დგება და გადის. კონსტანტინეს შემდეგ ნინო ტოვებს ოთახს, იმას თავდახრილი მიყვებიან ელისაბედი და თეიმურაზი. პატარა სვიმონი და ილია რჩებიან ოთახში.

— მოკლა, დედი, ბოროტმა შაჰმა პაატა?— კითხულობს სვიმონი და მუჭით ისრესს თვალებს.

— ჰო, შვილო, — ამბობს შეწუხებული დედა. იქნებ, ჯერ არც უნდა წაეკითხა შვილებისთვის ეს ამბავი? — ფიქრობს. — უიმე,რა დრო გასულა. ახლა თქვენი დაძინების დროა. აბა, წავიდეთ, შვილო! — დედა არ იხედება ილიასაკენ, არ უნდა შეიმჩნიოს, რომ ცრემლმორეულია ბიჭი, დაირცხვინოს იქნებ.

მოგონებებში წასულ ილიკოს ისევ ცრემლი მოადგა. სველდება ბალიში. აკი ძიძა-მომვლელმა უთხრა ბატონ გრიგოლს — ძალიან მგრძნობიარე ბალღია, ძლიერ განიცდის ოჯახთან დაშორებასაო.

ნაპატიები ცხენები გრიალით მიაქროლებენ ეტლს. ბიჭი მამის გვერდით ზის და მომავალი შეხვედრით გულაჩუყებული მოწყლიანებული თვალებით გაყცქერის ქალაქის შემოგარენს.

— დედა ხომ კარგად არის? — უკვე მერამდენედ ეკითხება მამას.

— კარგად, შვილო, როგორ გინდა იყოს? — გაბზარული ხმით ამბობს გრიგოლი. მარიამი რომ კარგად არ არის, იმიტომაც ჩამოვიდა შვილის წასაყვანად გრიგოლი. შვილი ინატრა მარიამმა, მოიყვანეთ და შანახეთო. შეუძლოდ არის, ნეტამც, რაიმე არ მოუვიდოდეს და...

— კონსტანტინე?

— ოჰო, რა უშავს. ავად რომ არ გამხდარიყო, ისიც შენთან იქნებოდა ქალაქში, განა?

ილია მომდევნო და-ძმათა ამბავსაც წვრილად იძიებს. სიხარულით უბრწყინავს თვალები, ყველანი კარგად ყოფილან.

— სვიმონი დავაჟკაცდა, არა, მამი? — კითხულობს.

— როგორ არა, დათვებზე სანადიროდ გახლდათ გასულ კვირას, — იცინის გრიგოლი. — კაცო, რა დიდი ხანია შინიდან წამოხველ, განა წვერულვაში ამოუვიდოდა ნაბოლარა ძმასა?

— არა, მამი, იმისი კითხვა მინდოდა, ისევ რული ხომ არ ეკარებათქო ვახშმობისას? — წითლდება ბიჭი.

—ჰო, ამ მხრივ მართლაც რომ გამოიცვალა, ზოგჯერ ვახშმობამდეც წასთვლემს ხოლმე,—იცინის გრიგოლი და ხელს ხვევს. თავისკენ იზიდავს ბიჭს. — ეჰ, კაცო ილო, ეჰ!

ვანუა მეჯინიბე გამეტებით მიერეკება ცხენებს. მთვარიანი ღამე კი იქნება, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა, სანამ კარგი გზაა, უნდა იჩქაროს.

გზა საუბარში ილევა. ილია წვრილად იკითხავს სოფლის ამბებს, მამაც უამბობს, თან გაკვირვებულია, რომ ასე ერთბაშად გაზრდილა მისი ილიკო, ამდენი რამ აინტერესებს: მოწეული ჭირნახულის ოდენობაც, ცუგრიაც კი არ დავიწყებია. მაგრამ ზოსიმე მთავარდიაკონზე ისევ რომ ჩამოაგდო სიტყვა ილიამ, გადაიხარხარა თავადმა გრიგოლმა:

— ე ღვთისაგან დავიწყებული დიაკონით არ ამომხადე, ილიკო, სულ? გესმის შენა, ვანუავ, რითი გახდაო ავად, კაცო, გესმის?—იცინოდა გრიგოლი. — აი ვანუასა ჰკითხე, თუ გინდა, შვილო, ვანო ხომ ჩემზე უფროსია ბარე ათი წლითა და, ჰკითხე, თუ ზოსიმე მთავარდიაკონი მაგის ბიჭობაშიაც იმ ხნისა არ იყო, რა ხნისაც ახლაა?

— მართალი გახლავთ, ბატონიშვილო, სწორს ბრძანებს ბატონი. მამაჩემი მეუბნებოდა, პაპაშენის ტოლია ზოსიმეო, აბა? — ცხენების თქარათქურში ხმამაღლა გაჰყვიროდა ვანუა.

— ჰოდა, შე კაცო, კიდევ მეკითხები, რითი გახდა შეუძლოთაო, ჰა?! — გრიგოლმა კვლავ მიიკრა ბიჭი გულზე, შუბლზე ეამბორა და დაუყვავა. ბიჭს ისევ აუწყლიანდა კეთილი, დიდრონი თვალები. — ისევ გაუძლებსო ზოსიმე დიაკონი, ამჯერადაც, ასე თქვა თელაველმა აქიმმა.

— იცი, მამი, რამდენ ამბავს გვიყვებოდა მამა ზოსიმე? მთელი ჩვენი ქვეყნის ისტორია ხელისგულზე უწერია, მერედა როგორა ყვება! — თქვა ბიჭმა.

— ვიცი, შვილო, ვიცი. მეც ხომ იმან მასწავლა წერა-კითხვა. განა იქა, პანსიონში კი ვერა ყვებიან ემაგრე?

— იქ არაფერსაც არა ყვებიან, წიგნიდან გვასწავლიან ერთთავად და გვაწერინებენ.

— ჰოდა, ეგ არა სჯობიან? ნასწავლი კაცი დადგები, განა...

— ხედავ, ბატონო?! — დაიძახა ვანუამ და ხელი ტრიალი მინდვრისაკენ გაიშვირა, — აგერ იქა, აი, ცეცხლი დაუნთიათ.

მინდორზე, დიდი კოცონის გაბმამ, თხუთმეტამდე ურემი იდგა. ეტლი რომ გაუსწორდათ, რამდენიმე გლეხი წამოდგა და სალამი შეაგებეს მგზავრთ.

— ეს ხომ დიდი გრიგოლ ჭავჭავაძეა, — უჩურჩულა ერთმა გლეხმა მეორეს.

— ჰო, ის უნდა იყოს, კაი კაცს ამბობენ.

— ბოვიპატიჟოთ?

გლეხებს ჟღალჩოხიანი, შეჭაღარავებული მოხუცი გამოეყო.

— დაგვილოცე სუფრა, ბატონო გრიგოლ! — თქვა და თავი დაუკრა.

— დაააუ, კაცო, ე ვერანები! — ვანუას გადასძახა გრიგოლმა, — ვეღარ გადავსულვარ ეტლიდან, ფოლხო ვინმე დიდკაცთაგანი არ ვეგონო მაგათ.

— გიცნობთ, ბატონო გრიგოლ, გიცნობთ, განა. შენი კაი კაცობისაცა გვსმენია და იმიტომ გავიხარეთ თქვენი დანახვითა. — ენა დაითაფლა ჟღალჩოხიანმა.

— დაიცა, დაიცა! — ზეწამოწეული შედგა გრიგოლი, — შენა ხომ პეტრე ხარ, კაცო, ჩემი დიდედის ნათლულისწული?

— ის გახლავარ, შენი კვნესამე, ისა! — სიხარულისაგან ხმა შეუთრთოლდა ჟღალჩოხიან მოხუცს.

ჩამოსხდა სტუმარ-მასპინძელი ჩანაკვერჩხლებულ კოცონთან, რომლის პირასაც შინდის დათეთრებულ შამფურებზე აცმული მწვადი შიშხინებდა. მამის გვერდით მჯდომი ილია მოყვასის თვალით მისჩერებოდა წვერწამოზრდილ, საკერებლებით აჭრელებულსამოსიან გლეხებს, ადარებდა იმათ ქალაქის მორთულ-მოკაზმულ ხალხს და გული ეკუმშებოდა. თან იქვე შორიახლოს აბრიალებული მეორე კოცონისაკენ გაურბოდა მზერა. იქ მისი ტოლი ბიჭები შეგროვილიყვნენ. პურობა რომ გაჩაღდა და უფროსები სადღეგრძელოებს შეეჭიდნენ, იხელთა დრო და შეუმჩნევლად წავიდა იმათკენ. გახურდა ლხინი...

აჰა, მორიგი სადღეგრძელო თქვა გრიგოლმა, ბარაქა და ჯანის სიმრთელე უსურვა გლეხებს.

ხუთკეცი მადლი შეაგებეს სიტყვის პასუხად სადღეგრძელოს და კაი ჯანი და სიცოცხლე უსურვეს თავადაც.

— აჰა, დაიჭი, ალავერდი შენთანა ვარ! — პეტრეს გასტყორცნა ყანწი გრიგოლმა და ახლოლა მოიკითხა შვილი:

— ილიკო! სადა ხარ კაცო, ილიავ! — დაიძახა.

— აქა ვარ, მამი! — გამოსძახა იმანაც.

გულს მოფონებოდა ილიას. პანსიონის ჩაკეტილი კარების შემდეგ საოცრად ტკბილი ეჩვენებოდა ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ ცეცხლის პირას ჯდომა და გაუგებარი დასაზუთხი სიტყვების მაგიერ ამ ჭინკა ბიჭების სხარტულა კაფიები.

მოლექსენი თანდათან შედიოდნენ ეშხში. გონივრული ლექსები რომ შემოაკლდათ, მჭლე შაირი მოიშველიეს. არ ეამა ილიას ბილწი სიტყვა და ჩარევა სცადა.

— მეც გეტყვით, მაგრამ სულ დალაგებულად თუ ვერა ვთქვა, არ დამციხოთ! — დიდრონი თვალები სიყვარულით მოატარა ირგვლივ.—ჩვენი სოფლის მთავარდიაკონი ზოსიმე მოგვიყვა ამ ამბავს, მე ვლექსავ ნელ-ნელა. ხო არ დამცინებთ-მეთქი?

შეჩოჩქოლდნენ ბიჭები, გაიწ-გამოიწიეს.

— დაცინვა რა საკადრისია! — შთაგონებით თქვა ბიჭმა, სოფლელს რომ არა ჰგავდა, მაგრამ კაი ლამაზი კაფიები რომ იცოდა. ცამეტ-თოთხმეტი წლისა იქნებოდა, ტანადი იყო, შავი, მკვახედ მომზირალი თვალები ჰქონდა და ილიას უკვირდა, რომ ლექსაობისას როგორღაც თბილი და ალერსიანი უხდებოდა ის თვალები. იმისმა სიტყვამ ახლაც თავისი გავლენა მოახდინა, ბიჭები სულგანაბულნი მიაჩერდნენ ილიას.

მოდით, შვილნო, აქ მომრავლდით,
გეტყვით გულის გასათბობსა,
ვინც ვიუავით, რა ვიუავით
ჩვენ, ქართველნი, წინა დროსა.
იმ დროს, როცა ქართვლის ბედი,
ჩვენ, ქართველთვე, გვეპყრა ხელში...

წყნარ ღამეში ზარივით რეკავდა ილიას ხმა. სადღაც დაფეთებული ჭოტები ხმაურობდნენ, მოშორებით ხარები ძოვდნენ ნაგვალავ ბალახს და იმათი ფრუტუნიც აღწევდა კოცონთან მსხდომთა ყურთასმენამდე. ილია განაგრძობდა:

ეხლა რა ვართ? საწველ ფურად
თავი ჩვენი გადვიქციეთ.
ის საბელი, ის დიდება,
ის ოჯახი დავიქციეთ!..

— შენი გულისა, ჰა, ე რა თავადიშვილი ყოფილა, ბიჭო! — ეტყობა, ფიქრი ვეღარ დაიოკა იმ მკვახე თვალებიანმა ბიჭმა, ალმურა მოეკიდა სახეზე.

— შენ რა სხვისი თავადიშვილობისა გიკვირს, განა ჩვენა ვართ უგვაროონი! — ბიჭებს თვალებზე ჩერქეზულ ქუდჩამოფხოწილი, თექვსმეტიოდე წლის უმარილო სახის ყმაწვილი მიუახლოვდა.

— კარგი რა, ბეჟან, დაგვაცადე! — ემუდარა კუშტი ბიჭი ჩერქეზულქუდიანს.

— ჰო, მაგრამა, არავის წინაშე ქედი არ მოიხარო, ჩვენაც, ხომ იცი...

სიტყვა არ დაუსრულებია ყმაწვილს, შებრუნდა და უფროსების ბანაკისაკენ გაუტია. ილიამ ბრაზიანი მზერა გაადევნა. რაღაცით არ მოსწონდა ეს უცნაური ყმაწვილი, მოუსვენრად რომ დაიარებოდა უფროსებსა და მათ შორის.

— მიდი, მიდი! — წამოეშველნენ გლეხის ბიჭები ილიას. — ე, რა კარგი რამ უსწავლებია იმ ბერსა თუ დიაკვანს, კაცო?

...ერთი მეფე თურმე ყვანდათ
უწინ ჩვენს მამა-პაპასა.
დიმიტრი ერქვა სახელად...

წკრიალებდა ილიას ხმა. ხანდახან ლექსი რომ გაუჯიქდებოდა, სიტყვას

16917

არ წყვეტდა, თხრობით აგრძელებდა მოყოლას და ტკბილი ხმისა და თხრობის წესით გადიოდა ფონს. დროდადრო გადახედავდა მინავლებულ კოცონთან მსხდომ ბიჭებს და გული საამოდ შეუთრთოლდებოდა, მათს ჩაფიქრებულსა და დადინჯებულ სახეებს რომ ხედავდა. აჰა, აუჯანყდა ყაენს მოღალატე დიდკაცი, თავად მიითვისა ყაენობა, ამოჟლიტა ძველი ყაენის ოჯახი და ახლობელნი. ჯერი საქართველოს დასჯაზე მიდგა, რადგან მოღალატეს მხარი არ აუბა მეფე დიმიტრიმ. მეფეს მუქარა შემოუთვალა ურჯულომ, ავაოხრებ და ავაწიოკებ ქვეყანასაო. შეკრიბა ერი და ბერი სათათბიროდ მეფე დიმიტრიმ, მოუსმინა ყველას, განსაჯა და ბრძანა: ჩემი ვალი ქვეყნის პატრონობაა და თუნდაც მოვკვდე, თქვენი სანაცვლო ვყოფილიყვეო...

არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია...

მეფეს ურჩიეს, არ გამგზავრებულიყო მუხანათის კარზე, მაგრამ არა, მეფე დიმიტრი თავისი ქვეყნისა და ხალხის ჭეშმარიტი პატრონია და უნდა გაემგზავროს.

როგორი ტანჯვა-წვალების, დამცირების გადატანა მოუხდა დიმიტრი მეფეს, მაგრამ არ გატყდა, ვერ მოინადირა გამხეცებულმა ყაენმა მისი ძლიერი სული, ნაჯახშემართული ჯალათის პირისპირ მდგომი მეფე არ იღებს ერთგულთა წინადადებას, გაქცევით უშველოს თავს, რადგან იცის, რომ მუხანათი და მტარვალი ყაენი მის ქვეყანას დაარბევს.

...„ჰა, ჯალათო!“ — დაიძახა
და ცისერი გაიწვდინა.

დამთავრდა აქა-იქ ლექსით შელამაზებული თხრობა. ილია გაოცებას იყო, მოყოლამდე ბევრი ადგილი გაულექსავი ჰქონდა, ახლა კი რარიგ აეწყო ლექსი, რამდენი ტაეპი ისე თქვა, არც კი უფიქრია, ადრე გალექსილი თუ ჰქონდა.

სულგანაბული ისხდნენ ბიჭები, მხოლოდ ის ერთი წამოდგა, სხვებისაგან განსხვავებული, რაღაცნაირი ეკლიანი მზერა რომ ჰქონდა.

— ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ, — უთხრა და მხარზე ხელი დაადო. — ის მასწავლებელიც რომ კარგი ვინმე გყოლია, ნეტავი შენ!

მის ხმაში იმოდენა სევდას დაესადგურებინა, შეკრთა ილია. ჩქამის გაღება ვეღარ მოახერხა, შეეკრა კრიჭა.

— ე, ლექსიც რა კარგად მოგიდის ენაზედ, შენი გულისა, ა? — გაუცინა ბიჭმა, — ვინძლო მელექსედაც დადგე, ა? — წაუთათუნა მხარზე ხელი.

— შენც კარგი ბიჭი ჩანხარ...

— ეჰ, ჩემი საქმე სხვაა, ძმობილო, მართლაც ისე კი არ არის, ი ჩემი ძმა, ბეჟანი რომ ბაქიბუქობს. უთვისტომონი ვართ, ობლები და მიუსაფარნი.

ილიას სწადია ამ კუშტად მომზირალ ბიჭს გული გაუხსნას, მიეალერსოს, მაგრამ ენას რომ ვეღარ აბრუნებს? რა ბოჭავს აგრე რიგად, რად ვეღარ...

— ბატონიშვილო, სადა ხარ, კაცო? — ეს ვანუა მეჯინიბე წამოადგათ თავს,—მამა ბატონი ადგა. გავემგზავროთ.

თავჩაქინდრულ ილიას მკლავში გამოდო ხელი მეჯინიბემ.

— ხო არაფერი აწყენინეთ, ბიჭებო? — იკითხა ფრთხილად.

— რას ამბობთ, ძია, მაგისთანა ბიჭს ვინ რა უნდა აწყენინოს, — წამოიშალნენ და ახმაურდნენ ცეკხლისპირ მჯდომი ბიჭები. — ნეტამც სულ ჩვენთან დარჩებოდეს და...

— აბა, კარგად იყავით, — ბიჭებს ხელის აწევით დაემშვიდობა ვანუა, მერე ბატონიშვილს მიუბრუნდა: — შენც გამოეთხოვე ბალღებსა.

ილიამ მიმოიხედა, მშვიდობით დარჩენა უსურვა ბავშვებს, მაგრამ წაუხდა გუნება: ის უცნაური ბიჭი ვეღარ დაინახა, გონების თვალით კი იმ ერთს დასტრიალებდა.

ეტლი ხმაურით გააცილეს შექეიფიანებულმა გლეხებმა, ნამეტნავად პეტრე გულითადობდა, ბოდიშობდა, საკადრისად ვერ გაგიმასპინძლდითო.

— დიდებული გლეხობა გვყავს, ილიკო, დიდებული! — ბუბუნებდა გრიგოლი, — ავკარგიანი, სინდის-ნამუსიანი, პურ-მარილიანი, განა? აი ამ ხალხმა მოიტანა ჩვენი ქვეყანა აქამომდე, აიმ წვერჯაგარა ჩოხაშემოხეულმა ხალხმა დაიცვა და ადიდა ჩვენი სამშობლო. აგრეა, შვილო, მაგ ხალხისათვინ უნდა ისწავლო, დედის მონატრებასაც უნდა გაუძლო, და-ძმის განშორებასაც. ეს ხალხი სინათლეს უნდა ეზიაროს. ცოდონი არიან, შვილო, ცოდონი. ა, რად მოგიწყენია, ილიკო, შვილო, — ჩაეკითხა. ილიამ თავი გაიქნია, არა ვარ ძოწყენილიო.

ილიკოსათვის ის ბიჭი გამხდარიყო ფიქრისა და დარდის მიზეზი. ღრმად ჩაჯდომოდა გულში იმისი ერთი შეხედვით მკვახე, მაგრამ სევდიანი თვალები და გული დაძ-ძიმებოდა. რაღაც უჭირდა იმ უცნაურ ბიჭს, უჭირდა, და ისეთი ვმაყი იყო, არც კი გაგრძნობინებდა. „ობლები ვართო, მიუსაფარნიო“, — გაიხსენა ილიამ ბიჭის ნათქვამი და ისიც მოაგონდა, როგორ დამცინავად გაექცა ამ სიტყვების თქმისას ტუჩები ირიბად.

— დავიძინოთ, შვილო, ილიკო! — მამამ მზრუნველად შეფუთნა ილია. ბიჭს არ სციოდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. არც კი ახსოვს, როდის გაუწყვიტა ფიქრის ქსელი მოძალებულმა რულმა, როდის ჩასთვლიმა. ეს იყო, თვალი რომ გაახილა, მაშინვე სიზმარი გაახსენდა: — წოწოლა-ქუდიანი ბეჟანი მუშტებს უქნევდა თავის ძმას.

„ჰგვანდნენ კიდეც ერთმანეთს და არც ჰგვანდნენ.—დაასკვნა ილიამ.— უფროსი ცივი იყო, მეტისმეტად ცივი და თევზივით სლიპინა; უმცროსი მკვირცხლი ჩანდა, მაგრამ არა შმაგი და სხმარტალა. სითბოც მეტი ედგა თვალებში, დარდის ტარებაც უფროს ძმაზე უკეთ შეეძლო და ჭირის ატანაც ალბათ“.

— არ გძინავს, ბატონიშვილო? — მოხედა ვანუამ ილიას.

— ეხლაღა გამეღვიძა. სადა ვართ?

— გაგეღვიძებოდა მა, რა ჩაქცეული გზებია ე სატიალე, კაცო, ბარჯიხევს არ გავსულვართ ჯერა.

— შენ ხომ არ მოგეწყინა, ვანუავ?

— მე რად უნდა მოვიწყინო, ბატონიშვილო, ვუსტვენ ჩემთვინა და, მივაჭენებ ცხენებს. რომც ჩამეძინოს, ხომ იცი, როგორი გაწვრთნილებიცა მყვანან, წკვარამ ღამეშიც კი გზას არ აცდებიან, განა?

და წასტვინა ვანუამ. ჯერ ბულბულს გამოაჯავრა, მერე შაშვს, ხან აუწევდა ხმას, აჭახჭახდებოდა, ხანაც მინელდებოდა, სულ გაიტრუნაო თითქოს ნაცვენ ფოთლებში ფრთოსანი. შემდეგ ტოროლას გამოაჯავრა ვანუამ. ეს მართლაც კარგად გამოუდიოდა, თითქოს ხედავდა ბიჭი განთიადისას ზეცაში ასხლეტილ ტოროლას... და ფიქრობდა თავის საფიქრალს, იმ უცნაური ბიჭის თვალთა სევდა და გულდარდიანობა არ ასვენებდა.

რამდენჯერმე სცადა სხვა რამეზე გადაეტანა ფიქრი. ჯერ შინაურები მოიარა გონების თვალით, შემდეგ მძინარე მამის სუნთქვას აადევნა ყური; პანსიონში გადაინაცვლა, საწოლის მეზობელი გაიხსენა — გნოლივით სათუთი და შვლისთვალება იაკობი, გორის მაზრიდან ჩამოსული, ერთთავად ლიახვის ქებაში რომ იყო. ცოტა ხნის შემდეგ ილიამ იგრძნო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ვერც ერთ სხვა საფიქრალს ვერ უდებდა გულს, მერე კი ისევ ძილი მოერია. მიირწეოდა ეტლი, მეჯინიბე სტვენდა და ტყის რომელიმე ბინადარი წყრომით ეპასუხებოდა...

ბიძგი მარჯვნიდან შეიგრძნო პირველად და მიხვდა, რომ ამოყირავდა. შეკივლა ბიჭმა. გრიგოლმა უცბად მოხვია ხელები. ერთი კი დაიძახა, — რა ამბავია ჩვენს თავსო — და ისევ ამოტრიალდნენ უკვე ეტლს გარეთ, ჩირგვებში.

— დაშავდი, შვილო ილიკო? — ორიოდე ნახტომით გზაზე გაიყვანა, ნაბადი გაშალა და ზედ დააწვინა.

— ხო არაფერი გტკივა? — ჩაეკითხა მზრუნველობით.

არაო, თავი გაუქნია ილიამ და უცნობი დაკვირვებით შეათვალიერა. იგი იარაღში იყო ჩამჯდარი, კოკობი წვერულვაში და ხუჭუჭი თმა ჰქონდა. ასე ოცი-ოცდაორი წლის იქნებოდა.

უცნობი ისევ ჩაეშვა ქვევით, ახლა გრიგოლი ამოიყვანა. ორიოდე წუთის შემდეგ კი ვანუაც.

— აღელვებით ეკითხება მამა.

—არა, სულაც არაფერი მაწუხებს. შენა, მამი, ხო არაფერი დაგიშავდა?

— არა, მე რა უნდა დამშავებოდა. ვანუას ხმა არ გესმის?

— აქა ვარ, შენი კვნესამე, აქა! ნეტამც აღარ ვიყო კია სულაც! — სადღაც ხევის ძირიდან ამოიძახა ვანუამ.

— კაცო, არ იტყვი, რა დაგვემართა?

— აბა რა ვიცი, ბატონო, ან ბოგირი. რამ ჩაინგრა, ან...

— რაკი ცოცხლები ვართ...

— დაიცა, ბატონო, ჯერ ცხენებისა და ეტლის ამბავიც გავიგო და...

ალბათ, წამოდგომა სცადა, აკვნესდა და აკრუსუნდა ვანუა.

— რაღაც კარგად ვერ უნდა იყო, ვანუავ, ა? — გასძახა გრიგოლმა.

— მგონი, ფეხი ვიღრძევი, ბატონო, ეგ ვერანა, ეგა...

— ცოცხლები ხართ, ხალხნო? — ვიღაცამ ზემოდან დაიძახა.

ილიამ აიხედა. გზის კიდეზე ნაბდიანი კაცი იდგა. წამიერ დაიხარა, ნაბადი ბუჩქებზე მიაგდო და თვალის დახამხამებაში მათთან გაჩნდა.

— ბავშვი უნდა იყოს, მგონი. მომე, ბავშვს ვუშველოთ.

ამ სიტყვებით ილიას დასწვდა, ღონიერი მკლავებით აიტაცა და

— სამნი იყავით სულა? — იკითხა უცნობმა.

— ჰო, სამნი! — ვანუამ უპასუხა პირველმა.

— მაშ, ცხენებს მივხედავ, ცოდოა პირუტყვი. — ჭაბუკი ისევ გაუჩინარდა.

— აგერ, აკი გითხარით, ბოგირი თუ ჩაინგრა-მეთქი, ხედავთ, ბატონო? — ისეთი სიხარულით წამოიძახა ვანუამ, თითქოს საშველ-სახიდებელს მოჰკრაო თვალი.

— ეჰ, ვანუავ, ვანუავ, განა მაგითი რა მოვიგეთ, — ამოიოხრა გრიგოლმა, — მაინც კიდე კარგი, ჩვენი ილიკო რომ გადაგვრჩა. ... ბიჭს თავზე გადაუსვა ხელი — ... ყმაწვილი კაციც ბედზე არ შეგვხვდა, კაცო?

— ნეტა რომელმა ღმერთმა გამოგვიგზავნა ე დალოცვილი? — იკითხა ვანუამ და ორივე ხელი მუხლსახსარზე მოირტყა.

— გტკივა, ვანუავ? — თანაგრძნობით მიმართა ილიამ, — ჰა, იქნებ...

— აბა რა სათქმელია, ბატონიშვილო, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება. ეს ღვთისნიერი ჯეელი ვინ არი, ეგ მინდა გავიგო.

— მგზავრი იქნება ვინმე, განა შენ ან მე არ ვუშველიდით, სხვა რომ გვენახა ჩვენს ყოფაში? — თქვა გრიგოლმა. — აგერ, ცხენიც აქვე არ დგას -ჭისი?

მათგან ხუთიოდე ნაბიჯზე იდგა შეკაზმული ცხენი, უნაგირის კეხზე აქეთ თოფი ეკიდა, იქით — ხმალი.

— სულ იარაღშია თავით ფეხებამდე, — შენიშნა ილიამ.

— ძაან სხარტი ჯეელი კია, დაილოცოს მაგის მშობელი! — პირჯვრის წერით თქვა ვანუამ.

უცნობი გზაზე გამოვიდა. აღვირით მოჰყავდა ორი ცხენი.

— ბალახს ძოვდნენ, ვითომც არაფერიო, — გაიცინა. — ახლა თქვენც თუ... ან არადა, სულაც ღელისპირს გაგიყვანთ. — უცნობმა ჩქარ-ჩქარა თქვა ყოველივე ეს და ცხენები ბუჩქზე გამობა.

— ღმერთი გიშველის, შვილო, დაილოცოს შენი გამზრდელი! — დალოცა ვანუამ.

უცნობს ყურადღება არ მიუქცევია, ბუჩქებს მიარღვევდა ღელისპირისკენ.

— რა მოხდენილი ვაუკაცია! — მოწონების თვალი გაადევნა გრიგოლმა.

— მაშა, შენი კვნესამე, ბატონო, ავ თვალს არ დაენახვება. — კვერი დაუკრა ვანუამ.

უცნობი ისევ გამოჩნდა, თავის ცხენთან მივიდა, კეხზე ჩამოკიდებული ხმალი ქარქაშიდან ამოიღო, ხელში შეატრიალა. ბასრი მახვილი ცივად აელვარდა მთვარის შუქზე.

— ცოტათი თუ არ მივკაფ-მოვკაფე შამბნარი, ეტლს ვერც კი დავძრავთ.

გრიგოლი წამოდგა, გასწორდა და ხელი გაუწოდა უცნობს.

— გრიგოლ ჭავჭავაძე არ დაივიწყებს, ჭაბუკო, თქვენს სიკეთეს.

— კაცნი ვართ, ბატონო, — თავი ჩაჰკიდა უცნობმა.

— ვისი უნდა იყო, ჭაბუკო? — ჰკითხა თავადმა.

— ჯერ ეტლი, ამოვიყვანოთ, ბატონო, გაცნობისა მერე ვთქვათ, — შეხუმრება-შეფარებით თქვა უცნობმა და ბუჩქებს შეერია. გაჰყვნენ ვანუა და გრიგოლი. ილიაც წამოდგა და უფროსებს აედევნა.

ეტლი თავდაყირა ეგდო ბუჩქებს იქეთ. ღელისპირამდე არ ჩაეღწია. უცნობმა წინა მხრიდან შემოურა ეტლს და ბუჩქების კაფვა დაიწყო. ეტლი თავისით გადმოგორდა და სწორად დადგა.

— გიშველოს ღმერთმა, საზრიანიც რო ყოფილხარ! — ქება ვერ დაიოკა გრიგოლ ჭავჭავაძემ, — აფერუმ შენს ბიჭობას.

— ეგ რა დიდი ამბავია, ბატონო, აი ეტლში რომ მოქცეულიყავით, მაშინ კი...

— არ ვიყავით მაგ ყისმათისა, როგორც ჩანს, — შეეხმიანა გრიგოლი.

— სწორი ბრძანებაა, ბატონო. აბა, ახლა მიაწექით ეტლსა, რაც ძალა და ღონე გაქვთ. ცოტას რომ გავალო, მერე ტრიალია სულ.

ათიოდე მეტრზე ატარეს ეტლი შამბნარში და დადგნენ. უცნობმა ცხენების მოყვანა თქვა და ისა და ვანუა გზისკენ წავიდნენ. მალევე დაბრუნდნენ, გამართეს ეტლი და შეაბეს ცხენები. ამასობაში გრიგოლმა და ილიამ ცეცხლი დაანთეს და კაი გიზგიზა კოცონი გააჩაღეს.

— ახლა კი გზას დაგილოცავთ და ღმერთი გწყალობდეთ! — თქვა უცნობმა, ხელმანდილით ოფლი შეიწმინდა და თავის ცხენს ხურჯინი მოხსნა. ილია მონუსხულივით აკვირდებოდა უცნობს. ყველაფერი აოცებდა ამ ცეცხლივით ელვიანი კაცის, მიხვრა-მოხვრა, საქმიანობა, საზრიანობა, ძალა.

სუფრა ცეცხლისპირას გაიშალა, ილიამ პირველად ჩახედა უცნობს თაფლისფერ, კეთილ თვალებში. იგი ღვინოს ასხამდა მომცრო ყანწებში.

ერთი ყანწი გრიგოლს მიაწოდა.

— ინებეთ, ბატონო!

— ახლა მაინც თქვი, ვინა ხარ, დალოცვილო! — თქვა გრიგოლმა.

— რა ვქნა, ბატონო, სიცრუეს ვერ გკადრებთ, სიმართლე კი მიძნელდება.

— რათა, შე კაი დედმამიშვილო, რათა? — შეწუხდა ვანუა.

— არის მიზეზი, ძია კაცო, ასე უფრო ერგება საქმეს, დაგლოცავთ, თქვენ თქვენთვინა, მე კიდევ ჩემთვინა. ღმერთი გფარავდეთ! — თქვა და დაცალა ყანწი.

— ღმერთი გფარავდეს, ზაქარიავ. გრიგოლ ჭავჭავაძეს ამ ყოფაშიც რომ არ შეხვედროდი, ისედაც არას გავნებდა, იცოდე. ვიცი შე შენი ამბებისა. ღმერთი განგსჯის, თუ განსასჯელი ხარ.

— ზაქარიაო? — ყურები ცქვიტა ილიამ. აი, როგორი ყოფილა მთელი კახეთის ბოქაულებისა და ჩაფრების რისხვა და ზარი, მოუხელთებელი, ხალხში ლექსად და სიმღერად ქცეული ყაჩაღი ზაქრო.

— რა ვქნა, ბატონო, ყველას თავისი ხვედრი აქვს, მეც ჩემსას ვერ გავექცევი, — თავი დახარა ზაქარიამ.

— მაღალი ღმერთი გფარავდეს... შენი ბიჭობისა მეცა მსმენია, ეჰ... — სიტყვა არ დააბოლოვა ვანუამ, მიწოდებული რქა დაცალა და დაუბრუნა...

— ერთიც დამისხი, ზაქარიავ, — გრიგოლმა ცარიელი ყანწი გაუწოდა თავდახრილ ჭაბუკს.

ზაქრომ სხარტად ჩამოუსხა ღვინო.

— აგე, თენდება, ზაქარიავ, გარიჟრაჟი მოდის, მალე სულ გათენდება და იმ დღის სინათლის სადღეგრძელო მინდა შევსვა. ყველას გულში გათენებულიყოს, უკლებლივ ყველას რგებიყოს დღის სინათლე.

დალია გრიგოლმა, დაუბრუნა ზაქროს რქა და გაუყვა დინჯად ეტლისაკენ. ილიამ აღარ იცოდა, რა ექნა. დაბნეული იდგა ჯერხანად, მერე ათრთოლებული თითებით საყელო შეიხსნა, ვერცხლის ძეწკვზე დაკიდებული დედის ნაჩუქარი ავგაროზი შეიხსნა და ჭაბუკს გაუწოდა.

— აჰა, ჩემს სამახსოვროდ ატარე! — უთხრა და იმის შიშით, რომ ამ ლეგენდად ქცეულ ჭაბუკს მის თვალებში აციმციმებული ცრემლი არ შეენიშნა, უცბად გაშორდა.

— ღმერთი გფარავდეს, ზაქარიავ, ბიჭო, ძაან ვაუკაცი კი ყოფილხარ, შე დალოცვილო, აი! — ვანუამ ორივე ხელი ჩამოაწყო კისერზე ზაქარიას.

ეტლი რომ დაიძრა, ილიამ უკან მოიხედა. ღელის პირას, ცეცხლის შუქზე გაუნძრევლად იდგა თოფ-იარაღში ჩამჯდარი, ჩოხის კალთებაკეცილი ლეგა ჭაბუკი. იქვე შორიახლო მისი დარახტული ბედაური იდგა და ყურებდაცქვეტილი უსმენდა ეტლში შებმული ცხენების ფლოქვების ხმას.



ნოდარ შამანაძე — 50

ნორჩი ქართველი მკითხველებისათვის ახლობელი და ძვირფასია მწერალ ნოდარ შამანაძის სახელი.

ნ. შამანაძის საყმაწვილო ლექსები თუ მოთხრობები მოზარდის გულში აღვივებენ მამულის ერთგულების, ადამიანობის, ცოდნისა და შრომის სიყვარულის სანუკვარ თვისებებს.

როგორც „პიონერის" სარედაქციო კოლეგიის წევრი, ნ. შამანაძე აქტიურად მონაწილეობს ჟურნალის შემოქმედი კოლექტივის საქმიანობაში, დაუზარებლად ხელმძღვანელობს განყოფილებას „შევკრიბოთ ეროვნული საუნჯე".

ახლახან ნოდარ შამანაძეს დაბადების 50 წელი შეუსრულდა.

ჟურნალ „პიონერის" რედაქცია და სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავენ მეგობარ მწერალს თავისი ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებენ დღეგრძელობასა და შემოქმედებით წარმატებებს.

გთავაზობთ ნოდარ შამანაძის ახალ საბავშვო ლექსებს.

გზაჯვარედინთან

გოგო-ბიჭებო, მტრედის გუნდებად
შვენით ქალაქებს, სოფლებს, აულებს...
სამშობლო თქვენზე ზრუნვას უნდება,
თქვენთვის ცას იპყრობს,
ტურბინს აბრუნებს...
გოგო-ბიჭებო,
სკოლის მერხებთან
შორს გასაფრენად აცეცებთ თვალებს,
დიდ ცხოვრებასთან გელით შეხვედრა,
გზაჯვარედინთან დადგებით მალე.
ვისაც რა გზა გსურთ,
იმ გზას გაყვებით,
იმ გზას აირჩევთ,
გაწალდავთ იმ გზას,
არჩეული გზით მოამაყენი,
აიყვავილებთ სანუკვარ მიზანს.
იმ გზას გაყვებით, რომელიც გინდათ,
მაგრამ რომ ცაზე ცისკრად აენთოთ,
გადაფრენილებს თქვენ თქვენი გზითა,
ერთი გზა ყველას გელით საერთო —
გზა სამართლის და სინდის-ნამუსის,
ამ გზას ვერცერთი გვერდს ვერ აუვლით,
ამ გზით სიკეთე მკვიდრობს მამულში
და სიყვარულის დღესასწაული.

ლილის ეზო

პატარა ბიჭი, პატარა გოგო
მიდიოდნენ ტყის პირზე.
პატარა ღრუბლები ეხვეოდა,
აბნელებდა დილის მზეს.
პატარა ბიჭმა პატარა გოგოს
მოუწყვიტა პირიმზე.
პატარა გოგონა აკისკისდა,
წაიცეკვა ბილიკზე.
პატარა ღრუბლები გაიფანტა
იმ გოგონას კისკისზე.
პატარა ბიჭს და პატარა გოგოს
გაუცინა დილის მზემ.

დედა

ღამდება და სადგურზედაც მოვედი,
ვღელავ,
ვბორგავ,
სული ასად მეყოფა;
დედა, ხვალე მე არაფერს მოველი,
შენი ნახვის მოლოდინიც მეყოფა.
საცა არის, გული უფრთოდ ამაფრენს,
მომატარებს ფიქრის ტყეს და ხეობას;
დედა, ხვალე არ ვისურვებ არაფერს,
შენი ნახვის სიხარულიც მეყოფა.
გამოცრილი ოქრო ცვივა ციდანა,
მთვარე მალე მთის წვერს გამოეყოფა,
დედა, ხვალე გინდ გათენდეს, გინდ არა,
შენი თმების განთიადიც მეყოფა.

ყვირილა

ყვირილა მორბის, მოყვირის,
გზად ვერხვებს ეამბორება,
ძალა შემატეს ორპირი
კლდე-ქარაფებთან ბრძოლებმა.
ქვა-ლოდებს შუბლით ეხლება,
სურს ყველა ლოდის მორევა,
ხანდახან თავბრუ ეხვევა,
დატრიალდება მორევად.
მერე გზას ისევ განაგრძობს,
ვერხვებს კვლავ ეამბორება,
უნდა ბრძოლაში გალიოს
მთელი თავისი ცხოვრება.

ბებერ ულოცავდეთ ბებერ ბებერი

დიდება მას,
ცხრა მთას იქით
ვინაც სული დალია,
სიკვდილის წინ მშობლიური
წყალიც ვეღარ დალია,
ყველა ფიქრი და ოცნება
სულ ოხვრაში დალია;
საფლავიც კი არ ეღირსა,
ზემოთ შერჩა კლდე-გორას
და ჩხავილი ყვავ-ყორნების
დედის მოთქმა ეგონა,
მოქიქინე ქარის ქროლვა
მამის ოხვრა ეგონა,
ციურ ცვარის მონამცვრევი
სატრფოს ცრემლი ეგონა.
დიდება მას, სამშობლოს ცა
მხრებით აუწევია,
ღრო ვერ წაშლის სახელს მისას,
ჩვენს გულებში სწერია.

ნ. შამანაძე

ოლიმპიადა -80- ქოკის, ქვეკანოკის და ეუვილოკის ჯიში

ტრადიციის დაკვლევა

ყველაზე საზეიმო, ყველაზე კულმინაციური, ლამაზი და ეფექტური არის ოლიმპიური ჩირაღდნის ანთების რიტუალი. ტრადიციის მიხედვით ოლიმპიური ჩირაღდანი მზის სხივებისგან უნდა აინთოს ოლიმპიაში (საბერძნეთი) ზევსის ტაძრის ახლოს და ესტაფეტასავით გადაეცეს ათიათასობით ჭაბუკისა და ქალიშვილის მიერ, რომლებიც მძიმე საკონკურსო ბრძოლაში მოიპოვებენ ოლიმპიური ჩირაღდნის ტარების საპატიო უფლებას. ესტაფეტა მთავრდება ოლიმპიურ სტადიონზე ვეება თასში ცეცხლის ანთებით. ცეცხლი ანთია ოლიმპიური თამაშების მთელ მანძილზე.

მეხიკომდე ოლიმპიური ცეცხლის ანთების საპატიო მისიას მხოლოდ „ძლიერთა სქესის" წარმომადგენლები ასრულებდნენ. 1918 წ. ამ ტრადიციას გადაუხვიეს — ბოლო ეტაპზე ჩირაღდანი მოჰქონდა მექსიკელ ნორჩ სპორტსმენ ქალს, ერნიკეტა ბასილიო სოტელოს. მონრეალში კი ცეცხლი გააჩაღა ერთდროულად ორმა სპორტსმენმა: ქალიშვილმა და ჭაბუკმა.

როგორც წესი, იმ სპორტსმენებს შორის, რომლებიც ოლიმპიური ცეცხლის ანთების ცერემონიისათვის ემზადებიან, მკაცრი კონკურსი იმართება. სავალდებულო არ არის იყო გამოჩენილი ატლეტი, გაცილებით მეტი მნიშვნელობა ენიჭება გარეგნულ მომხიბვლელობას, იმის უნარს, რომ შეინარჩუნო ზუსტი რიტმი თასამდე აღმავალი საფეხურების გავლისას, სპორტულ ფიგურას. მხოლოდ ერთხელ (1952 წ.) ეს თვისებები არ იქნა მხედველობაში მიღებული. ჩირაღდნის ანთების პატივი მიენიჭა 20-იანი წლების დამლევისა და 30-იანი წლების დასაწყისის გამოჩენილ მორბენალ-სტაიერს, ფინელ ჰეევო ნურმის. ხოლო 1956 წ. ოლიმპიადაზე მელბურნში ოლიმპიური ჩირაღდანი გააჩაღა 18 წლის ჭაბუკმა როლანდ კლარკმა, რომელიც რამდენიმე წელიწადში მსოფლიოს უძლიერესი მძლეოსანი გახდა. მხოლოდ ერთხელ, ტოკიოს თამაშებში, ოლიმპიური ცეცხლის დანთების უფლება მიეცა არასპორტსმენს. ეს იყო იოსინორი საკაი, რომელიც ხიროსიმის ატომური დაბომბვის დღეს დაიბადა. მისთვის გამოცხადებული ეს დიდი ნდობა, გაისმა, როგორც პროტესტი ატომური ომის წინააღმდეგ...

●

1920 წ. ანტვერპენში ოლიმპიადაზე პირველად იქნა აღმართული თეთრი ალამი, ზედ გამოსახული ხუთი სხვადასხვა ფერის ერთმანეთზე გადაწნული რგოლით — ოლიმპიური ალამი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფართო საზოგადოების წინაშე ოლიმპიური ალამი უფრო ადრე წარსდგა. ეს იყო 1914 წელს, პარიზში, ოლიმპიური თამაშების აღორძინების 20 წლისთავის ზეიმზე. ახლა, თამაშების გახსნის ცერემონიალზე, იმ ქალაქის წარმომადგენელი, სადაც წინა ოლიმპიური თამაშები ჩატარდა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს გადასცემს ოფიციალურ ოლიმპიურ ალამს, პრეზიდენტი კი, თავის მხრივ, თამაშების ორგანიზატორი ქალაქის მერს. თამაშების დროს ალამი ოლიმპიური სტადიონის ცენტრალურ ანძაზე ფრიალებს. თამაშების დამთავრების შემდეგ ოთხი წლის მანძილზე იგი ინახება ქალაქის მუნიციპალიტეტის მთავარ შენობაში. ალამი 1913 წ. დაამტკიცა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა პიერ დე კუბერტენის წინადადებით.

●

„ყველა სპორტსმენის სახელით პირობას ვდებ, რომ პატივს ვცემთ და დავიცავთ წესებს, რომელთა მიხედვითაც ოლიმპიური თამაშები ტარდება — მონაწილეობას მივიღებთ მათში ჭეშმარიტი სპორტული სულისკვეთებით, სპორტის სადიდებლად და ჩვენი გუნდების ღირსებისათვის". ასე ჟღერს ოლიმპიელთა საზეიმო ფიცი. პირველად ეს ფიცი წარმოსთქვა ბელგიელმა მოფარიკავემ ვიქტორ ბუანმა ანტვერპენში 1920 წელს — ოლიმპიადების მატიანეში ახალი, ლამაზი ფურცელი ჩაიწერა: თამაშების ყველა მონაწილის სახელით ერთი სპორტსმენი მაღალი იდეალების ერთგულების ფიცს სდებდა. მას შემდეგ კიდევ 13 სპორტსმენი ავიდა სპეციალურ კვარცხლბეკზე და შეასრულა ეს საპატიო მისია.

1968 წლიდან ოლიმპიურ ფიცს დებს ოლიმპიადის არბიტრთა მრავალრიცხოვანი კორპუსის წარმომადგენელიც. ამ ფიცის ტექსტი ასეთია: „ყველა მსაჯისა და ოფიციალური პირის სახელით ფიცსა ვდებ, რომ ჩვენს მოვალეობას ამ ოლიმპიადაზე შევასრულებთ მიუკერძოებლად, პატივს ვცემთ და დავიცავთ იმ წესებს, რომელთა მიხედვითაც ეს თამაში ჩატარდება".

●

1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში მოსკოვში გათამაშდება მედლების 203 კომპლექტი.

ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდება სულ ცოტა 1321 სპორტსმენი.

სპორტის ყველა სახეობიდან ჯილდოების ყველაზე დიდი კომპლექტი—38 — მომზადებულია მძლეოსნებისათვის.

ოლიმპიურ შეჯიბრებათა მსაჯობაში მონაწილეობას მიიღებს



900 საერთაშორისო არბიტრი, მათ ასისტენტობას გაუწევს 2600 საბჭოთა მსაჯი.

ოლიმპიადის ყველაზე გრძელი დისტანცია იქნება 80-189 კილომეტრი — ასეთი მანძილი უნდა დაფარონ გუნდური ველოსრბოლის მონაწილეებმა. ყველაზე მოკლე კი 100 მეტრი — მოცურავეებისა და მძლეოსნებისათვის.

ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა განკარგულებაში იქნება 99 ოლიმპიური ობიექტი, აქედან 76— მოსკოვში.

ოლიმპიადის მონაწილეთა და სტუმრების რიცხვი შეადგენს 600 ათას კაცს.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!" ასეთი ტრანსპარანტები მრავალ სხვადასხვა ენაზე ამშვენებენ საერთაშორისო ახალგაზრდულ ოლიმპიურ ბანაკს, რომელიც მოსკოვის მახლობლად, სოფელ ივაკინოში მდებარეობს. ახლახან აგებულ 9 სართულიან საცხოვრებელ კორპუსებში სამი კვირით ჩასახლდება 1.500 ჭაბუკი და ქალიშვილი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ განკარგულებაში იქნება სპორტული კომპლექსი, პლიაჟი, კაფე, საცეკვაო მოედანი.

ეს არის ყველაზე დიდი ახალგაზრდული ბანაკი ოლიმპიადების მთელი ისტორიის მანძილზე.

საქართველოს ოლიმპიელები

თანამედროვე ოლიმპიადების ისტორიაში ახალი ერა დაიწყო 1952 წლიდან, როცა საბჭოთა სპორტსმენებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ოლიმპიურ ასპარეზობებში.

ჰელსინკი, მელბურნი, რომი, ტოკიო, მეხიკო, მიუნჰენი, მონრეალი ამ ახალი პერიოდის ეტაპებია, სახელოვანი გზაა, რომელიც განვლო საბჭოთა სპორტმა ოლიმპიური ისტორიის ოცდარვაწლიან მონაკვეთზე. ამ ხნის მანძილზე საქართველოს სპორტსმენებს მოწინავე პოზიციები ერთხელაც არ დაუთმიათ.

მაგრამ ჯერ რამდენიმე ცნობა.

საქართველოს ქალაქებში ოლიმპიური ჩემპიონის 20 ოქროს მედალი, 16 ვერცხლისა და 24 ბრინჯაოს ჯილდო ინახება. ეს არც ისე ცოტაა.

ოლიმპიური თამაშების პროგრამა, როგორც წესი, უცვლელია წლიდან წლამდე. მხოლოდ ზოგჯერ რომელიმე ოლიმპიადას თუ დაემატება ერთი ან ორი სახეობა, ზოგჯერ კი დააკლდება ხოლმე. საქართველოს სპორტსმენებს მონაწილეობა აქვთ მიღებული 19 ოლიმპიურ დისციპლინაში. საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში ყველაზე მეტი დელეგატი (16 სპორტსმენი) მძლეოსნებს ჰყავდათ. მათ მხოლოდ ერთი კაცით ჩამორჩებიან თავისუფალი სტილის მოჭიდავეები.

ყველაზე ბევრ ოლიმპიურ ჯილდოს — 11 სხვადასხვა ღირსების მედალს — თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ფლობენ (ოთხი — ოქრო, სამი — ვერცხლი და ოთხიც — ბრინჯაო). მაგრამ ისეთი სახეობებიც არის, რომლებშიც ჩვენს რესპუბლიკას არც ერთი მედალოსანი არ ჰყოლია. ეს სახეობებია: წყალში ხტომა, მშვილდოსნობა და წყლის სლალომი (სხვათა შორის, ეს უკანასკნელი სახეობა მხოლოდ ერთხელ იყო შეტანილი ოლიმპიურ პროგრამაში).

ოქროს მედლების მარაგით ჩვენთვის ყველაზე ბარაქიანია მიუნჰენის XX ოლიმპიადა. აქ უმაღლესი ჯილდო საქართველოს ექვსმა სპორტსმენმა დაიმსახურა.

აი, როგორ გამოიყურება საქართველოს ოლიმპიელთა შედეგები წინა შვიდ ასპარეზობაში.

1952 წელი. ჰელსინკი. XV ოლიმპიადა: გვყავდა 3 ჩემპიონი — დავით ციმაკურიძე (თავისუფალი ჭიდაობა), რაფაელ ჩიმიშკიანი (ძალოსნობა), მედეა ჯუღელი (ტანვარჯიში);

1956 წელი. მელბურნი. XVI ოლიმპიადა: 2 ჩემპიონი — გივი კარტოზია (კლასიკური ჭიდაობა), მირიან ცალქალამახიძე (თავისუფალი ჭიდაობა);

1960 წელი. რომი. XVII ოლიმპიადა: 2 ჩემპიონი — რობერტ შავლაყაძე (მძლეოსნობა), ავთანდილ ქორიძე (კლასიკური ჭიდაობა);

1964 წელი. ტოკიო. XVIII ოლიმპიადა: 2 ჩემპიონი — ნუგზარ ასათიანი (ფარიკაობა), ვაჟა კაჭარავა (ფრენბურთი).

1968 წელი. მეხიკო. XIX ოლიმპიადა: 2 ჩემპიონი — ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა), რომან რურუა (კლასიკური ჭიდაობა).

1972 წელი. მიუნჰენი. XX ოლიმპიადა: 6 ჩემპიონი — ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა), ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია (ცალათბურთი), შოთა ჩოჩიშვილი (ძიუ-დო), ვიქტორ კრატასიუკი (ნიჩბოსნობა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1976 წელი. მონრეალი. XXI ოლიმპიადა: 3 ჩემპიონი — ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა), ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ალექსანდრე ანპილოგოვი (ხელბურთი).

... — ოლიმპიადებში მთავარი გამარჯვება კი არ არის, არამედ მონაწილეობა, — თქვა ერთხელ ოლიმპიური თამაშების თანამედროვე ციკლის ფუძემდებელმა, ფრანგმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ პიერ დე კუბერტენმა. მართლაც, თამაშებში მონაწილეობა უკვე თავისთავად დიდი წარმატებაა, ვინაიდან ამ უფლებას მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულნი იმსახურებენ.

ვიქტორ სანეევი, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მძლეოსანი სამხტომში, სამი ოლიმპიადის მონაწილე და სამი ოქროს მედლის მფლობელია. განა ეს გმირობა არ არის?

სამ ოლიმპიადაში იცავდა საბჭოთა სპორტის ღირსებას გამოჩენილი ქართველი ველოსიპედისტი ომარ ფხაკაძეც. მერე მოდის ოლიმპიადებში ორგზის მონაწილეთა საკმაოდ დიდი — 19-კაციანი ჯგუფი. 54 ქართველი სპორტსმენი თითო ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეა.

ოლიმპიური თამაშები მსოფლიო სპორტის განუყოფელი ნაწილია, მისი გვირგვინია. ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული კი უნიკალური ჯილდოა.

ნ. გუგუშვილი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 7

კიდევ ერთი ლამაზი დღე

მზე სულ ახლახანს ამოიწვერა. იღვიძებს შავნაბადას კალთაზე შეფენილი პატარა ქალაქი. ჩვენმა ავტობუსებმა, კარგა ხანია, ჩამოიტოვეს თბილისი. ავტობუსიდან უცნაური განწყობილებით ჩამოვედი — ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო კომკავშირულ ქალაქთან და მისგან ბევრს ველოდი.

გაზაფხული უკვე ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. დიდხანს ვდგავართ ბორის ძნელაძის ძეგლთან, ისე დიდხანს, რომ მეჩვენება, ქვის მონუმენტი კი არა, ცოცხალი ადამიანია ჩემს თვალწინ.

მზე შუბის ტარზე შემაღლდა. კომკავშირული ქალაქიდან მობრუნებულებს თბილისური სიოს სურნელი შემოგვეგება.

ფრთხილად მივყვებით ხალხთა მეგობრობის მუზეუმის კიბეს. ნახევრადგანათებული ოთახი... გამდნარი ფოლადივით იღვრება ცნობილი დიქტორის — ლევიტანის საოცარი ხმა. ხმა, რომელმაც დიდი ომის დასაწყისი ამცნო საბჭოთა ხალხს. სხეულში ჟრუანტელი მივლის. ვფიქრობ: რა დიდი უნდა ყოფილიყო ის რწმენა, რომელიც ამ სისხლშემხმარი პარტიული და კომკავშირული ბილეთების პატრონებს გამარჯვების გზებით ატარებდა. „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“... — გუგუნებს რეპროდუქტორი.

ეს დღე ერთად ყოფნის უკანასკნელი დღეა მოსწავლეთა XXXV რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მონაწილეთათვის; ჩვენთვის, ვინც ოთხი დღის განმავლობაში დამეგობრებაც მოვასწარით და საკუთარი შემოქმედების ერთმანეთისათვის გაცნობაც.

საღამოს რუსთაველის თეატრში ვატარებთ. „ჩემო კალამო“ — დიდი ილიას ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი ეს სპექტაკლი განსაკუთრებით მოგვწონს. დიდხანს ვუსმენთ ჩვენი საყვარელი მსახიობების — გურამ საღარაძის, ზინა კვერენჩხილაძის, გოგი ხარაბაძისა და გოგი გეგეჭკორის მიერ წაკითხულ ილიასეულ სტრიქონებს...

ამ პოეტური სპექტაკლით დამთავრდა ჩემი ცხოვრების კიდევ ერთი ლამაზი დღე, დღე, რომლის შთაბეჭდილებებიც, ალბათ, წლების მანძილზე გამყვება.

ნონა ნატროშვილი,
სიღნაღის რაიონის ნუკრიანის მე-2 საშუალო სკოლა, IX კლასი.

ჩემი მეგობარი რაიმუნდასი

უკვე მესამე წელია, რაც მეგობრული ურთიერთობა გვაქვს მე და რაიმუნდასს. ეს ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთ ჩვეულებრივ დღეს ფოსტალიონმა გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციის პაკეტში ჩადებული წერილი გადმომცა უცნობი ამხანაგისაგან — თურმე ქართველ თანატოლებთან დამეგობრება სურდა. მას შემდეგ კვირა არ გაივლის, რომ ერთმანეთს არ შევეხმიანოთ. რაიმუნდასი ლიტვაში ცხოვრობს, ქალაქ რასეინიაში. იგი ხშირად მიგზავნის თავისი ქალაქის ცხოვრების ამსახველ სურათებს, წიგნებს; მწერს ლიტვურ ლეგენდებს, მასწავლის ლიტვურ ენას. რაიმუნდასს უყვარს მუსიკა და სურს მუსიკის მასწავლებლი გახდეს. იგი ფოტომოყვარულიც არის, ეტყობა, ხშირად იღებს ბუნების სურათებს. თავის ნახელავს მეც მიგზავნის ხოლმე სახსოვრად. ძალიან მოსწონს ქართული ჟურნალ-გაზეთების ილუსტრაციები, ნახატები, ფოტოსურათები; ამბობს კიდეც, მართალია, ენა არ ვიცი და ვერ ვკითხულობ თქვენს „ნორჩ ლენინელს“, მაგრამ მისი მხატვრული გაფორმება ყოველთვის მომწონდაო. ალბათ, ამან აფიქრებინა საქართველოში მეგობრული წერილის გამოგზავნაც.

სულ ახლახანს რაიმუნდასს ჩვენი „ნორჩი ლენინელისა“ და „პიონერის“ ნომრები და გ. წიბახაშვილის სახელმძღვანელო „ქართული ენის თვითმასწავლებელი“ გავუგზავნე. ის ხომ ქართულ ენასაც სწავლობს, უკვე ანბანიც იცის და ეს მე ძალიან მახარებს.

ნონა ქადაგიშვილი,
გურჯაანის რაიონის კარდანახის საშუალო სკოლა, IX კლასი.

ქეთილი საქმე

კარგა ხანია, ჩვენი რაზმი ჩვენივე სოფლის საბავშვო ბაღს შეფობს. ბაღის აღსაზრდელებს ხშირად ვაკითხავთ, საინტერესო ზღაპრებს ვუყვებით, ვეთამაშებით, საქმეშიც ხელს წავუკრავთ ხოლმე.

ერთხელაც საბავშვო ბაღის ეზოს დასუფთავება და გალამაზება განვიზრახეთ.

მალე მოვიდა დანიშნული დღე. მთელი რაზმის პიონერები წავედით საშეფო საბავშვო ბაღში. ბაღის გამგემ თ. ნიკოლაიშვილმა გაიხარა, ჩვენი გადაწყვეტილება რომ გაიგო.

მერე მუშაობას შევუდექით. დავიწყეთ ეზოს გამწვანება. ქვა-ღორღი გავზიდეთ, მიწა დავბარეთ და გავაფხვიერეთ, ახლადდაბარულზე ყვავილების ჩითილები ჩავრგეთ.

ეზოში მუშაობის შემდეგაც კარგად გავერთეთ: ჩვენს პატარა მეგობრებთან ერთად მთელი შენობა შემოვიარეთ, ბევრი ვითამაშეთ, პატარებს ჩვენი რაზმის ამბები მოვუყევით.

საღამოს კი, როცა ჩვენი მასპინძლები — საბავშვო ბაღის აღმზრდელ-აღსაზრდელები გარეთ გამოეფინენ და დიდი მადლობით გამოგვისტუმრეს, მივხვდით, რომ კეთილი საქმე გავაკეთეთ და ენით აუწერელი სიხარული ვიგრძენით.

გენიკ შაკიაშვილი,
გურჯაანის რაიონის კარდანახის საშუალო სკოლის № 9 პიონერული რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

ამთვარე

რა ლამაზი ხარ, მთვარევ, ღამის წყვდიადის მტერო! შორს, ცის წიაღში აღწევს შენი მჭრქალი შუქი. გარშემო და-ძმები — კამკამა ვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკვლავები შემოგჯარვიან. აგერ წრეს გარტყამენ ღრუბლის ქულებიც. იცი, ახლა რას მაგონებ? გვირილას. როგორც გვირილას თითოთითოდ აცლის ფურცლებს ქარი და სადღაც მიაფრიალებს, შენც ასე გშორდებიან ღრუბლის ნაფლეთები და ისევ ქათქათებ.

შენ გენდობა ღამეული მგზავრი, შენი იმედი აქვს. მაშ შენც ნუ გააწბილებ მას და მშვიდობით მიიყვანე შინ.

ნინო ნიკურაძე,
თბილისის მე-60 საშუალო სკოლა, IX კლასი.

შემოდგომის სურათი

წვიმს, ნისლი ბოლავს...

ძალადაკარგული მზე გვიან გამოანათებს.

დღეები შემოკლდა და გაიცრიცა...

ღრუბლებს ტივები შეუკრავთ და ცაზე დაცურავენ...

ქარი აშრიალებს ჭრელ ვერხვებს და მუხებს, ძეწნებს ნაწნავებს უშლის და უწეწავს. ცადაყუდებულ ალვის ხეთა ტოტებიდან ჩამოცვენილი ფოთლები ზეგანსა და ალაგ-ალაგ შემხმარ ბალახს ეალერსება...

მერცხლებს ქარავანი შეუმზადებიათ და შეჩვეულ მთა-ბარს მალე უკან მოიტოვებენ...

შიშველი კუნძი ბუხართან ატუზულა... ღუღუნებს ბუხარი და ცაში თხელი კვამლი ადის, დაფარფატებს...

ფანჯრის რაფასთან დედაბერი მიმჯდარა, ხელები ლოყებზე შემოუწყვია და გარემოს გასცქერის, დროგამოშვებით ხელებს მოუსვამს დაორთქლილ მინას.

ოთახის სიჩუმეს ბუხარში ალმოდებული შეშის ტკაცატკუცი ახმიანებს...

შორიდან ურმის ჭრიალი მოისმის.

ეზოში ძაღლი ყეფს...

ფანჯრის მინა ნელ-ნელა ითვლის წვიმის წვეთებს...

ნინო შევარდნაძე,
მოსწავლეთა რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი XXXV კონფერენციის მონაწილე. ქ. მახარაძის მე-2 საშუალო სკოლა, X კლასი,

ეს მთა ჩემია. პაატა წიკლაური,
თბილისის 128-ე საშუალო სკოლა, 9 წლისა.

გავშვთა ხელოვნების მუზეუმის გამოფენიდან

ზეიმზე. სერგი მოისწრაფიშვილი,
თბილისის 53-ე საშუალო სკოლა, 7 წლისა.

სამრო ვაშლოვნელი

თამრო ვაშლოვნელი XVIII საუკუნის ქართველი სახალხო გმირია. ისტორიას თითქმის არავითარი ცნობა არ შემოუნახავს მის შესახებ. სამაგიეროდ ხალხმა შემოინახა მისი სახელი და მისი საქმეები. ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ თაობიდან თაობას გადასცა თავისი სასიქადულო გმირის ხსოვნა.

თამრო ვაშლოვნელის ვინაობის დამადასტურებელი ცნობა მისსავე გვარ-სახელშია მოცემული. ვაშლოვნელი, ესე იგი, სოფელ ვაშლოვნის ბინადარი იყო თამრო. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ეს ასურეთის ხეობის ერთ-ერთი სოფელია.

არსებობს ერთი გადმოცემა და ორიოდე ხალხური ლექსი, რომლებშიც ნაწილობრივ მოთხრობილია გმირის თავგადასავალი.

თამროს მშობლები მებატონის ყმები ყოფილან. მათი ბატონი ბარათაშვილი უნდა ყოფილიყო — ვაშლოვანი ხომ საბარათიანოში შედიოდა.

პატარა თამრო დედით ადრე დაობლებულა. მალე მამაც მოჰკვდომია. ის ბავშვობიდანვე ჯიუტი და თავისსიტყვა ყოფილა. ბატონს, ეტყობა, დიდად არ სიამოვნებდა მისი თავნებობა და გოგო ვიღაც სტუმრისათვის გაუყოლებია, უთქვამს, „წაიყვანე, იქნებ შენ მოარჯულოო“. მაგრამ დახეთ თამროს მოხერხებას, თავის ახალ პატრონს გამოპარვია და ტყეს შერევია...

მაშინდელი კანონით ის, ვინც მებატონისაგან თავს დაიხსნიდა, მეფის თავისუფალ ქვეშევრდომად ითვლებოდა და თამროც მამისეულ სახლში დაბრუნებულა.

ავი დრო იყო. მტერი თავისუფლად დათარეშობდა, ხალხს ულეტდა ან ტყვედ მიჰყავდა.

თამრომ, „ამ სასტიკმა და მეხივით გაუტეხარმა დედაკაცმა“, როგორც ხალხი ეძახდა მას, მებრძოლი რაზმი შეადგინა და როცა ერთხელ მის სოფელს თათარი დაეცა, იქაურობა გააერანა და ხალხი ტყვედ წაასხა. თამრო თავისი რაზმით მტერს შეერკინა, დაამარცხა და ტყვეები გაათავისუფლა. ამ გმირობის ამბავი მეფე ერეკლეს მიუვიდა. მეფემ თამრო რაზმითურთ თავისთან დაიბარა და მადლობა უთხრა: „შვილო! შენ გენაცვალოს ჩემი მოხუცი თავი, შენი მაგალითით კაცებიც გამხნევდნენო“. მერე რაზმს იარაღი და ტყვია-წამალიც მისცა. რაზმში თამროს ვაუკაცებთან ერთად ქალებიც ჰყოლია.

ვაშლოვანს ახლა ლეკები დაეცნენ. თამროს რაზმმა ლეკებიც დაამარცხა და განდევნა.

თამროს გმირობა ხალხმა ამ ლექსით გამოხატა:

ლეკები სულ გავაქციეთ
მთვარიანი ღამითაო;
უკან თამრო გამოუდგა
ჯანგიანი ხმალითაო.

ერთხელ თამროს მსტოვარმა ამბავი მოუტანა: ვაშლოვანს თათრები უპირებენ დაცემასო. თამრომ საოცარი გამჭრიახობა გამოიჩინა. ცხენზე ამხედრებულმა მტრის რაზმს ჩაუქროლა, თათრები მსწრაფლ უკან დაედევნენ. თამრომ ხეობაში შეასწრო. მტერიც უკან მიჰყვა და წინდაწინ საგანგებოდ ჩასაფრებულმა თამროს რაზმმა მტერი შუაში მოიმწყვდია და სულ ერთიანად ამოყლიტა.

იმ ავსა და სასტიკ დროში შურსა და მტრობას აბა რა გამოლევდა. ვიღაც აზნაურმა თამრო მეფესთან დაასმინა — „გლალატობსო“. მეფე როდი ერწმუნა აზნაურს, ორივე თავისთან იხმო და სათითაოდ მოუსმინა. მეფემ თამრო გაამართლა და მამაშვილურად უთხრა: „წადი, შვილო თამრო! ღმერთი იყოს შენი შემწე! ვინძლო შენი მაგალითით მამაკაცებიც გაუერთგულო სამშობლო ქვეყანასაო“. აზნაური კი სასტიკად დატუქსა და სასჯელში მისცა ცილისწამებისათვის.

საინტერესოა, რომ იმ დროს ზოგიერთი ქალი მოჰიდავე ფალავნებს ტოლს არ უდებდა თურმე. თამრო ვაშლოვნელი ტანად ახოვანი ყოფილა და ერთობ მოხერხებული და ფინიერიც. ჭიდაობის ილეთები თავისი სოფლის გოგო-ბიჭებში ესწავლა.

ერთხელ ასპარეზობა იყო გამართული; თამროს ნაცნობმა უთხრა თურმე, „აბა, ფალავანს დაეჭიდე, თუ ძალა შეგწევსო...“ თამრომაც მკვირცხლად მიუგო, „რატომაც არაო...“ ტანისამოსზე საჭიდაო ჩოხა გადაიცვა, ფალავანს შეერკინა და შუაკაურით ბეჭებზე დასცა.

ერთხელ თამრო უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ხალხი დარდსა და ვაებას მიეცა. საბედნიეროდ, სოფელში ხმა მოვიდა: თამრო ვაშლოვნელი თათრებს ტყვედ წაუყვანიათ და აქა და აქ ჰყავთო. ხალხმა ეს მეფე ერეკლეს შეატყობინა. მეფე ძლიერ დაღონდა, მუხლებზე ხელები დაირტყა და აღმოხდა: „ვაიმე, შვილო თამროო“.

შემდეგ მეფე ერკლემ გმირი პაატა თემურიშვილი დაიბარა და უბრძანა: „პაატა, რადაც უნდა დაგიჯდეს, თამრო ვაშლოვნელი დაიხსენი და მომგვარეო“.

პაატას თათრებშიაც ჰყავდა თურმე მეგობრები, შეიტყო, თამრო ვაშლოვნელი ყარაბაღში ჰყოლიათ ტყვედო, ჩაიცვა თათრული ტანისამოსი, მოახერხა ტყვე ენახა, მერე დათქმულ დროს გამოიყვანა და საიდუმლო გზებით მეფეს მიჰგვარა.

არა და არ მოისვენა მტრის შურიანმა ენამ. თამრო ვაშლოვნელი მეფესთან კვლავ დააბეზღეს. „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო“, — გაიფიქრა თამრომ და მშობლიურ სოფელსა და მის სანახებს გაეცალა. ხალხში ხმა დავარდა, თამრო ვაშლოვნელი მტრის ხელით დაიღუპაო. ხალხმა გულისწუხილი ლექსად გამოთქვა:

„ვაშლოვნელებს ვიღა მისცემს
საყვარელს მათსა ქალსაო,
მეომარსა, ფალავანსა
და გმირებისა ცალსაო“.

კაცურად გადაცმული თამრო ვაშლოვნელი ერთხელ თბილისში ჩამოვიდა. მეიდანში გავლა მოუხდა. აქ იგი შეწუხებულ გლეხს შეხვდა, რომელიც არზით ხელში მეფესთან საჩივლელად მიდიოდა. თამრომ იაზრა: ამ გლეხს მივეშველები, მეფესთან მივიყვან, მეფე სამართალს გაუ-

ჩენს და მეც გამოვჩნდებიო. ასეც მოიქცა. გლეხი და თამრო ერეკლესთან მივიდნენ. მეფეს გაეხარდა თამროს გამოჩენა, მაგრამ საყვედურნარევი სიტყვაც უთხრა:„ შენი მეფე როგორ დაივიწყეო". თამრომ ამაზე უპასუხა: „რა ვქნა, დიდებულო მეფევ, მტრის ენამ გაგვყარაო". მეფეს ეს ენიშნა, სათქმელი გულში ჩაიმარხა. გლეხს სამართალი გაუჩინა, დამნაშავენი კი სასჯელში მისცა.

როგორ თუ ჩვენს წინააღმდეგ გლეხს გამოესარჩლაო, მტრებმა თამრო ვაშლოვნელი ფარულად შეიპყრეს და აქაფებულ მდინარეში ჩააგდეს. სადღაც ყურყუტას ფონთან თამროს გვამი მდინარემ გამორიყა, შემთხვევით მის თანასოფლელ მეცხვარეს ენახა. იმან ვაშლოვნელებს შეატყობინა, რომლებმაც თამროს ცხედარი „თრიალეთის დიდ საყდარში" დაკრძალეს. ხალხმა ასე დაიტირა თავისი საყვარელი გმირი:

„თამარსა ვაშლოვნელსაო
ვაშლი უდგია თავსაო,
რიგი მწიფს, რიგი ყვავილობს
მისი საფლავის გარსაო,
დამტირებელი არა ჰყავს,
ნეტარება მის გვამსაო,
ზედ ანგელოზნი ფრინავენ,
გალობენ ნანინასაო.
ჩიტებმა უწყეს ჭიკჭიკი,
სიმღერა თამარისაო,
ჩვენ იმას ვიღა გვაჩვენებს,
ისა ძევს სამარესაო".

სხვა ლექსში კი ნათქვამია:

„თრიალეთს დიდსა საყდარში
თამარი ასაფლავია,
მისებრი ქალი ერთგული
ჩვენ არავინა გვყოლია".

არ არის გამორიცხული, რომ აქ მანგლისის ტაძარი იგულისხმებოდეს, რადგან თრიალეთის ეკლესია-საყდრებს შორის ის თავისი სიდიდით გამოირჩევა.

ვახტანგ სიდამონიძე

მხატვარი
ედუარდ ამგოკაძე

ბიოსფერო — ჯანმრთელობის საერთო საფარველი

ბიოსფერო დედამიწის გარეთა გარსია, მისი ის ნაწილია, სადაც ცხოვრობენ ცოცხალი ორგანიზმები — მცენარეები, ცხოველები და მიკროორგანიზმები.

ბიოსფეროს სიცოცხლის უმთავრესი წყარო მზეა — მილიარდი წლის განმავლობაში კვებავდა იგი სასიცოცხლო ენერგიით ბიოსფეროს. ატმოსფეროს ჟანგბადი, ნიადაგი, მადნეული და ბევრი კიდევ სხვა დედამიწაზე მზის სხივების ცხოველი მოქმედების არაპირდაპირი გამოხატულებაა. თუ ჩვენ შევეცდებით მილიონობით წლის წინანდელი ბიოსფეროს პანორამის აღდგენას და დღევანდელთან დაპირისპირებას, განცვიფრებაში მოგვიყვანს გეოლოგიურ ეპოქებში მომხდარი ცვლილებები: სულ სხვა ლანდშაფტები, სულ სხვა ცხოველები, სულ სხვა დამოკიდებულება ცალკეულ ორგანიზმებს შორის...

ადამიანთა სულ უფრო მზარდ გამრავლებასა და პლანეტაზე განსახლებასთან ერთად საგრძნობლად დაჩქარდა, თვისებრივად შეიცვალა ბიოსფეროს განვითარების ტემპი. ეს არც არის გასაკვირი. ადამიანი ხომ გამოირჩევა ცხოველთა შორის უნიკალური ცენტრალური ნერვული სისტემით და აქედან გამომდინარე აბსტრაქტული აზროვნების უნარით. სწორედ ამ თვისების წყალობით მან ყველაზე დიდი გავლენა იქონია ბიოსფეროზე.

ცნობილი საბჭოთა მეცნიერი აკად. ვ. ვერნადსკი შენიშნავდა, რომ უკანასკნელი ერთი საუკუნის მანძილზე ადამიანის ბიოგეოქიმიური გავლენა დედამიწის ქერქზე გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე სხვა ცოცხალი არსებებისა. განსაკუთრებით გაიზარდა ადამიანის გავლენა ბიოსფეროზე უკანასკნელი ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში, ტექნიკური ძლიერების ზრდასთან ერთად.

კაცობრიობამ თავისი საქმიანობის სფეროში ჩააბა მისთვის ხელმისაწვდომი ყველა რესურსი. არსებობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბიოსფეროს ცალკეულ ელემენტებს შორის დამყარდა განსაზღვრული ურთიერთობა. შეიქმნა სათანადო წონასწორობა. კერძოდ, თუ ზემოქმედებას და ცვლილებას განიცდის ბიოსფეროს ერთი რომელიმე ელემენტი, მაშინვე წარმოიქმნება „ჯაჭვური რეაქცია“ და იცვლება მისი სხვა ელემენტებიც.

ადამიანის ტექნიკურ ბატონობასთან ერთად მკვეთრად იცვლის სახეს დედამიწის ლანდშაფტები: სოკოებივით იზრდებიან უზარმაზარი ქალაქები, სამრეწველო კომპლექსები, ობობას ქსელივით იქსელებიან საავტომობილო გზები, სამრეწველო ნარჩენებისაგან იცვლება ჰაერის, წყლის, ნიადაგის ქიმიური შემადგენლობა.

ხოლო ადამიანი? მეცნიერები ამტკიცებენ, რომ კაცობრიობის ცხოვრების 40.000 თაობის მანძილზე ადამიანის ბიოლოგია თითქმის არ შეცვლილა. და მართლაც, ადამიანს შესაშური უნარი აქვს შეეგუოს შეცვლილ გარემო პირობებს. მიუხედავად ამისა, მისი როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი ჯანმრთელობის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწორად იქნება გადაწყვეტილი ბიოლოგიური პრობლემა — „ადამიანი და გარემო“, ანუ, როგორც მას სხვანაირად უწოდებენ — „ადამიანი და ბიოსფერო“. ამ პრობლემის აქტუალობა გენიალურად განჭვრიტა ფრიდრიხ ენგელსმა. იგი წერდა, „ყოველ ნაბიჯზე ფაქტები გვახსენებენ, რომ ჩვენ სრულებით არ ვბატონობთ ბუნებაზე მსგავსად ერთი დამპყრობელი ხალხისა მეორეზე... მთელი ჩვენი ბატონობა ბუნებაზე მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ, განსხვავებით ყველა სხვა არსებისაგან, უნარი შეგვწევს შევისწავლოთ მისი კანონები და სწორად გამოვიყენოთ ისინი“.

დღეს ბიოსფეროს ბედი მთლიანად ადამიანის ხელთაა.

ადამიანმა — ბიოსფეროს ერთერთმა ყველაზე ახალმა ბინადარმა, სამწუხაროდ, უკვე ბევრი ღრმა შეცდომის დაშვება „მოასწრო“. მისი უგუნური მოქმედებით ყველაზე მეტად დაზიანდნენ ცოცხალი ორგანიზმები — მცენარეები და ცხოველები. ბიოსფეროს კი ძირითადად სწორედ ისინი ქმნიან. ისინივე წარმოადგენენ ადამიანის კვების უმთავრეს წყაროს.

ბიოსფერო — კაცობრიობის ერთი, საერთო სახელმწიფოა. ამიტომ, მისთვის რაიმე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება დედამიწის ერთ ქვეყანაში, რეგიონსა თუ კონტინენტზე ზოგჯერ პლანეტარული მასშტაბითაც კი არასახარბიელო შედეგებს იწვევს.

„მხოლოდ ერთი დედამიწა!“ — კაცობრიობის შეგნებაში ამ სიტყვებმა მაშინ გაიდგეს ფესვი, როცა შესაძლებელი გახდა ადამიანს კოსმოსური სივრციდან ეხილა იგი. აკი მფრინავი კოსმონავტი გ. ტიტოვი თავის წიგნში — „ჩემი ცისფერი პლანეტა“ — წერს: „კონტინენტებს რომ ჩავუქროლე, მაშინ პირველად ვიფიქრე და ვიგრძენი, რომ ჩვენი პლანეტა ძალიან მცირეა. ის წარმომიდგა, როგორც ნამცეცი სამყაროს ოკეანეში“.

ამრიგად, „ბუნება არ ცნობს ხუმრობას, ის ყოველთვის სამართლიანი და მკაცრია. შეცდომები და გაუგებრობანი ადამიანისგან მომდინარეობენ“ — დიდი მოაზროვნის, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ეს სიტყვები უაღრესად საცნაურია დღესაც. მართლაც, ბუნება უნივერსალური მექანიზმით განაგებს ყოველივე არსებულს, მისთვის ყველა განურჩეველია: ადამიანი და ჭიამაია, სპილო და ლოკოკინა, წყალმცენარე და ვეშაპი, ყაყაჩო და სოკო, უღრანი ტყე და უკიდეგანო უდაბნო, თვალუწვდენელი ოკეანე და მთათა ცადაწვდენილი მწვერვალები; მისთვის ერთია ბიოსფერო, მთელი ჩვენი პლანეტა, მთელი სამყარო.

ამიტომ ადამიანი ვალდებულია შეიარაღდეს ეკოლოგიის — ბუნების ყველაზე ზოგადი კანონზომიერების ცოდნით, შეიცნოს ბუნებრივი გარემოს მარეგულირებელი მექანიზმები და ისე შეუფარდოს იგი თავის მოქმედებას, რომ კონფლიქტი ადამიანსა და ბუნებას შორის მინიმუმამდე დავიდეს, რომ ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე გამართლებული იყოს არა მარტო ადამიანური მოსაზრებებით, არამედ შეესაბამებოდეს ბუნების ერთიან კანონს. ამისათვის კი საჭიროა ადამიანი კვლავ დაუბრუნდეს ბუნებას არა როგორც სტიქიასთან მებრძოლი პირველყოფილი არსება, არამედ, როგორც მისი ჰარმონიის უმაღლესი გვირგვინი, მისი ჭეშმარიტი თანაშემოქმედი.

არნ. გეგეჭკორი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ჰანს კრაუზე
მხატვარი
ზურაბ ფოლრჩხიძე

ბუ და შეფხენი

მოთხრობა

მზე აცხუნებდა. მშვენიერი საბანაო ამინდი იდგა. ხუთნი ვიყავით: მე, ირმა მიულერი და სამი ჩვენი თანაკლასელი ბიჭი, მათ შორის ჰაინც შეფერი — ჩვენი შეფხენი, როგორც მას მოფერებით ვეძახდით. ტყის შუაგულში პატარა, წყალმცენარეებით სავსე ტბა ლივლივებდა. მაშინვე გრილ წყალში გადავეშვით.

— მოდით, გაღმა ნაპირზე გავიდეთ, — წამოიძახა ირმამ. ტბის შუაგულში შევცურეთ. წყალმცენარეები აქ უფრო გახშირდა.

— მეტი აღარ მინდა, — შეეშინდა ჰაინც შეფერს და ნაპირისაკენ შებრუნდა. ჩვენ დაცინვით მივაძახეთ: „შეფხენ, შე მხდალო კურდღელო!“ და ცურვა გავაგრძელეთ. წყალმცენარეები სულ უფრო და უფრო ხშირდებოდა. რის ვაი-ვაგლახით მივაღწიეთ იქითა ნაპირს და შვებით ამოვისუნთქეთ. ცურვის სურვილი უკვე აღარცერთს არ გვქონდა, ირმასაც კი. რა გვექნა, ტანსაცმელი და ველოსიპედები ხომ ტბის მეორე ნაპირზე გვქონდა დატოვებული! ჰოდა, იძულებული გავხდით, ტბისთვის ფეხით შემოგვევლო. შეფხენმა ბევრისმთქმელად შემოგვხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

●

მეორე დღეს მორიგე ვიყავი. დიდ დასვენებაზე სამასწავლებლოში შევედი და ზოოლოგიის გაკვეთილისთვის ბუს ფიტული გამოვიტანე. კლასში არავინ იყო. ყველანი სკოლის ეზოში დარბოდნენ. ფიტული ხელში შევატრიალ-შემოვატრიალე, უცებ რაღაცამ წკაპანი გაიღო და... რას ვხედავ, ბუს ფრთა არ მოძვრა?! შემეშინდა, რა უნდა მეთქვა მასწავლებლისთვის? ამაოდ ვცდილობდი ფრთის მიმაგრებას. რა მექნა, ლურსმნის ძებნა დავიწყე, ბოლოს სადღაც ვიპოვე და ფრთაც მივამაგრე.

კარი გაიღო და კლასში შეფხენი შემოვიდა.

— უი, ბუ! — შესძახა მან და მაგიდასთან შეჩერდა.

უცებ იდუმალმა აზრმა გამკრა და ვკითხე:

— შეფხენ, იცი, რა დიდი ფრთები აქვს ბუს? სამჯერ უფრო დიდი, ვიდრე თვითონ არის.

— კარგი ერთი! შეუძლებელია!

— აი, შენ თვითონ ნახე, თუ არა გჯერა! — ვუთხარი. შეფხენმა ბუს ფიტულს ხელი წაავლო და ფრთა მაგიდაზე დავარდა.

— უჰ, ეს რა ჰქენი, ფრთა მოატეხე! — შევყვირე.

შეფხენი აილეწა. დაბნეული ხელში ატრიალებდა ფრთას.

— მიდი მასწავლებელთან და ყველაფერი გულახდილად მოუყევი, — დავარიგე მე.

ზარი დაირეკა. მასწავლებელმა მოტეხილი ფრთა რომ დაინახა, იკითხა, ეს ვინ ჩაიდინაო.

— მე... — ხელი ასწია შეფხენმა.

— პატარა ბავშვებივით ხართ, ყველაფერი ხელში უნდა აიღოთ, არაფერს უფრთხილდებით... ჰაინც შეფერ, ხვალ, გაკვეთილების შემდეგ, ორი საათით დარჩები. ეს იქნება შენი სასჯელი, — განუცხადა მასწავლებელმა.

შეფხენს კრინტიც არ დაუძრავს, მე კი თავჩაღუნული ვიჯექი და გულს ბაგაბუგი გაჰქონდა.

●

გაკვეთილების შემდეგ შეფხენთან ერთად შინისკენ მივდიოდი.

— ხვალ დედას ქალაქში უნდა წავეყვანე, ავტობუსი კი 12 საათზე გადის. ესე იგი, ვეღარ წამიყვანს, — დაიჩივლა შეფხენმა.

მე ჩუმად ვიყავი, რა უნდა მეთქვა?..

სადილად შემწვარი ხორცი და კარტოფილი გვქონდა. ვერაფერი შევჭამე.

მთელ დღეს სახლში ვიჯექი. გაკვეთილები მოვამზადე, მაგრამ გული სათამაშოდ არ მიწევდა, ვკითხულობდი და ვკითხულობდი, თუმცა არაფერი მესმოდა. სულ შეფხენზე ვფიქრობდი. მას ხომ დედა ქალაქში ვეღარ წაიყვანს და ამაში მე, მე მიმიძღვის ბრალი!

ნავახშმევს საწოლს მივაშურე. დღეს ადრე უნდა დავწვე, ხვალ საკონტროლო წერა გვაქვს-მეთქი, — ვუთხარი მშობლებს.

— ძილი ნებისა, — მითხრა დედამ.

თვალს რული არ ეკარებოდა. გუშინ ხომ ჰაინცს კურდღელივით მშიშარა ვუწოდე, თვითონ კი უარესი გამოვდექი! მე ხომ მასწავლებელი მოვატყუე, ამხანაგიც მოვატყუე... და უცებ საშინლად დამცხა, სუნთქვაც გამიჭირდა.

მთელი ღამე ვბორგავდი. მეორე დილას სამასწავლებლოსთან მასწავლებელს დაველოდე და ყველაფერი ვუამბე. მან ყურადღებით მომისმინა. ბოლოს მითხრა: კარგი, აღარ დაგსჯი, გულახდილობის გამო მიპატიებია, მაგრამ ამხანაგს ბოდიში უნდა მოუხადო და ეს ამბავი კლასსაც უნდა მოუყვეო.

ხუთი წუთის შემდეგ კლასის წინაშე ვიდექი. ყველანი თვალებში შემომყურებდნენ. ძნელი იყო, მაგრამ ძალა მოვიკრიბე, თავი გავიმხნევე და ამხანაგებს მთელი სიმართლე ვუამბე.

გერმანულიდან თარგმნა ლ. ძინძიბაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე ჰაერი

ამ ბოლო ათი წლის მანძილზე დედამიწის ატმოსფეროში 4,3 მილიონი ტონა ტყვია, 3,3 მილიონი ტონა თუთია, 585 ათასი ტონა სპილენძი, 74 ათასი ტონა კადმიუმი და 4,5 ათასი ტონა ნიკელი დაგროვდა. ამ ლითონების ნაწილი ჰაერში მოხვდა ვულკანების ამოფრქვევის, ტყის ხანძრების, ქარის (იგი მიწიდან მტვერს იტაცებს) და სხვა ბუნებრივი პროცესების შედეგად.

მაგრამ ცოცხალი ორგანიზმებისათვის ამ მეტად მავნებელ ამბავში — ჰაერის გაჭუჭყიანებაში გაცილებით მეტი წვლილი მიუძღვის ადამიანს. მაგალითად, 1975 წელს ვულკანებმა ჰაერში აიტანეს მხოლოდ 6,4 კილოგრამი ტყვია, ნავთობპროდუქტების წვის შედეგად კი ატმოსფეროში ეს შხამიანი ლითონი გაიბნა 273 ათასი ტონა. ამას გარდა, ლითონები ატმოსფეროში აღწევენ სხვა სახის სათბობის, აგრეთვე ნაგვის დაწვის, წიაღისეული საბადოების დამუშავების, ყანებზე და ბაღ-ვენახებზე ქიმიური სასუქების მოფრქვევის შედეგად.

ჰაერში ტყვიის შემცველობა განსაკუთრებით გაიზარდა 1923 წლიდან, ეთილირებული ბენზინის წარმოების დაწყების შემდეგ, რადგან ეს საწვავი შეიცავს ტეტრაეთილტყვიის შენაერთს. ამჟამად ბევრ ქვეყანაში ეთილირებული ბენზინის გამოყენება იზღუდება ან კიდეც იკრძალება.

სიჩუმის დღე

აშშ-ის შტატ ნიუ-ჯერსიში არის პატარა ქალაქი ოუშენ-გროუვი, სადაც უკვე ასი წელია კვირა დღე გამოცხადებულია „სიჩუმის დღედ". ამ დღეს ქალაქის ქუჩებში ტრანსპორტის მოძრაობა მთლიანად აკრძალულია, ქუჩებს გარს ავლებენ თუჯის მძიმე ჯაჭვებს და ზედ ბოქლომს ადებენ. ნებადართულია ერთად-ერთი ტრანსპორტით — ველოსიპედით გაზეთების დატარება.

მწყემსების სკოლა

გდრ-ის ქალაქ ვეტინის მახლობლად არსებობს ერთ-ერთი ყველაზე არაჩვეულებრივი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — მწყემსების სკოლა. თუ ამ ცოტა ხნის წინათ ზარმაც მოსწავლეებს აშინებდნენ, თქვენგან მხოლოდ ძროხების მწყემსი გამოვა და გაუნათლებელნი დარჩებითო, ახლა ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მწყემსის პროფესია არც ისე მარტივია და განსაკუთრებულ განათლებას მოითხოვს. მწყემსების სკოლის მოსწავლეები ზოგადსაგანმანათლებლო საგნების გარდა სპეციალურ საგნებსაც სწავლობენ, მათ შორის — მეძაღლეობასა და ვეტერინარიას.

ტაქსი ჩვენს წელთაღრიცხვამდე

ჩვენს წელთაღრიცხვამდე ერთი საუკუნით ადრე მცხოვრები სახელგანთქმული ინჟინერი

სა და არქიტექტორის ვიტრივიუსის ერთ-ერთ ტრაქტატში აღწერილია ცხენიანი ოთხთვალა, რომელსაც ერთი ქალაქიდან მეორეში გადაჰყავდა მგზავრები. დასაჯდომი ბალიშების და სხვა კეთილმოწყობილობის გარდა, ოთხთვალას ჰქონდა აგრეთვე... ტაქსომეტრი. მრიცხველი წარმოადგენდა ბორბალზე დამაგრებულ ორ კონცენტრირებულ კბილანებიან ფერსოს. მათ ზემოთ და ქვემოთ ორი ყუთი იყო მოთავსებული. ყოველი რომაული მილის გავლის შემდეგ ფერსოების ნახვრეტები ერთდებოდა და ზედა ყუთიდან ქვედაში მრგვალი კენჭი ვარდებოდა. მგზავრობის დამთავრების შემდეგ კენჭებს ითვლიდნენ და მათი რაოდენობის მიხედვით იხდიდნენ ფულს.

ნაკრძალები ვეფხვებისათვის

ამ ექვსი წლის წინათ ინდოეთში, იმ მიდამოებში, სადაც ჯერ კიდევ ბინადრობენ ვეფხვები, შექმნეს ნაკრძალები. ამ ნაკრძალებში ველური ბუნება ხელუხლებლად არის შენარჩუნებული. თვით სოფლებიც კი სხვა ადგილებში გადაიტანეს.

გიგანტთა გიგანტი

იმ არსებებს შორის, რომ[illegible] ფეხი დაუდგამთ დედამიწაზე, ვის შეიძლება ვუწოდოთ ყველაზე დიდი? ამ კითხვაზე ამჟამად უკვე არსებობს გარკვეული პასუხი. ამ ხულიერის ძვლები იპოვნეს ამერიკელმა პალეონტოლოგებმა კოლორადოს შტატში. გიგანტი უწყინარი ვეგეტარიანელი იყო, მაგრამ მისი სიდიდე ალბათ თავზარს სცემდა გარშემო მყოფ დინოზავრებს. სიგრძით 20 მეტრს აღწევდა, წონით — 80 ტონას! შესაძლოა, არსებობდნენ ამაზე უფრო დიდი ხმელეთის ცხოველებიც, მაგრამ ჯერჯერობით მათი კვალი არა ჩანს.

ძველი დროის ცათამგაჯენები

მრავალსართულიანი სახლების აშენება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში კი არ დაიწყეს, როგორც ჰგონიათ, არამედ გაცილებით ადრე.

სპარსი მოგზაურის ნასრ იბნ-ხოსრუს მიხედვით, ახლანდელი კაიროს წინამორბედი ქალაქი ფორფატე, რომელიც მან თურმე დაათვალიერა, მაღალი სახლების გამო შორიდან მთას ჰგავდა. ზოგიერთი ამ სახლთაგან 14-სართულიანი იყო.

შუაგულ თურქეთში, ერთ-ერთ ხეობაში, დღემდეა აღმართული ვულკანური ლავის ფენებში გამოჭრილი მღვიმური სახლები, ზოგი მათგანი 20-სართულიანია. ისინი ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში მცხოვრებმა ქრისტიანმა ბერძნებმა ააშენეს. ამ სახლებში ახლაც ცხოვრობენ თურქი გლეხები.

დაბოლოს, იემენის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში მდებარეობს ქალაქი შიბამი, რომლის მკვიდრნი ჯერ კიდევ 3000 წლის წინათ აშენებდნენ თორმეტ და მეტსართულიან სახლებს. რამდენიმე მათგანმა დღემდე მოაღწია.

წიგნიდან ანბანი

საინტერესო რუბრიკა

1762 წელს ვენაში კონცერტზე თავის იმპროვიზაციებს ასრულებდა 6-7 წლის „ვუნდერკინდი“. შესვენების დროს მასთან 13-14 წლის ბიჭი მივიდა და აღტაცება გამოთქვა მისი დაკვრის გამო.

— მაგას რა უნდა! — იყო პასუხი. — სცადე და შენც შესძლებ.

— ტყუილია. მე არაფერი არ გამომივა!

— აბა რა შეგიძლია?

— მე? მე ლექსებსა ვწერ.

— რას ამბობ! აი, ეგ კი მართლა ძნელი იქნება!

— სულაც არა! სცადე, თუ ვერ შესძლო!

ეს ბავშვები იყვნენ ვოლფგანგ ამადეი მოცარტი და იოჰან ვოლფგანგ გოეთე.

ძალიან ხშირად აი, ასეთი ადრეული ასაკიდან იწყება შემოქმედებითი აზროვნება, შემოქმედებითი ცხოვრება. ნ. ბარათაშვილმაც ხომ 14 წლისამ დაწერა თავისი უკვდავი „შემოღამება მთაწმინდაზე!“ ევარისტ გალუა 21 წლისა გარდაიცვალა, მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვა მათემატიკურ მეცნიერებაში.

მაგრამ არც ხანდაზმული ასაკია დაბრკოლება შემოქმედებითი მუშაობისათვის. აბა, წარმოიდგინეთ, რომ მსოფლიო პოეზიას არ ჰყოლოდა ამერიკის საუკეთესო ზრახვათა გამომხატველი უოლტ უიტმენი ანდა ფერწერას — იტალიური აღორძინების ეპოქის ოსტატი ტიციან ვეჩელიო! არადა, უიტმენის პირველი ლექსები რომ გამოქვეყნდა, პოეტი 40 წელს იყო მიტანებული. ტიციანმაც 40 წლისამ დაიწყო ხატვა და ღრმა მოხუცებულობამდე ქმნიდა ისეთ სწორუპოვარ შედევრებს, რომ თანამედროვენი ამბობდნენ მასზე, ტიციანი იმის ღირსია, კეისარი ემსახურებოდესო.

დღესაც ბადალი არ მოეძებნება მუსიკალურ საკრავთა კრემონელი ოსტატების — გვარნერის, ამატის და, მეტადრე, სტრადივარის (1644-1737) ხელით დამზადებული ინსტრუმენტებს. ანტონიო სტრადივარიმ კი 46 წლისამ დაიწყო დამოუკიდებელი მუშაობა ვიოლონჩელოს, კონტრაბასის, ვიოლინოს ჟღერადობის გასაუმჯობესებლად და 92 წლისა იყო, როცა თავისი უკანასკნელი საკრავი შექმნა.

იმავე გოეთემ, რომელიც 7-8 წლისა უკვე თხზავდა ლექსებსა და ზღაპრებს, 80 წლისამ დაწერა „ფაუსტის“ მეორე ნაწილი, რომელშიც არსებობის აზრად გამოაცხადა შრომა ადამიანთა საკეთილდღეოდ.

ვიქტორ ჰიუგო 60 წლისა იყო, როცა დაწერა რომანი „განკიცხულნი“, ლევ ტოლსტოიმ 70-ისამ შეთხზა „აღდგომა“. მაგრამ ამაზე არ შეჩერებულა შემოქმედებითი აზრის ამ ორი ბუმბერაზის საქმიანობა — ღრმა მოხუცებულობამდე დაუღალავად მუშაობდნენ ისინი.

დიდი ინდოელი პოეტი რაბინდრანათ თაგორი 80 წლისა, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წელს, კიდევ წერდა პოეტურ ნაწარმოებებს. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ 60 წლის ასაკში მან ხატვა დაიწყო. მისმა ფერწერულმა ნამუშევრებმა დიდი გავლენა მოახდინეს ინდოეთის ხელოვნების განვითარებაზე და კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ შემოქმედებითი ნიჭიერებისთვის არ არსებობს ასაკობრივი ზღუდე.

საქვეყნოდ ცნობილი მომღერალი, ტენორი ბენიამინო ჯილი თითქმის 50 წელი მღეროდა სცენაზე. 12 წლისამ მან სოპრანოს პარტია შეასრულა ოპერეტაში, სცენას კი 60 წლისამ დაანება თავი.

ჯაზური მუსიკის უთვალსაჩინოესი ოსტატი ლუი არმსტრონგი 62 წლისა ისევ უკრავდა საყვირს — საკრავს, რომელიც ახალგაზრდული ფილტვების ძალას და დაუშრეტელ სასიცოცხლო ენერგიას საჭიროებს.

XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მუსიკოსი, ესპანელი მევიოლონჩელე პაბლო კაზალსი თითქმის 60 წლისა იყო, როცა ესპანეთში ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის დამყარების გამო პროტესტის ნიშნად წავიდა სამშობლოდან, შეწყვიტა ბრწყინვალე საკონცერტო მოღვაწეობა და საფრანგეთის სამხრეთში, პატარა ქალაქ პრადში დასახლდა. მაგრამ „პრადელ განდეგილს“ მუსიკა არ დაუთმია. მან სათავე დაუდო ბახის მუსიკის ყოველწლიურ ფესტივალებს, რომლებზეც მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან იწვევდა გამოჩენილ მუსიკოსებს და თვითონაც უკრავდა. 80 წლისა იყო კაზალსი, რომ პრადის ფესტივალზე ჩამოსულ თავის მოწაფეს, გამოჩენილ მევიოლონჩელე გასპარ კასადოს ეუბნებოდა: იცი, რა, გასპარონე, მე ყოველდღე ვმეცადინეობ და მგონია, ჩემს დაკვრასაც ყოველდღე უკეთობა ემჩნევაო.

102 წელი იცოცხლა VIII-IX საუკუნეების შესანიშნავმა ქართველმა მწერალმა და სამონასტრო მოღვაწემ გრიგოლ ხანძთელმა და ბოლომდე არ შეუწყვეტია შრომა. მისი ღვაწლით ოპიზას, ხანძთას, შატბერდსა და ტაო-კლარჯეთის სხვა სავანეებში დიდი კულტურული საქმიანობა გაჩაღდა. თვითონ გრიგოლ ხანძთელიც თხზავდა და თარგმნიდა საგალობლებს, დიდი ენერგიით ხელმძღვანელობდა მთელ სამონასტრო საქმიანობას.

ძველ ქართველ მოღვაწეთა მსგავსად, დაუქანცავი იყო შემოქმედებით მუშაობაში ქართული პროზის გოლიათი — კონსტანტინე გამსახურდია...

არა მარტო ისტორიამ, დღევანდელობამაც არაერთი მაგალითი იცის შემოქმედებითი უბერებლობისა.

აგერ უკვე თხუთმეტი წელია, რაც „პიონერი“ სისტემატურად ბეჭდავს განყოფილებას „გამოგადგები“. ამ რუბრიკის პოპულარობაზე მარტო ისიც შეტყველებს, რომ მან გაუძლო დროის გამოცდას. ჩვენს მკითხველებს ძალიან იტაცებთ ეს პატარ-პატარა პრაქტიკული რჩევა-დარიგებანი — ზოგს მაშინვე იყენებენ, ზოგს იმახსოვრებენ, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ის რჩევა-დარიგება, რომელიც იმ ხანად არ დასჭირვებიათ ხოლმე, არ გამოუყენებიათ და სამომავლოდ დაუმახსოვრებიათ, მალე გადავიწყებიათ კიდეც.

ვთქვათ, 1979 წლის „პიონერის“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა რჩევა ონკანის შეკეთების თაობაზე. ონკანი იჩ წუთში გამართული იყო და „გამოგადგების“ გამოყენება მაშინ არ დაგჭირდა. გავიდა დრო, ონკანი გაგიფუჭდა-წყალმა ყონვა დაიწყო, მაგრამ ახლა ველარც ის რჩევა-დარიგება გაიხსენე და ვერც ის „პიონერი“ იპოვნე.

როგორ მოვიქცეთ? როგორ დავიმახსოვროთ „გამოგადგების“ ყველა რჩევა-დარიგება?

აი როგორ მოქცეულა ამ განყოფილების ერთ-ერთი მუდმივი მკითხველი დათუნა ლეუავა. მას შეუგროვებია წლების მანძილზე დაბეჭდილი „გამოგადგები“ და შეუდგენია თავისებური კართოტეკა: ერთ კონვერტში (ვთქვათ, „ავეჯის მოვლა“) ჩაულაგებია ავეჯის მოვლა-პატრონობასთან და შეკეთებასთან დაკავშირებული რჩევები; მეორეში — (ვთქვათ, „წყალი“) ონკანის, აბაზანის, საპირფარეშოს ავზის შეკეთებისათვის გამოსადეგი რჩევა-დარიგებანი მოუკუჩრია...

ალბათ იოლი მისახვედრია, ასეთი მარტივი საძიებლის მიზედვით, როცა დაგჭირდება, რამდენი რამ შეიძლება გაიხსენო ხოლმე.

ახლა კი გთავაზობთ მორიგ რჩევა-დარიგებებს.

გახსოვდეს, ასანთის კოლოფის სიგრძე ხუთი სანტიმეტრია, ასე რომ, იგი თავისუფლად შეგიძლია პატარა დეტალების გადასაზომად გამოიყენო.

რეზინს რომ ჭრი, დანის პირს საპონი წაუსვი — რეზინი იოლად და სწორად ჩამოიჭრება.

დროდადრო თურმე ქლიბსაც უნდა „კბილის აწყობა“, საამისოდ მისწრებაა ფოლადის ჯაგრისი.

თუ გინდა ქაღალდის ფურცლები სწორად ჩამოჭრა, ფხაიწყობილ დანასთან ერთად, აუცილებლად ხელთ უნდა გქონდეს ლითონის ან მინის სახაზავი.

კარგი პატრონი ნაჯახს აუცილებლად საპირეს გაუკეთებს. საპირე ხელოვნური ტყავისაგან, მუშამბის ან დერმატინისაგან ძალზე იოლად კეთდება.

სარკეს როცა კედელზე ან ფიცარზე ამაგრებ, ნახვრეტების ქვეშ რეზინის ნაჭრები დაუტანე, თანაც ხრახნს მაგრად ნუ მოუჭერ.

თუ ჭანჭიკის გადაჭრა გინდა, ქანჩი საჭირო ზომაზე დააყენე და შემდეგ ბეწვახერხით ზუსტად გადაჭერი.

სამეგვერი

ხარაზიშვილი ნ. — ნახვამდის, სკოლავ!.. (რეპორტაჟი) . . . . . გარეკ. 2
იმედიძე ა. — ფერხული მზის სადიდებლად (მოთხრობა) 2
სეტიელი მ. — პიონერული რვალის ზეიმი (წერილი) 9
მრევლიშვილი მ. — როდიონ ქორქია (წერილი) . 10
აფხაზავა ნ. — მათი საერთო ოჯახი — ინტერნატი (ნარკვევი) 12
ასკურავა დ. — მგზავრობა ღამით (მოთხრობა) . 15
შამანაძე ნ. — გზაჯვარედინთან; დედა; შინმოუსვლელის მოსაგონარი; დილის მზე; ყვირილა (ლექსები) 21
ოლიმპიადა—80 22
გუგუშვილი ნ. — საქართველოს ოლიმპიელები (წერილი) 23
„ა ი ს ი“ 24
სიდამონიძე ვ. — თამრო ვაშლოვნელი (წერილი) . 26
გეგეჭკორი არნ. — ბიოსფერო—კაცობრიობის საერთო სახელმწიფო (წერილი) 28
კრაუზე ჰ. — მე და შეფხენი (მოთხრობა) . . . 29
ჯადოსნური სარკე 30
საინტერესო თემაზე . . . 31
ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. 3

გარეკანის მხატვრობა ზაურ დეისაძისა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ ბოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რობერტ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის 93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-03, 93-53-05
განყოფილებების 93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 26/V-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/VII-80 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 1496. ტირ. 151.750. უჯ 08563.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



წვრილი ლურსმანი ჩაჰედებისას სარეცხის სამაგრით უნდა დაიჭირო. ხოლო თუ ის არა გაქვს, მაშინ შეგიძლია პლასტელინი ან სავარცხელი იხმარო.

გაჯიუტებულ ქანჩს ერთმანეთზე გადაბმული ორი ქანჩის გასალებით უფრო მოერევი.

კროსვორდი



თარაზულად: 6. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 9. ნიადაგის ნგრევა და წარეცხვა ღვარებისაგან; 10. პატარა რესპუბლიკა; 37. წყლის ტრანსპორტი; 38. მეცნიერება; 39. ფირნიში, ანუ? 42. გულგრილი სინონიმი; 45. ძრავა, ანუ? 46. სანოტო ნიშანი.

შვეულად: 1. მეთოთხრობა; 12. გარეული ცხოველი; 13. გაქანების სიდიდე რხევის დროს; 14. სპორტული ჯილდო; 17. უზბეკი პოეტი; 20. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ერთობლიობა; 22. მინერალი; 23. დრო, ანუ? 24. სიმეებიანი საკრავი; 25. ისტორიული ადგილი საქართველოში; 26. ყველაზე დიდი, ადამიანის მსგავსი მაიმუნი; 27. რისამე მთავარი აზრი; 29. ქალაქი ნორვეგიაში; 30. სრული უწესრიგობა, არეულობა; 31. გარეული ცხოველი; 33. მოკავშირე ქუდე, ანუ 2. დეკორაციული მცენარე; 3. ხალხური საკრავი; 4. მდინარე რუსეთში; 5. სხეულის ნაწილის დაზიანება რაიმე გარეგანი ზემოქმედების შედეგად; 6. ვულკანის მიერ ამოტყორცნილი გამდნარი მასა; 7. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 8. ძვირფასი ქვა; 11. ციტრუსოვანთა ნაყოფი; 15. მათემატიკური ტერმინი; 16. საშხედრო მეცნიერების დარგი; 17. ნორვეგიელი მოგზაური; 18. ქალაქი რუსეთში; 19. სხეულის ორგანოს გადაგვარება; 21. ნახევარკუნძული; 28. მტკვრის შენაკადი; 32. დიდი მოცულობის თხრობითი ნაწარმოები; 34. გერმანელი კომპოზიტორი; 35. არაბული სახელმწიფო; 36. ფრანგი მწერალი; 40. განთიადი; 41. ვულკანი ევროპაში; 43. ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი დიპლომატიური მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი; 44. სახელმწიფო აფრიკაში.

ლელა ხაჩიძე,
ორჯონიკიძის რაიონის ხევის საშუალო სკოლა, VII კლასი.

პასუხი № 6-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

კროსვორდი

თარაზულად: 5. ჯუღელი; 6. ტოსტაო; 9. გოგია; 10. კორეა; 11. ინგლისი; 14. ანკესი; 15. კალტაცი; 18. სპორტი; 19. ოკეანე; 23. გოკიელი; 25. ეტორი; 26. ტატრა; 27. ორძელი; 28. ტიმანი.

შვეულად: 1. „ჯულია“; 2. ალიონი; 3. ფოკუსი; 4. კანონ; 7. ვოლანი; 8. ზებეცი; 12. ესკორტი; 13. ჭადრაკი; 16. სპარტა; 17. „ინტერი“; 20. ჩოხელი; 21. „სლავია“; 22. ერერა; 24. დაშნა.

გამოცანა

უკარებო, უფანჯრებო
ციხეში ვარ ჩაკეტილი,
კედელს ვანგრევ,
გამოვდივარ,
ციხე რჩება გატეხილი

ალექსი ნამორაძე

76157

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭართული ჩვეულებანი სიცყვა-თქმანი

პოლეკაპიტი გაკვეთილი



ცხვირი ჩამოუშვა





ლეჩაქი დაახურეს



თავსლაფი დაასხეს



ეკლებზე ზის

მხატვარი ედუარდ ამგოკაძე